ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 24 აგვისტო 1999 №160 (933) | ფასი 50 თეთრი



5 გურიას მომავალი ოლიმპიკის ხელშია

ლანჩხუთელებს თბილისური სისხლი გადაუსხეს

6 რამდენი ეკუთვნის როი კინს?



ერთი ამბავი „ჰაიბერიზე“

12 ერთ კვირაში გაკეთებული ნაკრები

ქართველი ჭაბუკი კალათბურთელები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე გაემგზავრნენ

14 მტრისას, გორული მუშტი



კრივი გვანახე, გიორგი!

15 მსოფლიოს ჩემპიონატი მსოფლიოს რეკორდით დაიწყო



ამერიკელებს პირველი ოქროც სტეისი დრაგილამ მოუტანა




კვირას ეროვნულზე: „თბილისი“ — „ბათუმი“ 1:1. სტუმართა მეკარე ნიკოლოზ ტოგონიძემ და მცველებმა თბილისელთა ეს იერიში იოლად მოიგერიეს

# ჩემპიონი მარცხულობს

## თბილისის «დინამომ» აგვისტოში სამივე მატჩი წააგო

ასეთი რამ ეროვნულ ჩემპიონატს არ ახსოვს. „დინამომ“ ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია. ოთარ კორღალიძეს მაინცდამაინც სანაქებო დებიუტი ვერ გამოუვიდა. „არსენალის“ „ისანი“ ნამდვილად არ არის ფეხბედნიერი ადგილი „დინამოს“ ახალდანიშნული მწვრთნელისთვის.

ერთიცაა: აგვისტოში ჩემპიონებს თამაში ვერ მოუგიათ. „ზიმბრუს“ დაწყებული საქმე ჯერ „ბათუმმა“, მერე „არსენალმა“ განაგრძო. არავინ იცის, რა იქნება მერე...

თბილისში პირველად ჩამოსულმა კარნევალემ და მისმა გაწვრთნილმა „ბათუმმა“ უკან ქულა წაიყოლეს.

არ გაუმართლა ქუთაისის „ტორპედოსაც“. დიდი უპირატესობის მიუხედავად „დილამ“ ძლიერ მეტოქეს ორი ქულა დააკარგვინა.

ლიდერად კი მოგვევლინა თბილისური „ვიტ ჯორჯია“, რომელიც პოზიციების უფრო გამყარებას გვპირდება.

ვნახოთ, ჯერჯერობით ჩემპიონატს ურიგო პირი სულაც არ უჩანს.

ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მეორე, მესამე და მეოთხე გვერდებზე

საქართველოს 11 ჩემპიონატი

## 2 ტური

«ა» ზონა

21 აგვისტო, შაბათი

| | |
|---|---|
| არსენალი | 2 |
| დინამო | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 3 |
| სიონი | 0 |
| ლოკომოტივი | 2 |
| სამგურალი | 0 |

22 აგვისტო, კვირა

| | |
|---|---|
| თბილისი | 1 |
| ბათუმი | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ლოკომოტივი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ბათუმი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| თბილისი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| სიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| დინამო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| სამგურალი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

«ბ» ზონა

21 აგვისტო, შაბათი

| | |
|---|---|
| ხობი | 1 |
| მერანი | 1 |
| ტორპედო | 2 |
| დილა | 2 |
| კოლხეთი | 2 |
| გორდა | 0 |

22 აგვისტო, კვირა

| | |
|---|---|
| თსუ | 1 |
| იბერია | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ხობი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| კოლხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| დილა | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| მერანი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| იბერია | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| თსუ | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| გორდა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

# იოჰან ბოსკამპმა საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ჰოლანდიაში დაასახელა

ათი დღეც და საქართველოს ნაკრები მორიგ შესარჩევ მატჩს გამართავს. მეტოქე — სლოვენია, ლუბლიანაში, 4 სექტემბერს, ჩვენი დროით 10 საათზე.

მერე, ოთხ დღეში, უძომუაშვილო ლატვიაც იქნება ეროვნულ სტადიონზე.

საამმატჩებოდ კი ჰოლანდიაში მყოფმა ჩვენი ნაკრების მწვრთნელმა იოჰან ბოსკამპმა გუშინ ის ფეხბურთელები დაასახელა, რომელთაგანაც აირჩევს კიდეც საბოლოო შემადგენლობას.

ბოსკამპის სიაში ორი ახალი გვარია, ორივე ნახევარმცველისა. ეროვნულ გუნდში დებიუტი ექნებათ „ვიტ ჯორჯიას“ 18 წლის დავით დილმელაშვილსა და მასზე ცხრა წლით უფროსს, დინამოელ თენგიზ სიჭინავას. ბოსკამპი კარგა ხანია ორივეს აკვირდებოდა, სიჭინავა „ბათუმიდანაც“ კი გადმოიბირა „დინამოში“, დილმელაშვილს კი კოპალეიშვილის 18 წლამდელთა ნაკრებში კარგი თამაშის შემდეგ უხმო.

ნაკრებს, ალბათ, დაუბრუნდება დონეცკის „შახტარის“ ფორვარდი მიხეილ ფოცხვერია, რომელზეც მწვრთნელს ადრეც არაერთხელ უთქვამს, ძალიან მაინტერესებს ამ ბიჭის თამაშიო.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან დანარჩენები კი ბოსკამპს ადრეც მიუწვევია ნაკრებში.

მეკარეები: დავით გვარამაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), გრიგოლ ჭანტურია (ტორპედო);

მცველები: კახა კალაძე (დინამო, უკრაინა), გივი დიდავა (დინამო), ბადრი ახვლედიანი (ტორპედო), მამუკა წერეთელი, დავით ჭიჭვეიშვილი (ორივე ალანია, რუსეთი), გელა შეყილაძე (ლიერსი, ბელგია);

ნახევარმცველები: ლევან ცქიტიშვილი, ლევან კობიაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), გიორგი ნემსაძე (უგუნდოდ), გოჩა ჯამარაული (ციურიხი, შვეიცარია), თემურ ქეცბაია (ნიუკასლი, ინგლისი), დავით დილმელაშვილი (ვიტ ჯორჯია), თენგიზ სიჭინავა (დინამო);

თავდამსხმელები: მიხეილ ყაველაშვილი (ციურიხი), გიორგი დემეტრაძე (ალანია), მიხეილ აშვეთია (დინამო), შოთა არველაძე (აიაქსი, ჰოლანდია), არჩილ არველაძე (ბრედა, ჰოლანდია), მიხეილ ფოცხვერია (შახტარი, უკრაინა).

ამათგან გიორგი ნემსაძე და მამუკა წერეთელი სლოვენიელების წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ, მათ ორ-ორი გაფრთხილება და, შესაბამისად, თითომატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვთ. ბოსკამპსა და ფეხბურთის ფედერაციას ამის მიუხედავადაც კი ორივეს ლიუბლიანაში წაყვანაც ჩაუფიქრებიათ, ლატვიისთვის აქედანვე მოემზადებიანო.

ეროვნული გუნდი შესარჩევი მატჩებისთვის მზადებას 30 აგვისტოს შეუდგება დილმის ბაზაზე, შეკრება სალამოხანსაა დანიშნული. ბოსკამპიც ამავე დღეს ჩამოვა. ქართველები ლიუბლიანას 2 სექტემბერს გაფრინდებიან, 5-ში უკან დაბრუნდებიან, მეორე დღესვე კი ლატვიელთა დასახვედრად განაახლებენ ვარჯიშს.

გამორიცხული არაა, თბილისში ჩამოსულმა ბოსკამპმა შემადგენლობა ოდნავ შეცვალოს.

კობა ინასარიძე

საქართველოს 11 ჩემპიონატი

# 2 ტური

თბილისი
21 აგვისტო
18 საათი
ისანი
1 500 (ტევადობა 3 000)

## არსენალი 2:0 დინამო

1:0 ხოსროშვილი (40), 2:0 ტარიელაშვლი (85)
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ასპინძელაშვილი, ლაცაბიძე, ირემაშვილი, მ. მაისურაძე, თარგამაძე, ხოსროშვილი (კაკაშვილი 77), ამირიძე, ტარიელაშვილი, გონჩაროვი (გ. სულაძე 73)
*სათადარიგონი:* კუპატაძე; ვ. ღუდუშაური, კვირკველია, ვახტანგ გაგუა, რობაქიძე
დინამო: დონდტი, შაშიაშვილი (ს. გიგიაძე 60), ი. ვაშაკიძე, დიდავა, პ. ჯინჭარაძე, ა. სახვაძე, გუჩუა (სიჭინავა 46), ალექსიძე, ვ. გიგიაძე (გ. შენგელია 72), ზირაქიშვილი, აშვეთია
*სათადარიგონი:* ლომაია; კობიაშვილი
გაფრთხილება: გუჩუა (45), ხოსროშვილი (76)
მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი), ზ. ანიაშვილი (გორი); ლ. სილაგავა (თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: გ. ძამუკაშვილი

ხვიჩა სანიკიძე

# გაიტანეთ გრენლანდია!

ალბათ, შეხვედრის ოქმი წაიკითხეთ და ერთი სული გაქვთ, დაწვრილებით შეიტყოთ „ისანზე" მომხდარი სასწაულის შესახებ. როგორ? რა მოხდა ასეთი? „დინამომ" „არსენალთან" წააგო?! აი, ამ კითხვებზე პასუხი უფრო გაინტერესებთ, ვიდრე მატჩის სტენოგრამული ჩანაწერები. მომიტევეთ, მაგრამ თქვენს ცნობისმოყვარეობას ისე ვერ დავაკმაყოფილებ, როგორც ფიქრობთ და გსურთ. თავიდანვე გეტყვით — „ისანზე" არანაირი სასწაული არ მომხდარა...

... მაშ, რატომ დამარცხდა „დინამო"? იმიტომ, რომ „არსენალმა" მოუგო. არმიელებმა საკუთარი სიძლიერე ირწმუნეს. ჩათვალეს, რომ მეტოქე ჩვეულებრივი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ჩვეულებრივი ქართული გუნდია, თავისი ძლიერი და სუსტი მხარეებით. ჩათვალეს, რომ ჩემპიონატის რიგითი კლუბის რიგით მოთამაშეებს ეპაექრებოდნენ და არა ათგზის ჩემპიონ დინამოელებს. „დინამოს" სინდრომისგან გამოწვეული შიში უკუაგდეს და აუღელვებლად აგორეს ბურთი. ქომაგთა მხარდაჭერას მიუგდეს ყური და ...

რატომ წააგო „დინამომ"? „არსენალს" შარშანდელი ბოლმა ახრჩობდა. 1:5 და 1:7 ჩემპიონისგან — ეს წყენა ედო გულში. მისმა თავკაცმა, დავით ჩახავამ, კარგად უწყოდა სტუმართა მცველების ხაზზე სუსტი თამაშის შესახებ. მან ბიჭები დაარწმუნა, რომ პირველ ტურში „ლოკომოტივთან" შემთხვევით არ გაუბათილებიათ ორბურთიანი სხვაობა და არც „დინამოს" წაუგია შემთხვევით ბათუმში. იცოდა ჩახავამ, რომ მის კოლეგას, ოთარ კორღალიძეს დებიუტი ჰქონდა და ემოციები დასძლევდა. საყოველთაო განწყობასაც გრძნობდა — ვერავინ წარმოიდგენდა, თუ „დინამო" ჩემპიონატში ზედიზედ მეორე შეხვედრას წააგებდა...

მატჩის დებიუტი, ისევე, როგორც მთელი 90 წუთი, სტუმართა შეტევებში გაილია. ჯერ კიდევ მე-2 წუთზე აშვეთიამ ვასო გიგიაძის დარტყმულ ბურთს მიმართულება შეუცვალა და ძელს მოახვედრა. „დინამომ" კვლავ მაღალ ტემპში განაგრძო. მერე ვილაცამ ტრიბუნიდან მიაძახა კორღალიძის შეგირდებს — ასე „ზიმბრუსთან" გეთამაშათო. ვილაცამ ბოსკამპი ახსენა, ვილაცამ დე სოუზა. მასპინძლებს კი ოვაციებს უმართავდა ყველა, გენერლიდან დაწყებული, რიგითი მაყურებლით დამთავრებული. „არსენალის" ერთადერთი ფორვარდი ბორის გონჩაროვი ცდილობდა, ბურთიანად რაც შეიძლება დიდხანს შეყოვნებულიყო მეტოქის ნახევარზე. თანდათან იკვეთებოდა სტუმართა დაცვის ხარვეზები. დინამოელები ისევ უშედეგოდ უტევდნენ, დიდი ძალებით გადადიოდნენ იერიშზე და ზურგსუკან ხშირად აშიშვლებდნენ ფლანგებს. ამას კი მასპინძელთა მწვავე კონტრშეტევა მოჰყვა.

მე-40 წუთზე „არსენალის" შემადგენლობაში ერთ-ერთმა საუკეთესომ, თარგამაძემ ცენტრიდან შეუტია, რამდენიმე დინამოელს ბურთი არ დაანება და მარჯვენივ თავისუფალ ზონაში მდგომ მაისურაძეს გადააწოდა. მუხრანმა საჯარიმოში ჩაწოდება არ დააყოვნა და სრულიად მარტოდ მყოფი ხოსროშვილი მოძებნა. ხოსროშვილმა ბურთი გააჩერა, კარისკენ გაიხედა და დონდტს მისგან მარცხენა კუთხეში დაურტყა. გოლი ძელის დახმარებით გავიდა 1:0.

მეორე ნახევარში „არსენალის" მეკარემ, თემურ ჩლაიძემ გაიბრწყინა — 49-ე და 52-ე წუთებზე აშვეთიას და სიჭინავას დარტყმული ბურთები სასწაულებრივი რეაქციით კუთხურზე გადააგდო.


გურამ ცერცვაძის ფოტო
გახარებული მასპინძლები: შალვა ლაცაბიძე მეკარე თემურ ჩლაიძეს გამარჯვებას ულოცავს

51-ე წუთზე მასპინძლებმა კვლავ კონტრიერიში განახორციელეს: თარგამაძემ გონჩაროვს კედელი გაუთამაშა და მარცხნიდან შემტევ ხოსროშვილს გააყოლა ბურთი. ამჯერად დონდტმა ივარგა.

მერე კი დინამოელებმა 5 წამში ორჯერ მოახვედრეს ძელს. ცოტა ხანში კი ჩლაიძე მასთან პირისპირ გასულ აშვეთიას ფეხებში ჩაუხტა. ასხლეტილი ბურთი ალექსიძემ შენგელიას დაუგორა, ამ უკანასკნელის დარტყმული კვლავ ჩლაიძემ მოიგერია და მცველებმა რის ვაი-ვაგლახით განმუხტეს სიტუაცია.

და ისევ კონტრშეტევა. მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე სულაძე მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა. დინამოელები უკან ჩასვლას ველარ ასწრებდნენ. სულაძემ საჯარიმოს ხაზისკენ მოძრავ ტარიელაშვილს დაბალი ბურთი გადააწოდა და მანაც შეუჩერებლივ, აუღებელი დაურტყა დონდტს. მართლაც ეფექტური გოლი იყო 2:0.

მატჩის შემდეგ „ისანი" ზეიმობდა. არავის უთქვამს, ეს რა სასწაული მოხდაო. „დინამოს" ბანკიდან კი ერთი ფრაზა დამამახსოვრდა — დაანგრია ყველაფერი და წავიდაო. ალბათ, მიხვდებით, ვისი მისამართით ისროლეს ქვა...

და ისევ როგორ წააგო „დინამომ"? თქვენ იცით, რატომ არ გაჰქონდათ „გრენლანდიის პეიზაჟი"? რომ გადაეგდოთ, დათრგუნული, დახავსებული აზროვნებისაგან გათავისუფლდებოდნენ. საამისოდ კი ძალა არ ჰყოფნიდათ. ჰოდა, გაიტანეთ გრენლანდია!... მარტო ოთახიდან არა...

# უჭიმნოდ, მაგრამ ლამაზად

ხობი
21 აგვისტო
18 საათი
კოლხეთი
2 000 (ტევადობა 12 000)

## ხობი 1:1 მერანი

1:0 კვეკვესკირი (16), 1:1 თოლორდავა (26)
ხობი: ნიქაბერიძე, ონიანი, ზ. კვეკვესკირი, ვ. ალანია (გედენიძე 41), ზურაბ აიანადი, ხურცილავა, ლ. გვაზავა, ვ. ჩიტაია, ბუკია (თორია 63), ჭიჭინაძე, ზაზა აიანადი (დ. დანელია 63)
*სათადარიგონი:* ბაბუაძე; გოგიტაძე ჯამბურია, ქაშიბაძე
მერანი: ნაჭყეპია, ლ. ამბიძე, ცქიფურიშვილი, ე. ალადაშვილი, პ. ლურსმანაშვილი, ჭინჭარაული (ბაჯელიძე 73), დ. ჯიშკარიანი (ხარებავა 63), თოლორდავა, დავითაშვილი, დევიძე, როსტიაშვილი (ივანიშვილი 78)
*სათადარიგო:* კოროშინაძე
გაფრთხილება: ჯიშკარიანი (31), ჩიტაია (59), დავითაშვილი (71)
მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი), ზ. დოლიძე; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: ჯ. თანანაშვილი

თენგიზ ძოჩუა ხობიდან

ხობელები ჩემპიონატის გახსნას მეტად მონდომებულად და ორგანიზებულად შეხვდნენ. ხობში ჩასულთ პირველ რიგში განახლებული სტადიონი ხვდებათ თვალში. აქ მართლაც შრომატევადი სამუშაო ჩაუტარებიათ. „კოლხეთი" მეტად კოპწიად გამოიყურება. მატჩის დაწყებამდე კონცერტიც გაიმართა, იყო ყვავილები, მილოცვები და საერთო მხიარულება. ამასობაში 6 საათიც შესრულდა და გუნდები მოედანზე გამოჩნდნენ. როგორც გახსნის მატჩს შეეფერება, კაპიტნებმა ეროვნული დროშა აქაც აღმართეს, მაგრამ ეროვნული ჰიმნის ჰანგები აკლდა, რომ უფრო ამაყად აფრიალებულიყო.

ახლა თვით მატჩზე. პირველივე წუთებიდან ნათელი გახდა, რომ გულშემატკივარი ლამაზ ფეხბურთს იხილავდა. მასპინძლებმა თავიდანვე შეუტიეს და პირველი ათი წუთის განმავლობაში თბილისელები, ფაქტობრივად, ცენტრს გამოღმა არ გამოუშვეს. დროის ამ მონაკვეთში გოლის გატანაც შეეძლოთ. პაატა ლურსმანაშვილმა უწყინარ სიტუაციაში შეცდომა დაუშვა და ლაშა ბუკია მეკარესთან პირისპირ გავიდა, იქ კი თავდამსხმელმა ძალიან დააჩქარა, კარში აღარ დაარტყა და რეალური საგოლე მომენტი ქარს გაატანა.

მე-15 წუთზე, როცა მოედნის ცენტრში ერთ-ერთი ორთაბრძოლისას ლევან თოლორდავამ ფეხი იტკინა და დაეცა, არბიტრმა წესის დარღვევა არ დააფიქსირა. სტუმრები თამაშის შეჩერებას მოელოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა, ცენტრიდან გაჭრილმა ზაზა კვეკვესკირმა 20 მეტრიდან ძლიერად, ზუსტად დაარტყა და მეკარისგან მარცხენა, დაბალ კუთხეში გაიტანა — 1:0.

გოლმა გაამხნევა მასპინძლები და მათ კიდევ უფრო მწვავედ შეუტიეს. საჯარიმოს ხაზიდან ახლა უკვე ლევან გვაზავამ მიიტანა იერიში და ნაჭყეპიამ დიდი გაჭირვებით მოიგერია ბურთი კუთხურზე.

ტაიმის მეორე ნახევარი კი სახიფათო მომენტებით დაიტვირთა. გუნდებმა, ფაქტობრივად, მოხსნეს დაცვა და უკანმოუხედავად შეუტიეს. რიგრიგობით იქმნებოდა საგოლე მომენტები ჯერ ერთ, მერე მეორე კართან, მაგრამ თავდამსხმელები სცოდავდნენ. ყველაზე რეალური მომენტი როსტიაშვილს ჰქონდა. მან მასპინძელთა მეკარის შეცდომა ვერ გამოიყენა, 12 მეტრიდან ვერ გაიტანა.

26-ე წუთზე გოლი მაინც გავიდა. მერანელებმა საჯარიმოში ჩააწოდეს ბურთი, იქ კი ლევან თოლორდავამ ყველას დაასწრო და თავით კარში გადაგზავნა.

ტაიმის ბოლოს სტუმრებს კიდევ ორჯერ ჰქონდათ გოლის გატანის შანსი. ამ დღეს მშვენივრად მოთამაშე თოლორდავამ ქუსლით დაუგორა ბურთი დავითაშვილს, რომელმაც ეს გადაცემა ვერ შეირგო და მეკარესთან პირისპირ გასულმა კარს ააცილა. ტაიმის ბოლოს კი თავად თოლორდავა ურტყამდა საჯარიმოს შიგნიდან, მაგრამ ბურთი ბადეს გარედან მოხვდა.

მეორე ტაიმი სანახაობრივად უფრო უინტერესო გამოდგა. ეტყობოდა, რომ ორივე გუნდის მწვრთნელებმა დაცვა გააძლიერეს და მეტოქეებიც უკანმოუხედავად აღარ უტევდნენ. თავიდან სტუმრები უფრო აქტიურობდნენ. მჭიდრო მეურვეობით მათ გასაქანი არ მისცეს ხობელებს და სახიფათოდაც შეუტიეს, მაგრამ აშკარა საგოლე მომენტი ვერ შექმნეს. ბოლო თხუთმეტი წუთი კი მთლიანად მასპინძლების იყო და თითქოს გოლიც უნდა გასულიყო, მაგრამ ... ყველაზე რეალური მომენტი ხურცილავას ჰქონდა. თენგიზ ჭიჭინაძემ საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი მიწაზე დაუშვებლად, ძლიერად დაარტყა ხურცილავამ, მეკარემ რეაგირება ვერ მოასწრო, მაგრამ ბურთმა ჯვარედინს ჩაუქროლა.

# მთავარია ძმობა

ფოთი
21 აგვისტო
18 საათი
ეროვნული
1 500 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 2:0 გორდა

1:0 ტრაპაიძე (16), 2:0 გოგოლაძე (44)
კოლხეთი: გვასალია, გოროზია (პაპავა 46), ტორჩინავა, გ. გიორგაძე, ქუნთელია, კედელაშვილი, ტრაპაიძე, ღაღანიძე, მ. მელაძე, ხუჭუა (ბულუხია 61), დ. გოგოლაძე (ბურკვაძე 81)
*სათადარიგონი:* ჩემია; ლეჟავა, ჭოხონელიძე, ანჯაფარიძე
გორდა: მ. ქორიძე, მ. სახვაძე, ბერიძე, ინასარიძე, გაბელაია, თელიაშვილი, კ. ჩიგოშვილი (ჩიტაური 83), ა. ბუკია (გ. ხიზანიშვილი 46), კიტეიშვილი (ბაჩილავა 24), მიშველიძე, ლ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* გონგაძე; ლაბაძე
მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: გ. ფირცხალავა

გოჩა ჯანაშია ფოთიდან

გასულ სეზონში, იყო, როცა კოლხებმა „ფაზისზე" ზედიზედ სამჯერ წააგეს. მაშინ ჯოხი უფრო მსაჯებზე გადატყდა. აი, ამჯერად თუ პირველს მეორე მარცხი მოჰყვებოდა, ამას გუნდს ნამდვილად არავინ აპატიებდა.

როგორც შევიტყვეთ, ხობელებთან მარცხის შემდეგ, კლუბის თავკაცებს ფეხბურთელებთან და მწვრთნელებთან მკაცრი საუბარი ჰქონიათ. გია ტყებუჩავას გუნდიდან წასვლაზე განცხადებაც დაუწერია, მაგრამ არ გაუშვიათ — იმუშავე, ოღონდ ასეთი რამ მეტი არ განმეორდესო.

ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა განწყობით გავიდოდა „კოლხეთი", ქვემო ქართლელებთან სათამაშოდ. ტყებუჩავამაც გარკვეული კორექტივები შეიტანა შემადგენლობაში. ასეთი სამი ცვლილება შევნიშნეთ. დაცვაში ანჯაფარიძის და ინიაშვილის მაგივრად, კედელაშვილი და ქუნთელია ვიხილეთ, ხოლო წინ ხუჭუას, ყოფილი სტუდენტი დავით გოგოლაძე შეუწყვილდა. ბულუხია კი სათადარიგოთა შორის აღმოჩნდა.

სათადარიგოთა შორისაც არ იყო ზაზა ინიაშვილი. ამას კლუბთან ფინანსური უთანხმოება მოსვლია და იძულებული გამხდარა წასულიყო.

ჰო, თვით თამაშზეც ვთქვათ ცოტა. ცოტა იმიტომ, რომ მატჩი დიდი ვერაფერი საცქერი გახლდათ. როგორც ყველგან, ფოთშიც ძლიერ ცხელოდა, ფეხბურთელებიც მოთენთილები და მისავათებულები ჩანდნენ. ეს უფრო სტუმრებზე ითქმოდა, განსაკუთრებით შესვენებამდე.

კოლხები თავიდანვე დომინირებდნენ. ვერ გეტყვით თავი მოიკლესო, მაგრამ რუსთაველთა აქტივობა, მათთან აბა რა მოსატანია. გოლიც მალე გავიდა. პირველი ნიშანი მეათე წუთისთვის იშვა, როცა ღაღანიძის ასისტენტობა ხუჭუამ ახლოდან თავურით ვერ შეიშნო. მალე ტრაპაიძის ჯერი დადგა. მან მარცხენა ფლანგზე გაილაღა. ცენტრიდან დაძრულმა გზად რამდენიმე მცველს ჩაუქროლა. გოგოლაძესთან კედელი გაითამაშა და ქორიძეს მარცხენა კუთხეში ლამაზად გაუტანა.

საერთოდ ტრაპაიძე თითქოს არც ჩანდა, თუმცა, როცა ბურთს მოიხელთებდა, უმალ ხიფათი იქმნებოდა სტუმართა მარჯვენა ფლანგზე. ასე იყო ტაიმის ბოლოსწინა წუთზეც. სწორედ მისი გადაცემა მიიღო კარისგან ზურგშექცევით მყოფმა გოგოლაძემ. დათოს შემოტრიალება და ქორიძის ახლო კუთხეში ბურთის ლურსმანივით შეჭედვა ერთი იყო.

პირველ ტაიმში საცოდაობა იყო რუსთაველთა ცქერა. მათ ხეირიანი არაფერი გამოსდიოდათ და წინ ეულად მყოფი ლაშა ალადაშვილი, უსაქმოდ იყო. თამაშის განახლების შემდეგ, „გორდამ" შედარებით აიშვა და კოლხთა საჯარიმოს მისადგომებს გაუშინაურდა. ოღონდ, ამით არაფერი გამოუვიდათ. ერთადერთხელ ჰქონდათ რუსთაველებს თამაშის შემობრუნების თუ არა, სეზონში პირველი გოლის გატანის შანსი, 75-ე წუთზე მიშველიძე გვასალიას რომ დაუპირისპირდა. თითქოს მოატყუა კიდეც, მაგრამ ბურთი გაექცა, კუთხე შეუმცირდა და მხოლოდ გარედან მოარტყა ბადეს.

მატჩის შემდგომ ტრადიციულ პრეს-კონფერენციაზე, „გორდას" წარმომადგენლის ნათქვამი გვენიშნა — ჩვენ „კოლხეთთან" ყოველთვის კარგი, ძმური ურთიერთობა გვქონდა და არც დღევანდელი დღე იყო გამონაკლისიო. ასე რომ, დღესდღეობით რუსთაველთათვის კოლხთა მიმართებაში მთავარია ძმობა, შედეგი კი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აი, რევანში

თბილისი
21 აგვისტო
18 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 75 000)

**ლოკომოტივი 2:0 სამგურალი**

1:0 გოგიჩაიშვილი (4), 2:0 რუსია (39)
**ლოკომოტივი:** ასლანაძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარამიძე (ჩაჩუა 84), კაციაშვილი (შავგულიძე 46), გოგიჩაიშვილი, ქებაძე, რუსია (კ. მელქაძე 67), ლ. მიქაძე, მ. ქობულაძე, ვ. გველესიანი
*სათადარიგონი:* დ. ჯანელიძე; ბაქრაძე
**სამგურალი:** ო. ბობოხიძე, ნებიერიძე (ჭელიძე 46), ფრანგიშვილი, ლ. ქობულაძე (ფხაკაძე 46), ვოსკანოვი, სადილიანი, სუხიაშვილი, ჯავახაძე, ზ. ქუთათელაძე, კოხრეიძე (ძოძუაშვილი 46), ი. ხაჭაპურიძე
*სათადარიგონი:* ბოდოკია; ზურაბიანი
**გაფრთხილება:** ლ. ქობულაძე (14), ფრანგიშვილი (52)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ო. ხეცაძე (თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** შ. ხინჩაგაშვილი

**გიორგი ვაშაკიძე**

„პაიჭაძეზე" ჩატარებულ ამ შეხვედრას გარკვეული ინტრიგა ახლდა — „ლოკომოტივი" თუ „სამგურალი", „სამგურალი" თუ „ლოკომოტივი"?.. ალბათ, გახსოვთ ამ გუნდების სათასო ნახევარფინალი, ვაკეში დასრულებული 0:0 შემდეგ წყალტუბოელებმა შინ მამუკა აფციაურის ერთადერთი გოლით რომ დაამარცხეს ფავორიტად შერაცხული რკინიგზელები. თუმცა შაბათს ორივე გუნდი სრულიად სახეშეცვლილი წარსდგა ერთმანეთის პირისპირ. და მაინც, ახლაც გამარჯვებას თბილისელებს უწინასწარმეტყველებდნენ და ეს ვარაუდი გამართლდა კიდეც, თუმცა მეორე ნახევარში კარგად ათამაშებულ წყალტუბოელებს ოდნავ იღბალი რომ ჰქონდათ, „სამგურალს" იქნებ „არსენალის" მაგალითი გაემეორებინა.

მასპინძლებმა შეხვედრა კი მოიგეს, მაგრამ აშკარად ჩანდა, მათი უმთავრესი საფიქრალი 27 აგვისტოს „ლინფილდთან" საპასუხო მატჩი იყო.

პირველი ნახევარი რკინიგზელებმა ძლიერად ჩაატარეს. მათ შეეძლოთ, ორი გატანილი ბურთისთვის სულ ცოტა ხუთი დაემატებინათ, მაგრამ წყალტუბოელთა მეკარე ოთარ ბობოხიძე ჩინებულად თამაშობდა. თუმცა „სამგურალს" ფორტუნაც წყალობდა. კახა გოგიჩაიშვილმა ორჯერ და ლევან ქებაძემ ძლიერი დარტყმებით კარის ძელები შეაზანზარეს.

როდესაც გოგიჩაიშვილმა დებიუტშივე დალაშქრა „სამგურალის" კარი, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ „ლოკომოტივი" დიდი ანგარიშით მოიგებდა შეხვედრას, მაგრამ მასპინძლებმა მხოლოდ რუსიას მეორე გოლი იკმარეს.

მეორე ნახევარში კი „სამგურალი" ამოქმედდა. წყალტუბოელები ისე ათამაშდნენ, თქვენი მოწონებული. რეზო ბურკაძემ, „სამგურალის" მთავარმა მწვრთნელმა, შესვენებაზე სამივე შეცვლის უფლება გამოიყენა და შემცვლელებმაც გაამართლეს. სტუმრებმა თამაში დაალაგეს, თუმცა საბოლოო დარტყმებისას აშკარად სცოდავდნენ.

ბოლოს კი ორივე გუნდს დაღლა დაეტყო. შეხვედრის ბედი გადაწყვეტილი იყო და ფეხბურთელებიც უფრო დადიოდნენ მინდორზე, ვიდრე დარბოდნენ. გასავათებულთ გუნთაძის სასტვენმა სულზე მოუსწრო.

ასეა თუ ისე, „ლოკომოტივმა" XI ჩემპიონატში პირველად იმარჯვა და „არსენალისა" და „ბათუმის" დარად, აქტივში ოთხი ქულა დააგროვა. „ა" ზონის ლიდერი კი ექვსქულიანი „ვიტ ჯორჯია" გახდა.

... მასპინძლებს X ეროვნულის ბოლო შეხვედრაში ორი მატჩით დისკვალიფიცირებული კაპიტანი, პაატა ბარნოვი და თავმტკივანი შოთა ჩომახიძე აკლდათ, მეკარე დათო ჯანელიძე კი სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

ამ სამეულიდან ჩრდილოეთ ირლანდიაში ბარნოვი და ჩომახიძე ნაღდად წავლენ, მთლიანად გუნდიც კარგ განწყობაზეა. რა იქნება 27-ში, ამას საღამოს შევიტყობთ.



ლოკომოტიველმა მამუკა რუსიამ (№11) შალვა ფრანგიშვილს (№3) და „სამგურალს" ბევრი თავსატეხი გაუჩინა



ბათუმელი პაატა მაჭუტაძე (№9) თბილისელ ზურაბ ხიზანიშვილს გაექცა

# ეროვნულის ხმები

თბილისი
22 აგვისტო
18 საათი
ეროვნული
1 200 (ტევადობა 75 000)

**თბილისი 1:1 ბათუმი**

1:0 მიქაძე (17), 1:1 მაჭუტაძე (43)
**თბილისი:** ბათიაშვილი, რუხაძე (ლ. ბურდული 67), ზ. ხიზანიშვილი, აბრამიძე, ზამთარაძე, ო. გველესიანი, გ. კვარაცხელია, გიორგი მიქაძე, ქემოკლიძე, ვალერი გაგუა (ი. შენგელია 59), ისიანი (ლ. მელქაძე 46)
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი; თ. აფციაური, ებრალიძე, ნორაკიძე
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე (კანტიძე 52), პაპიძე, მ. მახარაძე, ზ. არჩვაძე, მუჯირი, კობიძე (რომანაძე 89), გელა ქორიძე, მაჭუტაძე, ტულუში, აფხაზავა (გადელია 61)
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; თედორაძე, მინდაძე, უვაკვე
**გაფრთხილება:** ქორიძე (33), აბრამიძე (79)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); გ. ასკაროღლი (ქარელი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); ა. სამხარაძე (სოხუმი)
**სფფ-ის დელეგატი:** ა. დურსუნიში

**კობა ინასარიძე**

„ბათუმი" თბილისს ამაღლებული განწყობით ეწვია. პირველივე ტურში „დინამოს" მძლეველები დედაქალაქიდანაც სამი ქულის წაღებას ელოდნენ. ელოდნენ, მაგრამ „თბილისს" აღარ ეკითხებოდნენ? აპირებდნენ კი ისინი ფავორიტთათვის რაიმეს დათმობას? ახალგაზრდა თბილისელები ისე დაუხვდნენ მეტოქეს და თამაშიც ისეთი ხალისით დაიწყეს, „ბათუმის" გამარჯვებას ვინღა იფიქრებდა, ემანდ... თუმცა, ყველაფერთან ერთად თბილისელებს ისიც კარგად ეტყობოდათ, ერთობ ფრთხილობდნენ და ურისკოდ, ბეჯითად აგორებდნენ ბურთს. ტაიმის მესამედიც ამგვარად ჩამთავრდა, ეს დრო „ბათუმმაც" მასპინძელთა უკეთ შესაცნობად გამოიყენა. მერე კი ორივე გუნდი გათამამდა და მე-17 წუთზე გოლიც გავიდა — სრულიად უხიფათო სიტუაციაში თავისი საჯარიმოს კუთხესთან ვანო მახარაძემ ადევნებულ მიქაძეს დაუთმო ბურთი, მეტოქის მცველთა შუა მოქცეულმა გიორგიმ კი რამდენიმე წამში იმდენი ცრუ მოძრაობა გააკეთა, ყველა დააბნია და მოულოდნელი დარტყმით ანგარიშიც გახსნა.

„თბილისს" მადა გაეხსნა, რამდენიმე წუთით სტუმართა ნახევარზე დასახლდა. „ბათუმი" აირია და ტოგონიძის ოსტატობა რომ არა, ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ გაიხარებდნენ მასპინძლები. განსაკუთრებით კი საჯარიმოს ხაზიდან მეტრში დანიშნული ჯარიმის შემდეგ იყოჩაღა მეკარემ — გაგუამ ბურთი ცხრიანში დაუმიზნა, მან კი კუთხურზე მოიგერია. ტოგონიძემ ერთი ორჯერ შესვენებისას შეცვლილ ისიანსაც დაასწრო.

მერე ბათუმელ ფეხბურთელებს მწვრთნელმა კარნევალემ შეუფუცხუნა, იტალიურად ისე გაჰკიოდა, „დინამოს" მწვრთნელყოფილ ბოსკამპს მოგაგონებდათ. „ბათუმმაც" შეტევებს უმატა და რამდენჯერმე სახიფათოდაც დაემუქრა მასპინძლებს. აფხაზავასა და მაჭუტაძეს მიზნის მისაღწევად ცოტა აკლდათ. უპირატესობა აშკარად „ბათუმისა" გახლდათ. განსაკუთრებით მარცხენა მცველი არჩვაძე აქტიურობდა, კარნევალეც სულ პრიმა, პრიმაო, გაიძახოდა. არჩვაძემ ძალიან მოაწონა იტალიელს თავი. „თბილისის" შუა ნახევარმცველები კი რატომღაც ინერტულები გახდნენ. მეტოქეს მხოლოდ საჯარიმოს ახლომახლო თუ დაუხვდებოდნენ. გოლიც მათ პასიურობას მოჰყვა: ტულუშს იმდენი აცალეს სანამ არ მიიხედ-მოიხედა და მაჭუტაძე ბათიაშვილის პირისპირ დატოვა. „ბათუმის" მეგოლესაც სხვა რა უნდოდა, პაუზა გააკეთა და ორიოდ მეტრიდან აულებლად დაარტყა.

მეორე ტაიმში მასპინძლები რატომღაც შეტევაზე ნაკლებს ფიქრობდნენ, ერთი შეცვლაზე შესული მელქაძე თუ დაემუქრებოდა სტუმარ მცველებს. გამოცდილი კანტიძის მინდორზე გამოჩენის შემდეგ კი „ბათუმის" თამაშიც უფრო დალაგდა. ტულუშმა მარცხნივ გადაიწია და აქცენტიც იქითა ფლანგზე გაკეთდა. არჩვაძე ისევ მარცხნივ დარჩა, კარნევალეც ძველებურად, კომპლიმენტებს არ აკლებდა.

ყველაფრის მიუხედავად, „ბათუმს" მაინც არაფერი გამოუვიდა. „თბილისი" მეკარე ზურაბ ბათიაშვილს უმადლოდეს, რამდენჯერმე რომ გადაარჩინა თანაგუნდელები.

მასპინძლებისა კი ერთის მეტი არაფერი დაგვამახსოვრდა. ის ერთიც, კვარაცხელიას წამოწყებული კონტრშეტევა, თავადვე მეტად ცუდად დაამთავრა, ბურთი ტრიბუნისკენ გაგზავნა.

მატჩის დროც ნელ-ნელა მიილია. „თბილისი" შედეგით აშკარად კმაყოფილი იყო, მილოცვებიც არ დაჰკლებია მათ მწვრთნელ რამაზ მუმლაძეს. მაინცდამაინც ნირწამხდრები არც ბათუმლები დარჩენილან, მით უმეტეს, რომ ვინც მათ კონკურენტებად შეგვიძლია ჩავთვალოთ, „დინამომაც" და „ტორპედომაც", ქულები დაკარგეს.

და ერთიც, კარგი იქნება, თუ „თბილისი" ამიერიდან მაისურას გამოიცვლის. „დინამოს" ემბლემით მკერდდამშვენებულებმა არ უნდა ითამაშონ.

# იქნებ მესამეც არის?

თსუ
მცხეთა
22 აგვისტო
18 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

**თსუ 1:1 იბერია**

1:0 წუწუნავა (17), 1:1 ადეიშვილი (87)
**თსუ:** მერლანი, ნინუა, ახალაძე, წუწუნავა, დეკანოსიძე (დ. ხომერიკი 27), გ. მიქაძე, თ. ბოკერია (სვანაძე 72), გ. გოცირიძე (ინწკირველი 64), ერაძე, კვიციანი, დ. არჩვაძე
*სათადარიგონი:* გუგუნავა; ჯობაძე, ბ. ნოზაძე, გ. გვაზავა
**იბერია:** გ. დოლიძე, ბიწაძე (დარსაძე 67), გ. ლურსმანაშვილი, გეგეშიძე, მიქელთაძე, მუმლაძე, მ. ჯინჭარაძე, ხმალაძე, ნიკოლეიშვილი, ივეჩიანი (ფილიპაშვილი 69), ზ. მეტრეველი (ადეიშვილი 82)
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; ქველაძე, ნ. გიორგაძე, ოდიკაძე
**გაფრთხილება:** კვიციანი (51), ერაძე (54), ბოკერია (57), ლურსმანაშვილი (80), დარსაძე (85)
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), მ. ელიკაშვილი (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში)
**სფფ-ის დელეგატი:** ა. მილჩენკო

**პაატა კვანტალიანი მცხეთიდან**

თბილისურ ხვატს გამოქცეულისთვის შვება იყო მცხეთის „არმაზზე" ყოფნა. ეგ იყო, სულს თუ მოითქვამდი კაცი, თორემ თამაში დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა. უფერული ფეხბურთის ბრალი იყო თუ სუფთა ჰაერის, ლამის ძილმა წამართვა თავი (ისე, ჩემს დღეში მყოფთ არჩევანის გაკეთება დიდად არ გასჭირვებიათ).

ამას წინათ ქართული გუნდების სეზონისწინა მომზადებაზე ითქვა. ფედერაციის მესვეურნი კმაყოფილებას გამოთქვამდნენ გუნდების მიერ გავლილი საწვრთნელი ციკლით და იმედოვნებდნენ, რომ ყოველივე ჩემპიონატის დონის ამაღლებას შეუწყობდა ხელს. ვერ გეტყვით, როდიდან უნდა ველოდეთ ჩემპიონატის დონის ამაღლებას, მაგრამ გუშინწინდელი მატჩის შემთხვევაში ერთი კითხვა გამიჩნდა — რატომ იღლებიან პირველი ტაიმის შემდეგ (უკეთეს შემთხვევაში) სრულფასოვან შეკრებაგავლილი გუნდები? ვითომ სიცხის ბრალია ყოველივე? არა მგონია. მცხეთაში კი არა, დოუსონის კუნძულზე რომ ეთამაშათ ამ გუნდებს, მაინც იმავე ტემპითა და სცენარით წარიმართებოდა შეხვედრა. რა ვიცი, რატომღაც ასე ვფიქრობ.

მოკლედ, ორში ერთია — ან გუნდებს სრულფასოვანი შეკრება არ გაუვლიათ (მაშასადამე, თავმოსაწონი არაფერი გვაქვს), ანაც ბევრი ჩვენებური კლუბი ამ დატვირთულ შეკრებმოკრებებს ვერ უძლებს. თუ ასეა, ჩემპიონატის დონის ამაღლება ერთობ საეჭვოა.

ცოტა რამ მოსაწყენ მატჩზეც ვთქვათ. მასპინძელთა ორწუთიან გამოცოცხლებას გოლი მოჰყვა. მე-15 წუთზე ერაძის მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებული ბურთი საჯარიმოში თავშეყრილ რამდენიმე მოთამაშეს ფეხზე მოხვდა და კარისკენ უსწრაფესად მიმავალი გუბაზ დოლიძემ გაჭირვებით გადააგდო კუთხურზე. ორ წუთში კი ნინუამ საჯარიმოში გამოზომილად ჩააწოდა და თავზე დაასვა წუწუნავას ბურთი, რომელსაც დოლიძემ მხოლოდ თვალი გააყოლა. ამას ქვემორე ფოტოც დაგიდასტურებთ.

87-ე წუთამდე მცირე ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა ხუთი წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა ადეიშვილმა თქვა. იბერიელთა გოლის აღწერას არ შევუდგები — მასპინძელთა მიერ გატანილი ბურთის ანალოგიური იყო, ადეიშვილს ასისტენტობა მალხაზ ჯინჭარაძემ გაუწია. სტუმრებს რომ მეტი ფხა გამოეჩინათ, უთუოდ გაიმარჯვებდნენ, მაგრამ ბოლო წუთზე, შეცვლაზე შესულ დარსაძეს დამაგვირგვინებელი დარტყმის განსახორციელებლად ძალა არ ეყო: პირისპირ შეყრილ ფორვარდს შედარებით თავშენახულმა მერლანმა აჯობა და შეხვედრაც ფრედ 1:1 დასრულდა.

სხვათაშორის, ეს გუნდები პირველი ტურის მატჩებშიც დაზავდნენ. ჰოდა, სადებიუტო ანგარიშს მათ არც ამჯერად უღალატეს.



გუბაზ დოლიძე სტუდენტთა ამ შეტევას ვერ გაუმკლავდა

# სულ შენი ბრალია...

მცხეთა
21 აგვისტო
18 საათი
არმაზი
1 000 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 3:0 სიონი**

1:0 ჭანკოტაძე (53), 2:0, 3:0 ქორიძე (87, 90)
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ბარქაია, ჭანკოტაძე, ე. საჯაია, ხართიშვილი, კ. ალადაშვილი, ლ. ნოზაძე, ყიფიანი (დ. დოლიძე 54), მაზიაშვილი (კოტორაშვილი 77), რ. გოცირიძე (ვ. გოჩაშვილი 69), გიორგი ქორიძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ს. თოდუა, ზ. გვაზავა
**სიონი:** ვოლკოვი, დიმიტრიშვილი, სიდამონიძე, შაკიაშვილი (მ. სამხარაძე 81), ნ. მინდიაშვილი, თ. სამხარაძე, მ. გოგოლაძე, ყიფშიძე (ლ. გაგუა 66), მოსეშვილი, დათუაძე (დ. სვანიძე 64), დ. გოდერძიშვილი
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; ტარუღაშვილი, მ. მინდიაშვილი, დ. ჯაფარიძე
**გაფრთხილება:** ყიფშიძე (59), გოცირიძე (68), სიდამონიძე (68), მინდიაშვილი (90)
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი), გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** ნ. კაკულია

**მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან**



ნუგზარ კეთილაძის ფოტო

ბოლნისელები გიორგი ყიფშიძე (შუაში) და ბახვა მოსეშვილი გიორგი ქორიძის (მარცხნივ) შეჩერებას ცდილობენ

„ვიტ ჯორჯია" ბოლნისურ „სიონთან" სამი ქულის აღებას გეგმავდა. ვეტერინარებმა საწადელი აისრულეს, სტუმრებს დიდი ანგარიშით მოუგეს, მაგრამ გამარჯვება შთამბეჭდავი ვერ გამოუვიდათ. ვიტელებმა ვერ ითამაშეს ისე, როგორც „ა" ზონის ლიდერებს ეკადრებათ.

53-ე წუთამდე ბოლნისელებს წასაგები არაფერი სჭირდათ. ის კი არა, პირველ ტაიმში მასპინძლებზე მეტი საგოლე მომენტი შექმნეს. არავინ იცის, როგორ დამთავრდებოდა მატჩი, გოდერძიშვილს, ანაც მოსეშვილს გასატანი რომ გაეტანათ. არაფერს ვამბობთ მეკარის მიერ მოგერიებულ ბურთებზე.

მაშ, რატომ წააგო „სიონმა"? იმიტომ, რომ გუნდში მოშლილია სათამაშო დისციპლინა. მწვრთნელის მითითებას ნახევარი გუნდი თუ ასრულებს, მეორე ნახევარი მსაჯთან და მოწინააღმდეგესთან კამათს, ხელების შლას და ლაპარაკს უნდება. ამას დაუმატეთ სუსტი ფიზიკური მომზადება და ყველაფერი ნათელი გახდება. სხვა მხრივ, ბოლნისელებს სოლიდური შემადგენლობა შემოუკრებიათ და ნაკლოვანებებს თუ აღმოფხვრიან, მაშინ უეჭველად მოიგებენ.

კი, მაგრამ, „ვიტ ჯორჯიას" რაღა მოუვიდა? გუნდს უხასიათობა ეტყობოდა. ბიჭები რატომღაც შებოჭილები ჩანდნენ, სისხარტე აკლდათ.

მეკარე ჭურაძეს პრობლემა ჰქონდა — ბურთს ხელში ვერ იჭერდა. დაცვა რატომღაც საჰაერო ორთაბრძოლებში ვერ მარჯვობდა, არადა, ისეთ ათლეტურ გუნდს, როგორიც „ვიტ ჯორჯიაა", მეორე სართულზე თამაში არ უნდა უჭირდეს.

ნახევარდაცვას თითქოს არა უშავდა, მაგრამ გიორგი ყიფიანის ფლანგზე გამწესებას მისი სულ არდაყენება სჯობს. იგი ათჯერ მეტად სარგებლიანი იქნებოდა მოედნის ცენტრში.

თავდასხმაში ქორიძეს გოცირიძე ეწყვილებოდა. კარის წინ ტრიალი არ არის ქორიძის საქმე. გიორგი მაქსიმუმს მაშინ ავლენს, როცა მოქმედების ფართო დიაპაზონი აქვს. იგი მოწოდებით ფორვარდი კია, მაგრამ უფრო მეტად სასარგებლოა, როცა მარჯვენიდან უტევს. გოცირიძემ კი კარის წინ უნდა იტრიალოს. ათლეტურ და ძლიერ ახალგაზრდას ვერც სასტარტო სისწრაფეს დავუწუნებთ. მას შეუძლია გოლის გატანა.

ზემოთქმული, ცხადია, მხოლოდ სუბიექტური აზრია და არავის ვახვევ თავზე. უბრალოდ, ასეთი გამოჩნდა შაბათს „ვიტ ჯორჯია". „სიონთან" მატჩში.

და მაინც, რომ არა გიორგი ჭანკოტაძის ჩინებულად შესრულებული საჯარიმო, მასპინძლები დიდი ანგარიშით ვერ მოიგებდნენ. ქორიძის წაქცევისთვის დასჯილი ბოლნისელები ცოცხალ კედლად კი აღიმართნენ, მაგრამ ჭანკოტაძემ ვოლკოვს ახლო ცხრიანში გაუტანა. ეს არ იყო ხმელი ფოთოლი, არც მოჭრილი დარტყმა. უფრო ამათ ნაზავს ჰგავდა, ოღონდ ბურთი ძლიერად იყო დარტყმული.

ჭანკოტაძეს, რა თქმა უნდა, დამსახურებას ვერ დავუკარგავთ, თუმცა იმასაც ვიტყვით, რომ ასეთ გამოცდილ მეკარეს, როგორიც ვოლკოვია, დარტყმულის მოგერიება მართებდა. მეკარემ ახლო კუთხეში გოლი არ უნდა გაუშვას.

სწორედ ამის მერე აირია „სიონი". სტუმართა თავკაცმა ყიფშიძისა და შაკიაშვილის ნაცვლად შეტევაზე დაგეშილი მოთამაშეები შეიყვანა მინდორზე. ამან დაცვა დაასუსტა, ლიბერო სიდამონიძემაც წინ წაიწია და სტუმართა დაცვაში ნაპრალები გაჩნდა.

ქორიძემაც გაინავარდა — ორი გოლი ხომ გაიტანა, ორჯერ მეტი საგოლე მომენტი ქარს გაატანა.

დაღლილ ბოლნისელებს კი შეტევაში ღირებული არაფერი გამოუვიდათ. ისინი ქაოტურად უტევდნენ, შანსი პირველივე ტაიმში გაუშვეს ხელიდან.

მეორე იყო ნაცნობი სცენარი — რამდენიმე სტუმარი ფეხბურთელი მსაჯს ადანაშაულებდა, რომ წავაგეთ, შენი (უფრო სწორად, თქვენი) ბრალიაო. მსაჯებს იმ დღეს მიუტევებელი არაფერი ჩაუდენიათ, ნორმალურად სჯიდნენ. ასეთ დროს არბიტრებთან კამათი იმის მაჩვენებელია, რომ მეტი არ შეგიძლია, მეტოქეს ვერ ჯობნი და თავსაც არ უტყდები საკუთარ სისუსტეში.

„ვიტ ჯორჯია" კი ლიდერია, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მსგავსი თამაშით „ბათუმთან" ფონს გასვლა გაუჭირდება. კარნევალი შაბათს მცხეთაში იყო, იჯდა თავისთვის და რალაცეებს ინიშნავდა.

# მრგვალია ეს ოხერი, მრგვალი...

ქუთაისი
21 აგვისტო
18 საათი
ეროვნული
3 000 (ტევადობა 23 800)

**ტორპედო 2:2 დილა**

1:0 გოგიაშვილი (47), 2:0 იმედაძე (50), 2:1 თაყაძე (61), 2:2 სულთანიშვილი (80)
**ტორპედო:** გრ. ჭანტურია, ახვლედიანი, ხვადაგიანი (იმედაძე 46), თურმანიძე, შეყრილაძე, ჩხეტიანი, კ. კვეტენაძე (ამისულაშვილი 65), გოგიაშვილი, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (ვ. მაისურაძე 61), იონანიძე
*სათადარიგონი:* სომხიშვილი; თავბერიძე, ვაჩიბერაძე, მ. ბობოხიძე
**დილა:** სოლოლაშვილი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, თაყაძე, ციცქიშვილი (გ. ჩიტაია 75), შატაკიშვილი, ფეზუაშვილი (დ. მაისურაძე 66), ბ. ჩიტაია (სულთანიშვილი 62)
*სათადარიგონი:* მდივანი; კარელიძე, ოლგესაშვილი, არუთუნიანი
**გაფრთხილება:** ხაჭაპურიძე (80), გ. ჩიტაია (86)
**მსაჯები:** მ. მალალურაძე (თბილისი); თ. ლაცაბიძე (სურამი), ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი); თ. გიორგაძე (სამტრედია)
**სფფ-ის დელეგატი:** ნ. ამირეჯიბი

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ტორპედოელები მეორე ტურში ორ ქულას იზარალებდნენ, სულ რაღაც თვენახევრის წინ (მართალია, ამხანაგურ მატჩში) 5:1-ზე ძლეულ გორელებს ვერ გაუმკლავდებოდნენ და საკუთარ ქომაგთაც ძლიერ გაანაწყენებდნენ.

არადა, იმასაც ვერ იტყვი, მასპინძლებმა მეტოქე არად ჩააგდესო. დავით ყიფიანმა თავის გუნდს ისეთივე შემადგენლობით და ტაქტიკით დააწყებინა, რაც ტალინურ მატჩში. „ტორპედოც" იოლად დაეუფლა უპირატესობას და, ფაქტობრივად, მთელი პირველი ტაიმი სტუმართა ნახევარზე გაატარა. საკუთარ საჯარიმოს მიჯაჭვულ „დილას" ერთი საზრუნავიღა ჰქონდა — როგორმე ბურთი არ გაეშვა. პირველად გორელები მე-3 წუთზე გადარჩნენ. ჩხეტიანი მარცხენა ფლანგზე, პირით ხაზთან სამ მცველს შეებრძოლა, გამარჯვებული გამოვიდა და კარგადაც ჩააწოდა სტუმართა საჯარიმოში, ოღონდ გარჯამ ფუჭად ჩაუარა, პარტნიორებმა გადაცემა ვერ შეირგეს. ხუთ წუთში გოგიაშვილმა 20 მეტრიდან სახიფათოდ შეასრულა საჯარიმო და „დილას" ისევ გაუმართლა, ბურთი ოდნავ აცდა მიზანს. რამდენი ასეთი ჩამოვთვალოთ. მე-18 წუთზე გოგიაშვილმა გორელთა საჯარიმოს წინ ჯერ შეყრილაძესთან გაითამაშა „კედელი", მერე მეგრელაძესთან და თითქოს სოლოლაშვილთან პირისპირაც დარჩა, მაგრამ ბოლო მომენტში მცველმა დაასწრო და სიტუაცია განმუხტა. ძლიერი სიცხის მიუხედავად, მასპინძლები საკმაოდ მაღალ ტემპში მოქმედებდნენ. 27-ე წუთზე კვეტენაძემ საჯარიმოს კუთხიდან დაბალი დაურტყა „დილას" მეკარეს, სოლოლაშვილმა შეძლო ბურთის კუთხურზე მოგერიება. ტორპედოელებმა ეს კუთხური გაითამაშეს, რასაც ახვლედიანის ძლიერი შორეული დარტყმა მოჰყვა და სტუმრები ბეწვზე გადარჩნენ, ბურთმა რაღაც სანტიმეტრებში ჩაუქროლა ძელს. გავიდა ათი წუთი და იონანიძემ გაუშვა ხელიდან გატანის საუკეთესო შანსი, ჩხეტიანის ჩაწოდებულს კართან ახლოს დაუხვდა, მაგრამ რად გინდა, ააცილა. იქვე გოგიაშვილმა ერთხელაც დაარტყა ძლიერად და ისევ იმარჯვა მეკარემ. აი, ასეთი, ტოტალური უპირატესობის მიუხედავად, „ტორპედომ" შესვენებამდე ვერა და ვერ მოახერხა სტუმართა კარის აღება. „დილას" აშკარად სწყალობდა ფორტუნა და არა მარტო ის. ორ ეპიზოდში ქუთაისელები არბიტრისაგან 11-მეტრიანს ელოდნენ, მაგრამ ამაოდ.

სამეორტაიმოდ მასპინძელთა შემადგენლობაში ფეხმტკივანი ხვადაგიანის ნაცვლად იმედაძე გამოჩნდა. ახალგაზრდა ფორვარდმაც უმალ ისახელა თავი. ჯერ იყო და იმედაძემ მარჯვნიდან ზუსტად ჩაუწოდა სტუმართა საჯარიმოში მყოფ გოგიაშვილს და გიორგიმაც აღარ დაახანა, ათიოდე მეტრიდან თავურით მიზანში მოარტყა. სამ წუთში უკვე გოგიაშვილმა გაუწია ასისტენტობა იმედაძეს, მოკლე პასით იგი, ფაქტობრივად, მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. გიორგი უმცროსს უმალ შეეძლო კარში დარტყმა, მაგრამ ოდნავ შეყოვნდა, თუმცა წამიერი პაუზის შემდეგ მაინც დაარტყა. სოლოლაშვილმა მოიგერია, გადმოვარდნილი ისევ იმედაძეს მიუვიდა, ტორპედოელი უკვე გორელ მცველთა ალყაში იყო მოქცეული, მაგრამ მაინც შეძლო კარისკენ გაგზავნა. ბურთი ჯერ ძელს მოხვდა, მერე მეკარეს და ისე შეგორდა ბადეში — 2:0. ხუთ წუთში კი მასპინძლებს მესამეც უნდა გაეტანათ. სოლოლაშვილმა ჩხეტიანის არცთუ ძლიერად დარტყმული ახლოს მოიგერია, იმედაძემ დაამატა, მაგრამ ააცილა.

ამის შემდეგ იყო, „ტორპედომ" ტემპი რომ შეანელა და გორელებმაც შედარებით თავისუფლად იგრძნეს თავი. მასპინძელ მცველთა ყურადღების მოდუნებამ სტუმრებს კონტრშეტევაზე გადასვლის საშუალება მისცა და... „დილას" პირველივე სწრაფმა იერიშმა ნაყოფი გამოიღო. ლომიძის გადაცემის შემდეგ თაყაძე მარჯვნიდან შეიჭრა ქუთაისელთა საჯარიმოში და საკმაოდ მახვილი კუთხიდან გაქვითა ერთი ბურთი. დავით ყიფიანმა დაცვის გასაძლიერებლად ვასილ მაისურაძეს და ამისულაშვილს უხმო მოედანზე, მაგრამ გათამამებული სტუმრები ამან ველარ შეაჩერა. 66-ე წუთზე ტორპედოელები ისევ შეცდნენ დაცვაში, ციცქიშვილმა კარგად გაუჭრა სათამაშოდ ახალშესულ სულთანიშვილს, გორელი ჭანტურიასთან პირისპირ გადიოდა, მაგრამ აქ იგი თანამსაჯმა შეაჩერა, ლაცაბიძემ მეტად საეჭვო თამაშგარე ასწია. მერე, ცოტა არ იყოს, არბიტრმაც შესცოდა. კარგად ჩანდა, გორელი მცველი საკუთარ საჯარიმოში ეუხეშა იმედაძეს, რასაც წესითა და რიგით, 11-მეტრიანი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ მსაჯმა სტუმრებს მხოლოდ ჯარიმა აკმარა, ხაზს გარეთ დადო ბურთი.



მამუკა დარჩია ქუთაისიდან

ქუთაისელმა გიორგი იმედაძემ (მარჯვნივ) გოლი კი გაიტანა, მაგრამ არც რევაზ ხაჭაპურიძის „დილა" დარჩა ვალში

როგორც ვთქვით, „დილას" თანდათან გაუქრა „ტორპედოს" შიში და აკი მეორედაც იხეირა. ერთი სწრაფი კონტრშეტევაც და ანგარიში გათანაბრდა. შატაკიშვილმა მარჯვნიდან ჩააწოდა ქუთაისელთა საჯარიმოში, ამისულაშვილი — სულთანიშვილის ორთაბრძოლაში გამარჯვებული გორელი დარჩა და დარტყმაც უნაკლო გამოუვიდა, ჭანტურიამაც ველარ იხსნა თავისიანები.

თამაშის დასრულებამდე ათი წუთი იყო დარჩენილი (ამას არბიტრის მიერ წამატებული სამიც დავუმატოთ). „ტორპედომ" თითქოს ძალა მოიკრიბა და შეტევაზე გადავიდა, მაგრამ... ისე, მასპინძლებს შეეძლოთ გამარჯვების გოლის გატანა. სულ ბოლოს ახვლედიანმა ჩვეულად გაინავარდა მარჯვენა ფრთაზე, მერე ფეხზე დაასვა ბურთი გორელთა საჯარიმოში ჩასაფრებულ იონანიძეს, ოღონდ ამან ვერ ივარგა, კარს ათი მეტრით ააცილა.

გახარებული გორელები უნდა გენახათ და... ყურებჩამოყრილი ტორპედოელები.

რას იზამ, ყველაფერი ხდება. მრგვალია ეს ოხერი ბურთი, მრგვალი. მაგრამ მიდი და ამტკიცე. ქომაგნი ტორპედოელებისგან მხოლოდ გამარჯვებას მოითხოვდნენ და რა გასაკვირია, თუ თამაშის შემდეგ ერთი-ორი მწარე სიტყვაც შეუთვალეს.

ქუთაისელთა მეკარის, გრიგოლ ჭანტურიას საქციელს კი მაინც ვერაფრით გავამართლებთ. მან ჯერ კიდევ პირველი ტაიმის მიწურულს დაუწყო კინკლაობა თანაგუნდელ გოგიაშვილს. ერთ მომენტში დავით ყიფიანმა ორივეს შეცვლა დააპირა, მაგრამ მოკინკლავენი დამშვიდდნენ და მანაც გადაიფიქრა. ბოლოს იყო და, პოლიციელებმა მუჯლუგუნებით გაიყვანეს გასახდელისკენ მეკარე. ჭანტურიამ მაყურებლებთან სიტყვიერი ანგარიშსწორება არ იკმარა და პლასტმასის ჭურჭელიც მოისროლა ტრიბუნაზე.

მოთამაშეს არ უნდა ესწავლებოდეს. რაც უნდა მოხდეს, მოედანზე თავი უნდა შეიკავოს.

# თემურ ქეცბაიამ ზურგი იტკინა



რუუდ გულიტმა პრემიერლიგის მეოთხე ტურის მატჩში „უიმბლდონის“ წინააღმდეგ თემურ ქეცბაია 62-ე წუთზე შოტლანდიელი დანკან ფერგიუსონით შეცვალა. ამ დროისთვის „ნიუკასლი“ 3:1-ს უგებდა მეტოქეს. შეხვედრა კი საბოლოოდ 3:3 დასრულდა.

„უიმბლდონთან“ ზურგის ტრავმა მივიღე და ამის გამო დავტოვე მინდორი. ძალიან ცუდი იქნება, თუ მომდევნო შეხვედრაში „სანდერლენდთან“ „ნიუკასლს“ ვერ დავეხმარები. ძალიან არასასიამოვნოა ბოლო ადგილზე ყოფნა, ამას ნამდვილად არ ვიმსახურებდით“ — უთხრა ქეცბაიამ გუშინ რუსულ გაზეთ „სოვეტსკი სპორტს“, რომელსაც ქართველ ლეგიონერთან ხელშეკრულება აკავშირებს პრემიერლიგის ტურების მიმოხილვის თაობაზე.

„ჩვენ, უბრალოდ, არ გვიმართლებს. ბოლო ადგილზე რომ ვართ, ეს მხოლოდ გაუგებრობაა. „ნიუკასლი“ ყველა შეხვედრაში შემტევ ფეხბურთს თამაშობდა. მაგალითისთვის: ჩვენ იმაზე მეტი გავიტანეთ, ვიდრე ზოგიერთმა ლიდერმა, ვთქვათ, „ტოტენჰემმა“.

დაცვის შეუთამაშებლობამ, სადაც ძალიან ბევრი ახალწვეულია სხვადასხვა ქვეყნიდან, იქამდე მიგვიყვანა, რომ გაცილებით მეტს ვუშვებთ, ვიდრე გაგვაქვს.

„უიმბლდონთან“ ძალიან კარგად ვითამაშეთ, დიდი ანგარიშითაც უნდა მოგვეგო. ლონდონურმა კლუბმა კი თითებზე ჩამოსათვლელი მომენტები შექმნა და ყველა გამოიყენა. განსაკუთრებით დასანანი ბოლო წუთზე გაშვებული გოლია. ეს კი ისევ დაცვის ბრალია“ — ასე ახსნა „ნიუკასლის“ წარუმატებელი სტარტი ქეცბაიამ.

„განწყობა ნიუკასლში, რა თქმა უნდა, საუკეთესო არ არის. რამდენიმე ფეხბურთელი დაშავებულია, წითელი ბარათის გამო არეულია შირერი, ძალიან არამყარია გულიტის მდგომარეობაც. მომდევნო შეხვედრა მეზობელ „სანდერლენდთან“ გველის და ყოველივე ზემოთქმულის გამო ურთულესი იქნება. ძალიან დამწყდება გული, თუ ტრავმა საშუალებას არ მომცემს, „სანდერლენდთან“ გუნდს დავეხმარო. ყველაფრის მიუხედავად, „ნიუკასლი“ აუცილებლად დატოვებს ცხრილის ქვედა ნაწილს“ — დარწმუნებულია ქეცბაია.

**სიმონ მენაბდე**

# არჩილმა დუბლი შეასრულა



არჩილ არველაძე

ჰოლანდიის მეორე დივიზიონში არჩილ არველაძემ პირველად გამოიჩინა თავი. ქართველის „ნაკ ბრედამ“ მეორე ტურში „ვოლენდამს“ უმასპინძლა და 5:0 გაუსწორდა. „ბრედა“ მთელ მატჩის განმავლობაში საგრძნობ უპირატესობას ფლობდა. მე-13 წუთზე საიმონსმა პირველი გოლი გაიტანა, 43-ეზე კი არჩილ არველაძემ დალაშქრა „ვოლენდამის“ კარი.

მასპინძლებს ტემპი არც მეორე ტაიმში დაუგდიათ და შრეიდერმა (48), არველაძემ (67) და გუდელმა (82) კიდევ სამი ბურთი შეაგდეს სტუმართა კარში.

„წინა ტურში „ზვოლესთან“ 3:4 წაგების შემდეგ ჩვენ ნელ-ნელა თავს ვაღწევთ შექმნილ მდგომარეობას“ — განაცხადა მატჩის შემდეგ „ბრედას“ პრეზიდენტმა. მედიამ არველაძე მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარა.

**სიმონ მენაბდე**

# ძოძუაშვილი ოფიციალურად წავიდა

საქართველოს ნაკრების მეტოქის, ლატვიის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად გუშინ ლატვიის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად დაამტკიცა რიგის „სკონტოს“ თავკაცი ალექსანდრ სტარკოვი. შეგახსენებთ, რომ ეს პოსტი რეზო ძოძუაშვილის საუდის არაბეთის „ალ იტიჰადში“ გადასვლის შემდეგ ვაკანტური გახლდათ.

ძოძუაშვილი ოფიციალურად გადადგა თანამდებობიდან, რითაც დაარღვია შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ქართველი ლატვიის ნაკრების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დარჩენილ მატჩებზეც უნდა ყოფილიყო.

სტარკოვი, კონტრაქტის თანახმად, ნაკრებში 9 ოქტომბრამდე იმუშავებს. ჯგუფში მიღწეული შედეგის მიუხედავად, როგორც გუშინ გახდა ცნობილი, ოქტომბერში ბალტიისპირელებს ახალი, უცხოელი სპეციალისტი გაწვრთნის. სადაცაა გასრულდება მოლაპარაკებები ინგლისელ მწვრთნელთან, რომლის ვინაობა ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია.

**სიმონ მენაბდე**

# 12 000 ბევრი ყოფილა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი გიორგი დავითნიძე ჯერ კიდევ მშობლიურ ქალაქში იმყოფება.

როგორც იცით, „ჯორჯო“ უკრაინული ტერნოპოლის „ნივას“ საკუთრებაა. დავითნიძეს „მერანიდან“ წასვლის შემდეგ ამ უკრაინულ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული, რომლის ვადაც 2000 წლის აპრილში იწურება.

„სარბიელთან“ ერთ-ერთი ბოლო საუბრისას „მერანის“ პრეზიდენტმა ნუგზარ ნავაძემ გვითხრა, „ნივამ“ დავითნიძე, ფაქტობრივად, მოატყუა, ის პირობები, რასაც შეპირდა, არ შეუსრულაო და...

თავად გიორგისაც არ სურდა ტერნოპოლში დაბრუნება, ეიმედებოდა, ეგებ „ნივა“ დათანხმდეს და იმ ქართულ კლუბში, რომელიც ჩემს აყვანას მოისურვებს, გამანათხოვროსო.

ამიტომაც იყო, დავითნიძე XI ჩემპიონატისთვის „ლოკომოტივში“ რომ გადიოდა მზადებას. თითქოსდა ფორმალობა მოგვარებული იყო და რკინიგზელებსაც ფეხბურთელი განაცხადში უნდა შეეყვანათ, მაგრამ მოულოდნელად გიორგი პირველ ლიგაში აღზევებულ „თბილისში“ აღმოჩნდა, თანაც „დინამოს“ ყოფილი შვილობილის მესვეურთ მისთვის გარანტია მიუციათ, ნუ გეშინია, ყველაფერს მოვაგვარებთ, ჩვენთან ითამაშებო. გავიდა დრო და დავითნიძე ვერც „თბილისის“ განაცხადში ვიხილეთ.

მაინც, რა მოხდა ისეთი, რატომ ვერ მოიკიდა გიორგიმ ფეხი ვერც ერთ თბილისურ გუნდში?

— ალბათ, იცით, „ნივას“ საკუთრება რომ ვარ. ვერც „თბილისმა“ და ვერც „ლოკომოტივმა“ ტერნოპოლელებს ის თანხა ვერ გადაუხადეს, რაც „ნივამ“ გამოსასყიდად მოითხოვა. მცირეოდენი იმედი კი მქონდა, მაგრამ გადაწყვეტილია, ისევ ტერნოპოლში უნდა დავბრუნდე.

**— რამდენადაც ვიცი, „ნივაში“ დაბრუნება არ გსურდა.**

— ეს მართალია, მაგრამ რა უნდა ვქნა, სულ უთამაშებლობას, ალბათ, ასე სჯობს.

**— თუ „ნივა“ დათანხმდებოდა, „ლოკომოტივშიც“ და „თბილისშიც“ განათხოვრებით უნდა გეთამაშა?**

— განათხოვრებაზე თავად „ნივამ“ თქვა უარი. როდესაც ჩემი გამოსყიდვა დააპირეს, „ნივას“ შეუთვალეს, ცოტა ხანს გვაცალეთ და გაგისტუმრებთო, მაგრამ უკრაინელები გაჯიუტდნენ — ფული მოგვეცითო... ერთი სიტყვით, თანხა ვერ გადაიხადეს.



გიორგი დავითნიძე

**— მაინც, რამდენს ითხოვდა შენში „ნივა“?**

— 12 ათას დოლარამდე.

**— ახლა რას აპირებ?**

— ტერნოპოლში დავბრუნდები, რაც უნდა იყოს, უკრაინის ჩემპიონატია. კონტრაქტი აპრილამდე მაქვს. ნოემბრამდე იქ ვითამაშებ, მერე თუ რაიმე ვარიანტი გამოჩნდა, ხომ კარგი, თუ არა და წასასვლელი არსად მაქვს.

**გიორგი ვაშაკიძე**

# «ოლიმპიკი» — ერთადერთი ალტერნატივა?

გახსოვთ ლანჩხუთის „გურია“? წესით, უნდა გახსოვდეთ. ალბათ, ისიც გეცოდინებათ, რომ დიდი ტრადიციების მქონე კლუბს გასულ სეზონში პირველი ლიგიდან ქვემოთ ჩამონაცვლებამ მოუწია. ამას ვინ ჩივის, სულაც დაიშლებაო, გაიძახოდნენ სკეპტიკოსები.

ამ ბოლო დროს „გურიას“ ირგვლივ უამრავმა ჭორ-მართალმა მოიყარა თავი. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. ისიც ითქვა, გამოჩნდა პიროვნება, რომელიც კლუბის ასაღორძინებლად არაფერს იშურებს და ფედერაციაც თანახმაა, გურულებმა პირველ ლიგაში ადგილი შეინარჩუნონო. თუმცა, ამით რა გამოვიდა, თავად ნახეთ. რამდენიმე დღეა, მთელ ლანჩხუთს „ოლიმპიკი“ აკერია პირზე. არა, კაცო, უცბად მარსელისა არ გეგონოთ. არც გაიფიქროთ. საუბარი ეხება აგერ, ჩვენთან, თბილისში არსებულ ბავშვთა საფეხბურთო კლუბ „ოლიმპიკის“ და „გურიას“ თანამშრომლობას. უფრო სწორად, ჩათვალეთ, რომ სწორედ ეს კლუბი გამოვა რეგიონულ ლიგაში „გურიას“ სახელით.



გიგლა იმნაძე

ამასთან დაკავშირებით ლანჩხუთის რაიონის გამგეობას და „ოლიმპიკს“ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: გამგეობა საფეხბურთო კლუბ „გურიას“ (სტადიონით და დაბა გრიგოლეთის ბაზით) 5 წლის ვადით გადასცემს საფეხბურთო კლუბ „ოლიმპიკს“, მართვის უფლებით. იმ პირობით, რომ „ოლიმპიკი“ უზრუნველყოფს ლანჩხუთის „გურიას“ მონაწილეობას წლევანდელი ჩემპიონატის რეგიონულ ლიგაში ადგილის შენარჩუნებით და 3-4 სეზონის შემდეგ პირველ ლიგაში დაბრუნებას ეცდება.

ამასთან, გუნდის დაფინანსებას თავის თავზე იღებს თბილისური მხარე, ხოლო მეორე მხარე, ლანჩხუთის რაიონში ჩატარებული საწვრთნელი შეკრებებისა და მატჩების დროს, გუნდის კვების საკითხის მოგვარებისთვის იზრუნებს. და რაც უმთავრესია, ახალშექმნილი კლუბის მწვრთნელების და აუცილებელი მომსახურე პერსონალის შერჩევის, დანიშვნის, გათავისუფლების და ანაზღაურების საკითხებს წყვეტს საფეხბურთო კლუბ „ოლიმპიკის“ პრეზიდენტი და მისი დირექტორატი.

ამ დოკუმენტის შედგენას ლანჩხუთში დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ბევრს მიაჩნია, რომ ეს იძულებითი და ამავე დროს მართებული ნაბიჯია. არიან ისეთებიც (საკმაოდ მრავლად), რომლებიც ეჭვის თვალით უყურებენ ამ შეთანხმებას. ამავე აზრს იზიარებს „გურიას“ აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი ამირან წილოსანი. მისი თქმით, ეს ყველაფერი ბლეფია და მხოლოდ გრიგოლეთის ბაზის ხელში ჩასაგდებად არის მოგონილი. ბატონი ამირანი აცხადებს, გუნდის შენარჩუნება ადგილობრივი ძალებითაც იყო შესაძლებელი, მაგრამ ვინ დაგვაცალაო. საიდან, როგორ, ამაზე ყოფილ პრეზიდენტს არაფერი უთქვამს.

ასეა თუ ისე, ოლიმპიკელებით დაკომპლექტებული „გურია“ რამდენიმე დღეა გრიგოლეთში სეზონისწინა სამზადისს შეუდგა. გაირკვა, რომ რეგიონულ ლიგაში კლუბს უთავკაცებს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი გიგლა იმნაძე. მას დაეხმარება „გურიას“ ყოფილი ფეხბურთელი თემურ ებანოიძე. გუნდის უფროსობა დავით მუჯირს მიანდეს, ხოლო პრეზიდენტის პოსტს საფეხბურთო კლუბ „ოლიმპიკის“ პრეზიდენტი კარლო მჭედლიძე დაიკავებს.

„გურიას“ ახალ თავკაცებს კლუბის გაძლიერებაც აქვთ გადაწყვეტილი. ამ მიზნით ბაზაზე უკვე ვარჯიშობს წინა სეზონში „გურიაში“ ნამყოფი მეკარე გიორგი ნიკურაძე. აგრეთვე გუნდთან ერთად მოემზადება ალეკო განევი და ირაკლი ფაცურია და თუ ხელმძღვანელობასთან ფინანსური შეთანხმება შედგება, ისინი, ალბათ, კვლავ დაიცავენ მშობლიური კლუბის ღირსებას.

მოკლედ, გურულებს თბილისური სისხლი გადაუსხეს და როგორი დონორები აღმოჩნდებიან ეს ახალბედა ბიჭები, ამას დრო გვიჩვენებს.

**გოჩა ჯანაშია**
**ლანჩხუთიდან**

# რამდენი ეკუთვნის როი კინს?

## ინგლისი

IV ტური

**არსენალი 1:2 მანჩესტერი**

1:0 ლიუნგბერგი (41), 1:1, 1:2 კინი (58, 88)
არსენალი: მანინგერი, დიქსონი, კიოუნი, აპსონი, სილვინიო, ანრი (შუკერი 77), პარლოუ, ვიეირა, ლიუნგბერგი, კანუ (ოვერმარსი70), ბერხკამპი
მანჩესტერი: ვან დერ გოუ (კალკინი 90), ფ. ნევილი, ბერგი, სტამი, ირვინი, ბექემი, კინი, სქოულზი (ბათი 61), გიგზი, იორკი, კოული (შერინგემი 77)
გაფრთხილება: სქოულზი, ბერგი, ბექემი, ნევილი, პარლოუ
მსაჯი: გ. პოლი

**ჩელსი 1:0 ასტონ ვილა**

1:0 ეპიოგუ (52 ს.კ.)
ჩელსი: დე გუი, ფერერი, ლებეფი, დესაი, ბაბაიარო, პეტრესკუ (გოლდბეკი 77), უაიზი, მორისი, პოიეტი, სატონი (ფლო 77), ძოლა (ამბროზეტი 87)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ეპიოგუ, საუთგეიტი, კალდერვუდი (სტოუნი 77, დრეიპერი 89), დილენი, ჰენდრი, ტეილორი, თომპსონი (მერსონი 71), რაიტი, დაბლინი, ჯოაკიმი
გაფრთხილება: პოიეტი, სატონი, ლებეფი, ტეილორი, ჰენდრი, თომპსონი
მსაჯი: ნ. ბერი

**ევერტონი 4:1 საუთჰემპტონი**

1:0 გაფი (36), 2:0 ლუნდეკვამი (47 ს.კ.), 3:0 ჯეფერსი (48), 4:0 კემპბელი (54), 4:1 პახარსი (70)
ევერტონი: ჟერარდი, უიერი, გაფი, დანი, ანსუორთი, ბარმბი, კოლინზი, პემბრიჯი (უორდი 77), ჰაჩისონი (ჯემილი 65), ჯეფერსი (კადამარტერი 77), კემპბელი
საუთჰემპტონი: ჯონსი, ჰილი, რიჩარდსი, ლუნდეკვამი, ბენალი, რიპლი, ჰიუზი, სოლტვედტი, კაჩლული (ბრიჯი 57), დევისი, პახარსი (ბრედლი 76)
გაფრთხილება: ჰაჩისონი, ჰიუზი, დევისი, ბრედლი
მსაჯი: ბ. ნაითი

**უოტფორდი 1:0 ბრედფორდი**

1:0 მუნი (71)
უოტფორდი: დეი, ლიტლი, უილიამსი, პეიჯი, რობინსონი, ჰაიდი, პალმერი, ისტონი, კენედი, მგონგე (ფოლი 78), მუნი
ბრედფორდი: უოლში, ჰელი, უეზეროლი, დრეიერი, ჯეკოფსი, ლოურენსი (სონდერსი 60), უოლი, რედფირნი (გრანტი 72), ბიგრი, მილსი, უინდასი
გაფრთხილება: ტეილორი, ჰენდრი, თომპსონი, ჯეკობსი, დრეიერი
მსაჯი: რ. ჰარისი

**ლიდსი 2:1 სანდერლენდი**

0:1 ფილიპსი (37პ), 1:1 ბოიერი (52), 2:1 მილსი (71)
ლიდსი: მარტინი, მილსი, ვუდგეიტი, რადებე, ჰერტი, ჰოპკინი, ბეტი, ბოიერი, კიუელი, ჰაკერბი, ბრიჯიზი (სმიტი 58)
სანერლენდი: სორენსენი, მაკინი, ჰელმერი, ბატლერი (ქუინი 73), გრეი (ჰოლივეი 63), სამერბი, შვარცი, რაე, ბოლი (დიკიო 90), მაკკანი, ფილიპსი
გაფრთხილება: ბეტი, ჰერტი, ბატლერი, ჰელმერი, შვარცი, რაე, ბოლი, ქუინი
გაძევება: რაე (42)
მსაჯი: პ. ოლკოკი

**მიდლსბრო 1:0 ლივერპული**

1:0 დინი (49)
მიდლსბრო: შვარცერი, სტამპი (მასტო 84), ვიკერსი, ფესტა, ციგე, თაუნსენდი, ინსი, გესქოინი (ონილი 19), პალისტერი, რიკარდი (კემპბელი 88), დინი
ლივერპული: ვესტერველდი, ჰეგემი, მატეო, ჰიიპია, სტონტონი, ბერგერი (თომპსონი 66), კარაგერი, ჟერარდი, რედნეპი, კამაპა, ფაულერი
გაფრთხილება: თაუნსენდი, ონილი, სტამპი, ჟერარდი, ფაულერი, კამარა
მსაჯი: ს. დანი

**ნიუკასლი 3:3 უიმბლდონი**

1:0 სპიდი (7), 2:0 დომი (28), 2:1 ჰიუზი (44), 3:1 სოლანო (46პ), 3:2, 3:3 ანსუორთი (68, 90)
ნიკასლი: კერლსი, ბარტონი, მარსელინიო, გომა (ბეჰარალი 59), დომი, სოლანო, დაიერი, მაკკლენი, სპიდი, ძეცბაიბა (ფერგიუსონი 61), რობინსონი
უიმბლდონი: სალივანი, თეტჩერი, პედერსენი, კანინგენი, კიმბლი, კორტი, ერლი (იუელი 59), ანდერსენი (ანსუორთი 59), რობერტსი, ჰიუზი (ლიბერნი 75), გეილი
გაფრთხილება: ანსუორთი
მსაჯი: მ. რიდი

**შეფილდი 1:2 ტოტენჰემი**

0:1 ფერდინანდი (19), 1:1 კარბონე (23პ), 1:2 ლეონარდსენი (41)
შეფილდი: პრესმენი, აზერტონი, თომე, უოქერი, ნოლანი, ალექსანდერსონი, ჰასლამი, იონკი (სკოტი 82), რუდი (ბუთი 56), კარბონე, დებილდე
ტოტენჰემი: უოქერი, კარი, პერი, იანგი, ტარიკო, ლეონარდსენი, შერვუდი, ანდერტონი, ჟინოლა (ფროინდი 46), ივერსენი, ფერდინანდი
გაფრთხილება: ფერდინანდი, ივერსენი, ფროინდი
მსაჯი: ა. დურსო

**ქოვენთრი 2:0 დერბი**

1:0, 2:0 კინი (43, 87)
ქოვენთრი: ჰედმანი, ედუორთი, შოუ, უილიამსი, ბაროუზი, ტელფერი (ფროგატი 59), პაჯი (ალოიზი 85), მაკალისტერი, ჩიპო, კინი (სტრაჩანი 84), უილანი
დერბი: პოომი, კარბონარი, ლაურსენი, პრაიორი, დილეპი, ბორბოკისი, ჯონსონი, პაუელი, ერანიო (ბოჰინენი 68), სტარიჯი (ჰარპერი 76), ბარტონი (ბექი 29)
გაფრთხილება: ჩიპო, უილიამსი, ბარტონი, სტარიჯი, ჯონსონი, ლაურსენი, ჰარპერი
მსაჯი: ჯ. უინტერი

**ვესტ ჰემი 2:1 ლესტერი**

0:1 ჰესკი (2), 1:1 ვანჩოპე (29), 2:1 დი კანიო (53)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, პოტსი, ფერდინანდი, პირსი, ლომასი, ფორე, ლამპარდი, მონკური, სინკლერი, ვანჩოპე, დი კანიო
ლესტერი: ფლაუერსი, სინკლერი, ელიოტი, ტაგარტი (გილჩრისტი 72), იმპი, სევიჯი (მარშალი 67), ლენონი, იზეტი, გაპი, კოტი, ჰესკი
გაფრთხილება: პირსი, სინკლერი
მსაჯი: ა. უილი

შაბათს პრემიერლიგის ცხრა შეხვედრა გაიმართა და სანახავი და მაგარმაგარიც ბევრი იყო ამ მატჩებში, მაგრამ საკვირაოდ მორჩენილი „არსენალ“ — „მანჩესტერის“ თამაში უდავოდ ზემოდან დასცქეროდა წინა დღის მოპაექრეებს.

უკანასკნელად როდის მოიგო „მანჩესტერმა“ ჰაიბერიზე?

ცნობილი თქმაა, „მანჩესტერი“ შეიძლება მსოფლიოს ჩემპიონიც გახდეს, მაგრამ მეთოფეებთან მაინც ვერას გააწყობსო. ეს საკვირაო თამაშიც ისე დაიწყო, რომ კაცი იფიქრებდა, ბოლოხანს დამკვიდრებული ტრადიცია „არსენალის“ მიერ ფერგიუსონის გუნდის ძლევისა, არ დაირღვევაო.

ჩემპიონები ახალ, მოხდენილ გასვლით ფორმაში გამოწყობილიყვნენ: წვრილი თეთრი ზოლებით გაწყობილ ლურჯ მაისურებსა და შავ ტრუსებში, „არსენალს“ ტრადიციული თეთრ-წითელი ემოსა. ვენგერის გუნდს აკლდნენ პეტი, კაპიტანი ადამსი, უინტერბერნი და მეკარე სიმენი, რომლის ადგილიც უკვე სახელმოხვეჭილ ავსტრიელ ყმაწვილს, ალექს მანინგერს ეკავა. თავის მხრივ, ევროპის ჩემპიონთა რიგში ფილ ნევილი თავის ძმას, გარის ცვლიდა, მეკარე ბოსნიჩს, უბერებელი სათადარიგო რაიმონდ ვან დერ გოუ, ხოლო წლით გამოთიშული იონსენის ადგილი შარშანდელი სეზონის გამცდენ ჰენინგ ბერგს ეჭირა და ვაი ამ დაჭერას.

მაგრამ მოვლენებს ნუ გავუსწრებთ და აღვნიშნოთ, რომ „მანჩესტერს“ პირველს უნდა გაეტანა. იყო იქ რამდენიმე მომენტი, რომელთა გამოყენებაც იორკსა და კოულს შეეძლოთ. იორკმა ძელიც კი დააზანზარა თავურით. ლოყებაწითლებულმა მანინგერმა ორი-სამი კარგი ბურთი აიღო, საჯარიმოს ხაზიდან შესრულებული საჯარიმო კი ბექემმა ვერ გადააცილა ცოცხალ კედელს.

არსენალის შეტევაში ნვანკვუ კანუ პროფესორობდა. მისი და ლიუნგბერგის გამჭოლი პასები მანჩესტერელთა დაცვის ბურჯ სტამს გვარიან ოფლს აღვრევინებდა, მით უფრო, რომ ბერგი მოედანს შეუჩვეველი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სტუმართა ბედი, რომ ბერხკამპს სამიზნე მოშლილი ჰქონდა. თუმცა, რატომ ბედი? ვან დერ გოუმ სამი მკვდარი ბურთი აიღო პირველ ნახევარში. ხნოვანი ჰოლანდიელი მეკარე ისე ირჯებოდა, რომ იფიქრებდი, სერ ალექსს ბოსნიჩი რაღაში სჭირდებაო. და მაინც, ვან დერ გოუს გაუტანეს. ტაიმის მიწურული მთლიანად მეთოფეთა იყო და კანუ-ბერხკამპ-ლიუნგბერგის საზრიანმა კომბინაციამ ეს უკანასკნელი ერთი-ერთზე დატოვა.

სტუმრებს ვან დერ გოუმ უშველა, თორემ ანგარიში მეტიც იქნებოდა.

ტრადიციული ჰაიბერული სცენარი კი მეორე ტაიმშიც ვითარდებოდა: ვიერა კანუს აწვდიდა, კანუ კი შემომატებულ ბერხკამპს ზედიზედ უჩვენებდა თავისუფალ ადგილებს: სილვინიოს კუთხურები იმდენად საშიში იყო, რომ ადამსის შემცვლელმა ახალბედამ მეტიუ აპსონმა მარცხენა ძელიც მოუსინჯა სტუმრებს.

თუმცა, ბექემისა და იორკის გაჩერება მაინც არ იქნა და ენდი კოულსაც ჰქონდა საგოლე მომენტი. მთელი თამაში არ ჩანდა როი კინი, „მანჩესტერელთა“ აჯანყებული კაპიტანი. როცა კინი გამოჩნდა, მის თანაგუნდელებს უკვე სამი ყვითელი ბარათი მიეღოთ მსაჯ გრემ პოლისგან, მასპინძლებს კი არც ერთი. არადა, როცა გუნდში პატრიკ ვიერა გყავს, როგორ არ უნდა დაიმსახურო თუნდაც ერთი გაფრთხილება?

კინი კი გოლით გამოჩნდა. ცნობილია, „მანჩესტერს“ ყოველთვის შეუძლია გატანა. კაპიტანმა ოდნავ შეყოვნებული კედელი გაითამაშა კოულთან და ანგარიში გაათანაბრა.

ამის შემდეგ კი ატყდა ძიძგილაობა. მოედანზე გამოსული დავორ შუკერი და ოვერმარსი ჯერ ხეირიანად არც მიხმარებოდა თავიანთ გუნდს, რომ ბექემს და ვიერას ძიძგილაობა მოუხდათ „არსენელის“ საჯარიმოსთან. კინი იქვე იყო და ფრანგს კოჭში წაჰკრა, რის პასუხადაც ვიეირამ სიფათში ჩააფარა სტუმართა კაპიტანს. ირლანდიელს, ჩვეულებრივ წყნარი სტამი წამოეშველა და უხიაგ მსოფლიოს ჩემპიონს დახჩობა დაუპირა. მსაჯმა ლირსეულად, წითელ-ყვითლების გარეშე განმუხტა ინციდენტი. ვიერამ კი თამაშის მიწურულს კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი, როცა ფილ ნევილს ცხვირ-პირში ესროლა ბურთი. მანამდე კი იყო კინის მეორე გოლი, მის ჩვეულ სტილში გატანილი, როგორც გაირკვა — გამარჯვებისა.



არსენალი — მანჩესტერი 1:2. ერთი ამბავი ჰაიბერიზე: ჩხუბის ამტეხი მანჩესტერელი როი კინი თავისიან იაპ სტამს აკავებს, მათი თანაგუნდელი დენის ირვინი კი უხიაგ მეთოფე პატრიკ ვიერას

REUTERS ლონდონიდან

შეხვედრის შემდეგ ფერგიუსონმა თქვა, როი გუნდურ ამბავში ბოლომდე ჩაერთო და როგორც კაპიტანმა, ჩვენს ჩაფლავებულ დაცვას ნამუსი მოწმინდაო. „მანჩესტერის“ თავმჯდომარე მარტინ ედუარდსი კი ოდნავ შერცხვენილი მაინც იქნებოდა, რახან სწორედ კინის ხელფასით ცდილობს ეკონომიის გაწევას. ვარსკვლავია ბექემი, უტეხია სტამი და ბრწყინვალეა იორკი, მაგრამ ცხადია, ამ გუნდში მთავარი, სწორედ ეს ხოტორა ირლანდიელია.

კინის მეორე გოლი 88-ე წუთზე გავიდა, დამატებული დროის ბოლო წამებზე კი „არსენალმა“ თავგანწირული შეტევის წყალობით თითქოს გაათანაბრა კიდეც: ბერხკამპი აწოდებს, აპსონი თავს ურტყამს და ვან დერ გოუ ნახტომში, კარის ხაზზე კლავს ბურთს. წაქცეული წამით შეუშვებს ცალ ხელს დამიწებულ ბურთს და შემდეგ კვლავ დააფარებს. მაგრამ საჯარიმოს ხაზიდან გამოვარდნილი მარტინ კიოუნი ჭვინტს ჰკრავს ბურთს და მასთან და მეკარესთან ერთად ვარდება კარში. წარბგახეთქილი ვან დერ გოუ საკაცით გაჰყავთ. გოლი არ ითვლება. ინიშნება ჯარიმა. შვიდ წამში შეხვედრა მთავრდება. არსენალელთა მენეჯერი არსენ ვენგერო წყლის ბოთლს მოისვრის და გასახდელისკენ მიდის. ჰაიბერი წამხდარია. კინი სტუმართა ტრიბუნისკენ მიემართება ტაშის კვრით...

და ამის შემდეგ შეგვიძლია გავიმეოროთ, რომ შაბათს ცხრა შეხვედრა გაიმართა. კვლავ იმარჯვა „ლიდსმა“ და კრისტიან ციგემ და ბრწყინვალედ მოთამაშე პოლ ინსმა უტიტულო „ბოროს“ ტიტულოვანი და უფერული „ლივერპული“ დაამარცხებინეს. „ნიუკასლი“ კი კვლავ იგებდა, თანაც ორი ბურთით და კვლავ ვერ მოიგო, თუმცა ამჯერად ის მაინც დაურჩა სანუგეშოდ, რომ „უიმბლდონს“ სამი ქულა კი არ გაატანა ლონდონში, არამედ მხოლოდ ერთი. „ჩელსიმ“ „ვილას“ აჯობა დან პეტრესკუს გოლით, სააგენტოებმა კი კვლავ გადმოსცეს, რომ დასავლეთ ლონდონელთა გუნდურ სიაში სამად სამი ინგლისელი დარჩა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 7 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 2 | ტოტენჰემი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 3 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 3 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 3 | მიდლსბრო | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 3 | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 3 | 6 |
| 4 | ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 5 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 5 | ასტონ ვილა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 |
| 6 | ლიდსი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 |
| 7 | ვესტ ჰემი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 8 | არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 |
| 9 | უოტფორდი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 3 |
| 10 | საუთჰემპტონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:9 | -3 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | -1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 3 |
| 11 | უიმბლდონი | 4 | 1 | 2 | 1 | 9:9 | 0 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 6:5 | 1 | 4 |
| 12 | ქოვენთრი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:3 | 0 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 13 | ბრედფორდი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 |
| 14 | ევერტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | -1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 0 |
| 15 | ლესტერი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 0 |
| 16 | სანდერლენდი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |
| 17 | ლივერპული | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | -1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 18 | ნიუკასლი | 4 | 0 | 1 | 3 | 6:11 | -5 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 3:7 | -4 | 0 |
| 19 | დერბი ქაუნთი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | -5 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | -2 | 1 |
| 20 | შეფილდ უენსდი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | -6 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | -4 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| იორკი (მანჩესტერი) | 4 |
| ბრიჯისი (ლიდსი) | 3 |
| რიკარდი (მიდლსბრო) | 3 |
| კორტი (უიმბლდონი) | 3 |
| დაბლინი (ასტონ ვილა) | 3 |
| ფილიპსი (სანდერლანდი) | 3 |

### V ტური

24 აგვისტო
მიდლსბრო — ლესტერი
უოტფორდი — ასტონ ვილა
25 აგვისტო
არსენალი — ბრედფორდი
ქოვენთრი — მანჩესტერი
ევერტონი — უიმბლდონი
ნიუკასლი — სანდერლენდი
შეფილდი — დერბი
ვესტ ჰემი — საუთჰემპტონი

## I დივიზიონი

III ტური

**ბირმინგემი 4:2 პორტ ვეილი**

1:0 ჰიუზი (8), 2:0 ფურლონგი (18), 2:1 როჯერი (30), 3:1 ფურლონგი (34), 3:2 ნეილორი (41), 4:2 ჰიუზი (51)

**ბლექბერნი 1:2 ბარნსლი**

0:1 ხრისტოვი (65), 1:1 კარსლი (81პ), 1:2 შიპერლი (85)

**ჩარლტონი 1:0 ნორვიჩი**

1:0 რაფუსი (73)

**კრისტალ პალასი 1:2 სუინდონი**

1:0 მორისონი (11), 1:1 გრაციოლი (32), 1:2 ონუორა (50)

**გრიმსბი 1:1 ფულემი**

0:1 ფინანი (3), 1:1 ბლექი (43)

**იფსვიჩი 1:0 ბოლტონი**

1:0 ჯონსონი (67)

**მანჩესტერ სიტი 6:0 შეფილდი**

1:0, 2:0 ჰორლოკი (37პ, 41პ), 3:0 კენედი (62), 4:0 გოტეორი (65), 5:0 დიკოვი (71), 6:0 ტეილორი (86)

**პორტსმუთი 2:0 სტოკპორტი**

1:0 მიგლიორანცი (65), 2:0 ალენი (74)

**ქუინზ პარკი 1:1 ვულვზი**

0:1 კორიკა (34), 1:1 პიკოკი (75)

**ტრანმერი 1:0 ჰადერსფილდი**

1:0 კუმასი (75)

**უოლსოლი 1:4 ქრიუ**

1:0 რობინსი (9), 1:1 ჩარნოკი (14), 1:2 რივერსი (54), 1:3 ლანტი (56), 1:4 ლიტლი (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იფსვიჩი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| პორტსმუთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ბირმინგემი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| ჩარლტონი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| სტოკპორტი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| ვესტ ბრომვიჩი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ვულვზი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| სიტი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:1 | 4 |
| ქრიუ | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| ქუინზ პარკი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| კრ. პალასი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ბოლტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ტრანმერი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ნოტინგემი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| სუინდონი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| ფულემი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| ბარნსლი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 |
| ჰადერსფილდი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| უოლსოლი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| ბლექბერნი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| გრიმსბი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| ნორვიჩი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| პორტვეილი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| შეფილდ იუნ. | 3 | 0 | 1 | 2 | 1:9 | 1 |

## II დივიზიონი

მე-3 ტური. კარდიფი — რექსემი 1:1; ბლეკპული — ჯილინგემი 1:1; ბორნმუთი — კოლჩესტერი 4:0; როვერსი — ოქსფორდი 1:0; ბერი — ბრენტფორდი 2:2; ჩესტერფილდი — კემბრიჯი 4:2; ნოტსი — სკანთორპი 3:0; ოლდემი — ბარნსლი 0:1; რედინგი — ლუტონი 1:2; უიგანი — ბრისტოლი 2:1; უიკომბი — პრესტონი 1:1; სტოკი — მილუოლი 3:1

## III დივიზიონი

მე-3 ტური. ბრაიტონი — ტორკი 0:1; კარლაისლი — ჰარტლპული 0:3; ჩელტენემი — ჰალი 1:0; ექსეტერი — როტერჰემი 3:2; ჰალიფაქსი — პლიმუთი 0:1; ლინკოლნი — ბარნეტი 0:0; მაკლსფილდი — სუონსი 1:2; პიტერბრო — ლეიტონი 2:1; შრიუსბერი — დარლინგტონი 0:1; საუთენდი — მენსფილდი 1:0; იორკი — როჩდეილი 0:3



REUTERS ლევერკუზენიდან

ლევერკუზენი — ბაიერნი 2:0. მიუნხენელი იენს იერემისი ბრაზილიელ ზე რობერტოს აკრძალული ხერხით აჩერებს

## გერმანია

II ტური

### ფრაიბურგი 2:3 აინტრახტი

1:0 სელიმი (39პ), 2:0 გიუნეში (51), 2:1 ვებერი (72), 2:2, 2:3 სალუ (76,86)
ფრაიბურგი: გოლცი, დიარა, ჰერმელი, კონდე, ვილი, გიუნეში (პავლინი 73), ცაიერი (კორელი 46), ბაია, კობიაშვილი, სელიმი, ბრუნსი (ჰამპლი 80)
აინტრახტი: ნიკოლოვი, იანსენი, კრახტი, ბინდევალდი, ცამპახი (დომბი 46), გუიე-მიენი, ვებერი, ჰელდტი (ფალკი 83), გებჰარდტი, ფიორტოფტი (ჩენიანგი 46), სალუ
გაფრთხილება: დიარა, გიუნეში, კობიაშვილი, კორელი, სალუ
მსაჯი: შტრამპე

### ლევერკუზენი 2:0 ბაიერნი

1:0 კირსტენი (79), 2:0 ნოივილი (85)
ლევერკუზენი: მატიშეკი, რ. კოვაჩი, ნოვოტნი, ჰაპე, ბ. შნაიდერი, ემერსონი, რამელო, ზე რობერტო (ჰეიდუკი 77), პონტე, კირსტენი, ნოივილი (ჰოფმანი 89)
ბაიერნი: დრეერი, ბაბელი, ანდერსონი, ლინკე, ლიზარაზუ, შტრუნცი (სალიჰამიჯიჩი 79), იერემისი, ტარნატი, შოლი, პაულო სერჟიო (ელბერი 70), სანტა კრუზი (იანკერი 74)
გაფრთხილება: პონტე, კოვაჩი, იერემისი, შოლი
მსაჯი: ბერგი

### არმინია 1:1 ჰერტა

1:0 მაისნერი (51), 1:1 დაისლერი (82)
არმინია: კოხი, შტრატოსი, პეეტერსი, ბორგესი, რიდლევიჩი (ბოდე 75), ჰოფშნაიდერი, მაისნერი, ვაისენბერგერი (ვატერინკი 62), მაული, ვან დერ ვენი (ბომე 83), ლაბადია
ჰერტა: კირალი, ჰერცოგი, კონსტანტინიდისი, სვერისონი (არაჩიჩი 62), დაისლერი, შმიდტი, ტრეჩოკი, ჰარტმანი, ვოში (დარდაი 62), დაეი, პრეეტცი (ნოიენდორფი 46)
გაფრთხილება: ჰოფშნაიდერი, ვაისენბერგერი, მაული, დაისლერი, ნოიენდორფი, ტრეჩოკი
მსაჯი: ფლაიშერი

### დორტმუნდი 2:1 ვოლფსბურგი

0:1 აკპობორი (69), 1:1 რეინა (77), 2:1 მიოლერი (82პ)
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, როიტერი (ფაიერზინგერი 47), კოლერი, რეინა, სტევიჩი (ჰერლიხი 70), ნერლინგერი, დედე, მიოლერი, ბობიჩი, იკპება (ნიეგუსი 83)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ონილი, ტომსენი, კრიგერი, გრაინერი (იუსკოვიაკი 83), აკონორი, ნოვაკი, მუნტეანუ (ბრანდი 55), ვაიზერი, ბანზა (ვუკი 62), აკპობორი
გაფრთხილება: ბობიჩი, მიოლერი, გრაინერი, ონილი, ტომსენი, ვუკი
მსაჯი: შტარკი

### ჰანზა 4:2 ლაუტერნი

1:0 ლანგე (5პ), 2:0 სფორცა (28ს.კ.), 2:1 მარშალი (29), 3:1 აგალი (31), 3:2 ჯორკაეფი (32), 4:2 არვიდსონი (44)
ჰანზა: პიკენჰაგენი, ოსვალდი, ვაილანდტი, ელერსი, ლანგე, ვიბრანი, ბრაიტკროიცი (ტილემანი 79), იასერი, ემარა, აგალი (მაიკი 86), არვიდსონი (აჰანფუფი 70)
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, კომლიენოვიჩი (კოხი 46), რამზი, შიონბერგი, რატინიო, ჯორკაეფი (ბუკი 66), სფორცა, ხრისტოვი, ვაგნერი, მარშალი, პეტერსონი (ტარე 56)
გაფრთხილება: აგალი, ვაგნერი, რამზი, შიონბერგი
გაძევება: ვაგნერი (86)
მსაჯი: ალბრეხტი

### მიუნხენი 4:1 ულმი

0:1 უნზოლდი (17), 1:1 მაქსი (19), 2:1 ჰესლერი (23პ), 3:1 მაქსი (25), 4:1 პასლაკი (31)
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, პასლაკი, ვანენბურგი, კურცი, ჩერნი, რიდლი, ჰესლერი, ტაისი, პიურკი (ჩიჟეკი 78), მაქსი (ვინკლერი 74), შროტი
ულმი: ლაუქსი, მარკესი, გრაუერი, შტადლერი, რადოკი, უნზოლდი (შარინგერი 77), ოტო, გორა, ბოდოგი (პლოილერი 43), ვან დერ ჰაარი, როსლერი (ზდრილიჩი 46)
გაფრთხილება: კურცი, მარკესი, ზდრილიჩი
მსაჯი: მაიერი

### ვერდერი 0:1 შალკე

0:1 ასამოა (48)
ბოდემ ვერ გაიტანა პენალტი (65)
ვერდერი: ფ. როსტი, ტიკუზუ, ბარტენი (დაბროვსკი 71), ფ. ბაუმანი, ვიდნერი, ფრინგსი, აილტსი, მაქსიმოვი (ბოგდანოვიჩი 51), ვიკი, ზაიდელი, ბოდე
შალკე: რეკი, დე კოკი, ტონი, ვალდოხი, გუსენსი, ნემეცი (ბიუსკენსი 77), ალპუგანი (აიგენრაუხი 69), ვილმოტსი, ვან ჰოგდალემი, სანდი (მულდერი 74), ასამოა
გაფრთხილება: აილტსი, გუსენსი, ნემეცი, სანდი, ტონი
მსაჯი: ბუხჰარტი

### ჰამბურგი 3:0 შტუტგარტი

1:0 კარდოზო (5), 2:0, 3:0 ბუტი (55პ, 79პ)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰერჩი, გრავესენი, პანადიჩი, გროთი, ნ. კოვაჩი, გრამოცისი, კარდოზო (ფ. ერნსტი 87), მაჰდავიკია, ჰაშემიანი, პრეგერი
შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, ბორდონი, ბერთოლდი, კელერი, ლისტეში (ჯორჯევიჩი 63), ტოდტი, ბალაკოვი, კარნელი, კუკა (დო ნასიმენტო 70), განეა (რისტიჩი 46)
გაფრთხილება: ნ. კოვაჩი, პრეგერი, კუკა, რისტიჩი
მსაჯი: იანსენი

### უნტერჰახინგი 2:0 დუისბურგი

1:0 რაკლი (68პ), 2:0 შტრაუბე (30)
უნტერჰახინგი: ვიტმანი, ბერგენი, გრასოვი, ზაიფერტი, მატიას ციმერმანი, შვარცი, ობერლაიტნერი (ჰერტლი 82), შტრემელი, შტრაუბე, რაკლი (მარკ ციმერმანი 75), ზაიტცი (გარსია 87)
დუისბურგი: სტაუჩე, ემერლინგი (მ. შნაიდერი 74), ჰაიტო, ვოლერტი, ვოლტერსი (ბუგერა 77), ოსტჰოფი, ტიოფტინგი (ვედაუ 58), ცაიერი, ჰირში, შპისი, ბაიერლე
გაფრთხილება: ობერლაიტნერი, შვარცი, ცაიერი, ჰირში, ოსტჰოფი, ვედაუ
გაძევება: ცაიერი (66)
მსაჯი: ცერი

# ტრადიციის გამგრძელებელი

„ფრაიბურგი" შარშან დამკვიდრებული არც თუ სასიამოვნო ტრადიციას, როგორც ჩანს, წლეულსაც აგრძელებს. გემახსოვრებათ, გასული სეზონის უმეტეს მატჩებში იგი ანგარიშს ხსნიდა, მაგრამ შემდეგ მოგებას ვინ ჩივის, ქულაც კი სანატრელი უხდებოდა.

ახლაც ასეა. პირველ ტურში „ულმთან" ფრედ — 1:1 („ფრაიბურგი" ამ მატჩსაც იგებდა) დასრულებული შეხვედრის შემდეგ „ფრაიბურგმა" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას გადარჩენილი ფრანკფურტის „აინტრახტი" მიიღო და 70-ე წუთამდე ისე ითამაშა, ყველას ეგონა მასპინძლები დიდი ანგარიშით მოიგებდნენ.

„აინტრახტის" კართან თავიდანვე რამდენიმე საგოლე მომენტი შეიქმნა, მაგრამ ბრუნსმა, ბაიამ და სელიმიმ მათი გამოყენება ვერ შეძლეს. ერთხელ ბაიას კუთხურიდან კარში ჩახვეული ბურთი ჰელდტმა თავით კარის ხაზიდან გამოიტანა. ანგარიში კი 39-ე წუთზე გაიხსნა — საჯარიმოში შესული ტუნისელი ადელ სელიმი ბინდევალდმა მოცელა. პენალტი თავად სელიმიმ გამოიყენა. აღსანიშნავია, რომ წინა ჩემპიონატიდან მოყოლებული „ფრაიბურგმა" ზედიზედ ხუთი პენალტი გააცუდა, მათ შორის პირველ ტურში ლევან კობიაშვილმა, ისე, კობიაშვილი ერთადერთი ქართველია, რომელსაც გუნდის თავკაცი ფოლკერ ფინკე ძირითადში აყენებს. მწვრთნელმა წლეულს რატომღაც ლევან ცქიტიშვილი აითვალწუნა და ჩვენებურიც ორი მატჩია, სათადარიგოთა სკამიდან ადევნებს თვალს თავისიანების თამაშს. ალექსანდრე იაშვილმა კი ახლახან დაიწყო სრული დატვირთვით ვარჯიში და ფინკეც ერიდება მის დაყენებას.

მეორე ტაიმის დასაწყისიც „ფრაიბურგის" უპირატესობით წარიმართა. რაც მალე მეორე გოლში გამოიხატა. ბაიას პასი გიუნეშმა კარგად გამოიყენა და ზუსტი დარტყმით თითქოს მატჩის ბედიც გადაწყვიტა. თუმცა სტუმრები სულაც არ ფიქრობდნენ ასე. 72-ე წუთზე ჰელდტს ვებერმა დაუფასა შრომა და ანგარიში შეამცირა. ოთხიოდე წუთში კი ექსდორტმუნდელმა ბაშირუ სალუმ წონასწორობა აღადგინა. მატჩის მიწურულს მასპინძლები კიდევ ერთხელ შეცდნენ, რითაც ისევ სალუმ ისარგებლა და გადამწყვეტი გოლი გაიტანა — 3:2.

მატჩის შემდეგ ფინკე, ბუნებრივია, უხასიათოდ იყო. „ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია, მაგრამ რამდენიმე შეცდომამ ყველაფერი წყალს მისცა. ძალიან მაბრაზებს ის, რომ მატჩი ჩვენივე მიზეზით წავაგეთ" — თქვა მან.

ტურის ცენტრალური მატჩი კი ლევერკუზენში შედგა, სადაც ბოლო წლების ორი უძლიერესი გერმანული კლუბი დაუპირისპირდა ერთმანეთს. „ლევერკუზენმა" მიუნხენის „ბაიერნს" უმასპინძლა და გასულ სეზონში დაგროვილი ბოღმა გადმოანთხია. შარშან „ლევერკუზენი" „ბაიერნს" ჩემპიონობას კი ეცილებოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ლევერკუზენელებმა ვერც პირად შეხვედრებში დააკლეს რამე მიუნხენელებს. „ბაიერნმა" შინ 2:0 იმარჯვა, სტუმრად — 2:1.

მასპინძლები მცირე ტერიტორიულ უპირატესობას მთელი მატჩის მანძილზე ფლობდნენ, თუმცა გოლები გვიან, მატჩის მიწურულსღა გავიდა. ჯერ მასპინძელთა საუკეთესო ფეხბურთელმა ულფ კირსტენმა გახსნა ანგარიში, 85-ე წუთზე კი გერმანიის ნაკრების თავდამსხმელმა ოლივერ ნოივილმა საჯარიმოს მისადგომებიდან ზუსტად დაარტყა და „ლევერკუზენმაც" საბოლოოდ 2:0 მოიგო. მანამდე კი მასპინძლებმა რამდენიმე კარგი შანსი გაატანეს ქარს. გულხელდაკრეფილნი არც სტუმრები ყოფილან, თუმცა ლინკეს, შტრუნცსა და ტარნატს პოლონელმა მეკარე მატიშეკმა გარჯა წყალში ჩაუყარა. „ბაიერნის" მარცხი გარკვეულწილად გუნდის შესუსტებულმა შემადგენლობამაც განაპირობა. ოლივერ კანი, ლოთარ მათეუსი, მარიო ბასლერი და შტეფან ეფენბერგი ტრავმების გამო ტრიბუნაზე ისხდნენ. ამავე მიზეზის გამო გვიან ჩაერთვნენ თამაშში ელბერი და იანკერი.

ბომბარდირთა შორის გაერია „ჰამბურგის" კარის დარაჯი ჰანს-იორგ ბუტი, რომელმაც სახელი გოლების გატანით უფრო გაიგდო, ვიდრე კარის დაცვით. მეორე ტურში „ჰამბურგმა" „შტუტგარტს" უმასპინძლა და 3:0 მოუგო, ბუტმა კი კარიერაში მეორედ შეასრულა დუბლი. პირველი დუბლი მეკარემ წინა ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში გააკეთა. „ჰამბურგი" მაშინაც „შტუტგარტს" ეთამაშებოდა და ის შეხვედრა ბუტის გოლების წყალობით მოიგო 3:1. ისე, საკითხავია, ასეთი რა დაუშავა „შტუტგარტმა" მეკარეს, რომ კარიერაში გატანილი ცხრა ბურთიდან (ყველა პენალტი) ოთხი მას შეუგდო. წინა შვიდი გოლი ბუტმა გასულ სეზონში გაიტანა.

თავად „ჰამბურგი" — „შტუტგარტის" მატჩი მასპინძელთა დიდი უპირატესობით წარიმართა და ლოგიკური შედეგითაც დასრულდა. ანგარიში უფრო დიდიც იქნებოდა, თანამსაჯს პრეგერის მიერ წესების დაცვით გატანილი გოლისას ალამი რომ არ აეწია.

გაჭირვებით მოიგო დორტმუნდის „ბორუსიამ", რომელიც შინ „ვოლფსბურგს" დახვდა. უღიმღამო პირველი ტაიმის შემდეგ მატჩი საინტერესოდ გაგრძელდა. 69-ე წუთზე აკპობორიმ ივარგა და „ვოლფსბურგი" დააწინაურა. თუმცა ზედიზედ მეორე მარცხის საფრთხის წინაშე მდგომმა „დორტმუნდმა" შეძლო გონს მოსვლა და თამაშის შემობრუნება, რაშიც დიდი წვლილი ანდრეას მიოლერმა შეიტანა.

„კაიზერსლაუტერნის" მაისურით პირველი გოლი გაიტანა ფრანგმა მსოფლიოს ჩემპიონმა იური ჯორკაეფმა. თუმცა იტალიური „ინტერის" ყოფილი ფეხბურთელის წარმატება „ლაუტერნს" ვერაფერში წაადგა. „ჰანზასთან" სტუმრად გამართული შეხვედრა ოტო რეჰაგელის გუნდმა პირწმინდად დათმო და ეს ანგარიშზეც აისახა — 4:2.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | აინტრახტი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 4 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 |
| 2 | ჰერტა | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 3 | ჰამბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 4 | ლევერკუზენი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 5 | შალკე | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 6 | მიუნხენი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 7 | ვოლფსბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 8 | დორტმუნდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 9 | ჰანზა | 2 | 1 | 0 | 1 | 6:7 | -1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:5 | -3 | 0 |
| 10 | ლაუტერნი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 0 |
| 11 | უნტერჰახინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 12 | არმინია | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 13 | ფრაიბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 14 | ვერდერი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 15 | ბაიერნი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 16 | დუისბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | -2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 17 | ულმი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 18 | შტუტგარტი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | -3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |

### III ტური

28 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| ლაუტერნი | - | არმინია |
| ულმი | - | დორტმუნდი |
| ბაიერნი | - | უნტერჰახინგი |
| აინტრახტი | - | დუისბურგი |
| შტუტგარტი | - | ლევერკუზენი |
| ვოლფსბურგი | - | ჰანზა |
| ჰერტა | - | ვერდერი |
| შალკე | - | ჰამბურგი |
| ფრაიბურგი | - | მიუნხენი |

## მეორე ბუნდესლიგა

II ტური

### მანჰაიმი 4:0 ხემნიცი

1:0 ვინჩე (34), 2:0 რემი (43), 3:0, 4:0 პაზიეკა (66,90)

### ბოხუმი 5:0 ალემანია

1:0 ლუშტი (12), 2:0 პეშელი (48), 3:0 ბუკლი (60), 4:0 ბალუშინსკი (71), 5:0 ვებერი (76)

### ფიურტი 0:0 კიოლნი

### ბერლინი 2:2 კარლსრუე

1:0 კირიაკოვი (42), 1:1, 1:2 კრიგი (44,48), 2:2 ვალკერი (89)

### ფორტუნა 2:1 მაინცი

0:1 პოლიკელა (9), 1:1 გრლიჩი (45), 2:1 მუსავი (90)

### გლადბახი 2:3 ჰანოვერი

0:1 ბლანკი (9), 1:1 ვან ლენტი (36), 1:2, 1:3 მილოვანოვიჩი (47,57), 2:3 ფრომერი (81)

### კიკერსი 2:1 ზტ. პაული

1:0 ზაილერი (13), 1:1 ზოუმუ-მაზა (47), 2:1 კევრიჩი (81)

### ობერჰაუზენი 0:4 კოტბუსი

0:1 შრიოდერი (44), 0:2 ლატუნდი (48), 0:3 ლაბაკი (89), 0:4 ჰელბიგი (90)

### ოფენბახი — ნიურნბერგი

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოხუმი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 6 |
| კოტბუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| ბერლინი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| კიოლნი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ნიურნბერგი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| მანჰაიმი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ჰანოვერი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 3 |
| ფორტუნა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ალემანია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:6 | 3 |
| კიკერსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| ხემნიცი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ფიურტი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ოფენბახი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მაინცი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ზტ. პაული | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| კარლსრუე | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| გლადბახი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| ობერჰაუზენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

# რა თქმა უნდა, რეალი, რა თქმა უნდა, ბარსელონა, ვალენსია?

## ესპანეთი

### მალიორკა 1:2 რეალი

1:0 კარლოსი (51), 1:1 მორიენტესი (89), 1:2 რაული (90)
მალიორკა: ბურგოსი, ოლაისოლა, ნინიო, სივიერო, მიგელ სოლერი, ლაურენი, ენგონგა (ნადალი 75), იბაგასა (სერისუელა 77), სტანკოვიჩი, კარლოსი, კინტეროსი (გაბრიჩი 69)
რეალი: ილგნერი, მიჩელ სალგადო (მაკმანამანი 64), იერო, ჟულიო ცეზარი, რობერტო კარლოსი, ხერემი, რედონდო, რაული, სავიო, ანელკა (გუტი 70), მორიენტესი
გაფრთხილება: რედონდო, იერო, კარლოსი
მსაჯი: ომარი

### ბილბაო 1:0 ბეტისი

1:0 ხოსება ეჩებერია (47)
ბილბაო: ი. ეჩებერია, რიოსი, ვალესი, ფერეირა, ლაკრუსი, ურუტია, გერერო (ხავი გონსალესი 75), ფელიპე, ხ. ეჩებერია (ლარასაბალი 65), ურსაისი (სივორი 67), ესკერო
ბეტისი: პრატსი, ოტერო (ალფონსო 78), ფილიპესკუ, კარპანი, რივასი, კანიასი, ალექსისი, ლუის ფერნანდესი (გალვესი 64), ფინიდი, დენილსონი, ოლი
გაფრთხილება: გერერო, ფელიპე, ოლი, ფილიპესკუ, ალექსისი, ურუტია, ოტერო
გაძევება: ალექსისი
მსაჯი: გონსალესი

### ვალენსია 1:2 რასინგი

0:1 ჟუკიჩი (20), 0:2 სალვა (65პ), 1:2 მენდიეტა (75პ)
ვალენსია: კანისარესი, ანგლომა (კილი 74), ბიორკლუნდი, ჟუკიჩი, კარბონი, ანგულო, ალბელდა, ფარინოსი (ოსკარი 69), მენდიეტა, სანჩესი (ილიე 64), კ. ლოპესი
რასინგი: კაბალიოსი, ტაისი, მელბერგი, არსენო, ესპინა, სიეტესი, ისმაელი, მანხარინი (შუსტიკოვი 64), ამავისკა (ჩემა 87), მუნიტისი, სალვა (რუშფელტი 81)
გაფრთხილება: მანხარინი, სალვა, ესპინა, არსენო, ბიორკლუნდი, კაბალიასი
გაძევება: კარბონი
მსაჯი: გარსია

### დეპორტივო 4:1 ალავესი

0:1 მორალესი (12), 1:1 მაკაატი (30), 2:1 ჯალმინია (34), 3:1, 4:1 მაკაატი (45, 57)
დეპორტივო: სონგო, სკალონი, სესარი, ნაიბეტი, რომერო, ვიკტორი (მანუელ პაბლო 70), ხაიმე, მაურო სილვა, ჯალმინია, მაკაატი (ტურუ ფლორესი 78), პაულეტა (მანუელი 65)
ალავესი: ერერა, კონტრა, ბარუეტი, ტელიესი, იბონ ბეგონია, დესიო (ასკოიტია 65), პაბლო (ნან რივერა 46), ასტუდილიო, მორალესი, მორენო, კოდრო (მაგნო 65)
გაფრთხილება: სესარი, ტელიესი
მსაჯი: კანტალეხო

### ნუმანსია 1:0 ვალიადოლიდი

1:0 რუბენ ნავარო (41)
ნუმანსია: მუნიესი, ხაუმე, მუნისი, ივან როჩა, ოქტავიო, ნაგორე, მორანი, პაჩეტა, ბარბუ, პოპესკუ (ინიაკი 66), რუბენ ნავარო (ოხედა 65)
ვალიადოლიდი: რიკარდო, ტურიელი (კამინერო 68), სანტამარია, პენია, გარსია კალვო, მარკოსი, ვისკაინო, ლოსანო (ეუსებიო 55), ჩემა, ალბერტო (ლუის გარსია 55), კონგო
გაფრთხილება: როჩა, ოქტავიო, მარკოსი, ტურიელი
გაძევება: კამინერო
მსაჯი: დავილა

### ატლეტიკო 0:2 რაიო

0:1 ერნანდესი (41), 0:2 ფერონი (50)
ატლეტიკო: ტონი, შამოტი, სანტი, გამარა, პილიპაუსკასი, ბეიბლი (ვენტურინი 70), ვალერონი, კაპდევილა (ბარახა 46), კორეა (სოლარი 46), ჰასელბაინკი, ხოსე მარი
რაიო: კელერი, კოტა, კლოტეტი, ერნანდესი, ლიორენსი, ალკასარი, ესტიბარისი, პოშნერი (პაბლო სანსი 81), ლუის სემბრანოსი (ელდერი 73), ფერონი, მიჩელ II (ბოლო 46)
გაფრთხილება: პილიპაუსკასი, სანტი, ფერონი, პაბლო სანსი
მსაჯი: როკა

### ოვიედო 1:0 სელტა

1:0 დანხოუ (56)
ოვიედო: პესტებანი, დანხოუ, ონოპკო, ბორისი, ესკურსა, ნადი, პაულუ ბენტუ, კორბო (რაბარივონი 81), პომპეი (ხაიმე 64), კლასენსი (ფაბიო პინტუ 70), დელი ვალდესი
სელტა: დუტრუელი, ველასკო, კასერესი, სერხიო, ხუანფრანი (ჯოვანელა 63), სელადესი (ტამასი 81), მაკელელე, კარპინი, რევივო, გუსტავო ლოპესი (ტურდო 63), მაკარტი
გაფრთხილება: კორბო, ხუანფრანი, პაულუ ბენტუ, კარპინი
მსაჯი: ლოპეს ნიეტო

### ბარსელონა 2:0 სარაგოსა

1:0 ფიგუ (75), 2:0 დანი (77)
ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი, დეუ, ბოგარდი, სერხი, ლუის ენრიკე (გაბრი 58), გვარდიოლა, კოკუ, ფიგუ, კლუივერტი (დანი 49), რივალდო (ნანო 78)
სარაგოსა: ხუამი, პაბლო, აგუადო, პაკო, სუნდგრემი, მარკოს ვალესი, აკუნია, გარიტანო (არაგონი 69), ველისკა, ხამელი (ხუანელე 72), მილოშევიჩი
გაფრთხილება: დეუ, აკუნია
მსაჯი: როდრიგესი

### მალაგა 1:0 ესპანიოლი

1:0 კატანია (73)
მალაგა: კონტრერასი, როხასი (ფერნანდო სანსი 86), ლარაინსარი, ბრავო, როტეტა, ვალკარსე, დე ლოს სანტოსი, მოვილია, ედგარი (რუფეტე 69), დარიო სილვა (რუანო 69), კატანია
ესპანიოლი: კავალიერო, კრისტობალი, როტჩენი, კორინო, ნავასი, არტეაგა (ბენიტესი 45), გალკა, სერჟიო, დე ლუკასი (ველამასანი 60), ტამუდო (სერანო 81), მარტინ პოსე
გაფრთხილება: როტეტა, ედგარი, რუანო, დე ლუკასი
გაძევება: მოვილია
მსაჯი: იტურალდე გონსალესი

### სევილია 2:2 სოსიედადი

0:1 დე პედრო (6), 1:1 ხუან კარლოსი (18), 2:1 ცარტასი (34), 2:2 დე პედრო (52პ)
სევილია: ვალენსია, პიბიჩი, მარჩენა, კევედო, ექტორი, ნანდო, ფრანსისკო, ცარტასი (ხესული 90), ოლივეირა (სალაიეტა 61), პოდესტა, ხუან კარლოსი (მოია 69)
სოსიედადი: ალბერტო, ლოპეს რეკარტე, ლორენი, პიკაბეა, არანსაბალი, გერერო, ადეპოჟუ, იდიაკესი (კიუპბაუერი 85), დე პედრო, ზა პინტუ (ანტია 90), ბონილია (დე პაულა 74)
გაფრთხილება: ნანდო, ზა პინტუ, პიკაბეა, რეკარტე
მსაჯი: გარსია არანდა



REUTERS მალიორკიდან

მალიორკა — რეალი 1:2. ანელკამ, მადრიდელთა 35-მილიონიანმა „მიგნებამ“, პირველივე შეხვედრაში ითამაშა... 70 წუთი... მომავალში უკეთ ითამაშებსო...

უგოლო პირველი ნახევრის მერე, „რეალი“ თითქმის მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში აგებდა, თუმცა მორიენტესისა და რაულის გოლებმა სამეფო კლუბს დრამატული გამარჯვება მოუტანეს. „ბარსელონა“ არ აგებდა, მაგრამ სარაგოსას მაინც ორი გოლი გაუტანა (ფიგუ, დანი) და სამი ქულა მოიპოვა...

რა თქმა უნდა, „რეალი“, რა თქმა უნდა, „ბარსელონა“, მაგრამ არის „ვალენსიაც“, რომელმაც უკვე მოასწრო ახალი სეზონის პირველი ჯილდოს — ესპანეთის სუპერთასის მოგება, რითაც, თითქოს დამატებით გაუსვა ხაზი: ის ამბიცია, რაზეც სეზონის წინ ბევრს ლაპარაკობდნენ და რის მიხედვითაც ვალენსიელები მიმდინარე სეზონში მადრიდელთა და ბარსელონელთათვის სერიოზული კონკურენციის გაწევას ლამობენ, უსაფუძვლო არ არის. მით უფრო მოულოდნელია მათი მარცხი პირველივე ტურში. თანაც სად? საკუთარ მინდორზე! თანაც ვისთან? „რასინგთან“ — ბოლო სეზონის ერთ-ერთ უნიათო გუნდთან!

თუმცა, ეს „ვალენსიისა“ და მისი გულშემატკივრების თავისტკივილია. სხვებს რა ენაღვლებათ, რაც უფრო მეტია მოულოდნელი, მით მეტია ჩემპიონატის ინტრიგა. შესაბამისად იზრდება მისდამი ინტერესიც. ჰოდა, სწორედ ამ „სხვების“ წისქვილზე დაასხა წყალი კიდევ ერთმა ამბიციურმა თავგადასავალთა მაძიებელმა: მადრიდის „ატლეტიკომ“. მას პირველ დივიზიონში წლეულს დაბრუნებული თანაქალაქელი „რაიო ვალეკანო“ გაუსწორდა. თანაც, აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულმა ამჯერადაც ორი გოლი გაიტანა.

საყურადღებოა, რომ ესპანეთის ჩემპიონატის პირველ ტურში ორ გოლზე მეტი მხოლოდ ერთმა გუნდმა გაიტანა: „დეპორტივომ“ შინ 4:1 მოუგო „ალავესს“, თუმცა ოთხიდან სამი გოლი ერთმა კაცმა, „ტენერიფედან“ გადასულმა ჰოლანდიელმა როი მაკააიმ გაიტანა და ბომბარდირთა სიასაც სათავეში მოექცა, ისევე, როგორც მისი კლუბი — ჩემპიონატის გათამაშების ცხრილს.

მიუხედავად იმისა, რომ მაკააი პირველი ტურის უდავო გმირად აღიარეს, ესპანელმა ჟურნალისტებმა არანაკლები ყურადღება „რეალში“ ბრიტანეთიდან გადაბარგებული ინგლისელი სტივ მაკმანამანისა და ფრანგი ნიკოლა ანელკას დებიუტს დაუთმეს. „რეალის“ მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა მაკმანამანი მატჩის 64-ე წუთზე შეიყვანა მინდორზე, ანელკა კი ექვსი წუთის შემდეგ გამოცვალა. ასე რომ, მთელი მატჩი ვერც ერთმა ჩაატარა, ვერც მეორემ. „რეალის“ კიდევ ერთი შენაძენის, ტრავმირებული ელვირ ბალიჩის დებიუტი კი, შეგახსენებთ, სავარაუდოდ ორი კვირით გადაიდო.

ამასობაში კლარენს ზეედორფი განაწყენდა, აქაოდა, მწვრთნელმა სასტარტო შეხვედრაში არ მათამაშა და მიმახვედრა, აქ არავის ვჭირდებიო. „ახლა ისღა დამრჩენია, კლუბის ხელმძღვანელობას გავესაუბრო ვითარების გასარკვევად“ — განაცხადა მან, — „მწვრთნელმა მითხრა, თუ კარგი წინადადება გამოჩნდა, მე შემიძლია წავიდე რეალიდან. ახლა მე მოუთმენლად ველი შესაფერის ვარიანტს, რადგან ასე გაგრძელება აღარ მინდა“.

სააგენტო როიტერის ინფორმაციით, ტოშაკს მართლაც უთქვამს ზეედორფისთვის [illegible] ბაში [illegible] ცემო ფეხბურთელის პასუხი საკმაოდ [illegible] — მე ვრჩები კლუბში და მირითად შემადგენლობაში ადგილისთვის ვიბრძოლებ. „მალიორკასთან“ თამაშის წინ ზეედორფის გვარი სათადარიგო მოთამაშეთა შორისაც კი არ იყო...

ყოველივე ამაზე ტოშაკის კომენტარი საკმაოდ საინტერესოა: „მე ყოველთვის მახსოვს, რომ „რეალს“ ნებისმიერ დროს შეუძლია ჩემი დათხოვნა. ეს შეიძლება ხუთი წუთის, ხუთი თვის ან ხუთი წლის მერე მოხდეს. ადრე თუ გვიან ეს მოხდება. ამიტომ კაცი ამისთვის მზად უნდა იყო და როცა ჟამი დადგება, არ უნდა ინერვიულო“. ამ საკითხში ტოშაკს უეჭველად დაეჯერება. მას არაერთი კლუბის დატოვება მოუხდა სურვილის მიუხედავად. მათ შორის იმავე „რეალიდანაც“ მიაბრძანეს 1990 წელს

პირველ ტურში ყველაზე ძალიან გაწბილებულმა „ვალენსიამ“ მაინც მოახერხა თავის გამოჩენა. ეს სათამაშო მინდვრის მიღმა, სატრანსფერო ლაბირინთებში მოხდა. ფეხბურთელთა განაცხადში შეტანის ბოლო დღეს, ვადის ამოწურვამდე სამი წუთით(!) ადრე ვალენსიელებმა „ბარსელონას“ ყოფილი მცველი მაურისიო პელეგრინო გაიფორმეს. საინტერესოა, რომ ესპანეთში სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეს სულ 80 ხელშეკრულება გაფორმდა. საგულისხმოა, რომ, თავის დროზე, სწორედ ბოლო დღეს დაიკანონა ბარსელონამ ჰოლანდიელი კლუივერტი (1998 წელი) და ბრაზილიელი რივალდო (1997 წელი). ერთსღა დავძენ: თუ პელეგრინო ისევე გამოადგათ ვალენსიელებს, როგორც კლუივერტი და რივალდო გამოადგნენ კატალონიელებს, მათ ეგებ ახალი ჩემპიონატის პირველივე დღეს დაკარგულმა სამმა ქულამაც არ შეუშალოთ ხელი ლიდერებთან ბრძოლაში.

**ზურაბ ინასარიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დეპორტივო | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 | რაიო ვალეკანო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 3 | ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 | რეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 5 | რასინგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 6 | ბილბაო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 7 | ნუმანსია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 8 | ოვიედო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 9 | მალაგა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 10 | სევილია | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 11 | სოსიედადი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 12 | მალიორკა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | −1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | −1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 13 | ვალენსია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | −1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | −1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 14 | ბეტისი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 |
| 15 | ვალიადოლიდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 |
| 16 | სელტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 |
| 17 | ესპანიოლი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 |
| 18 | ატლეტიკო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | −2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | −2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 19 | სარაგოსა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | −2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | −2 | 0 |
| 20 | ალავესი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | −3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | −3 | 0 |

### II ტური

29 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| რაიო ვალეკანო | — | მალიორკა |
| სოსიედადი | — | ატლეტიკო |
| სელტა | — | სევილია |
| სარაგოსა | — | ოვიედო |
| რასინგი | — | ბარსელონა |
| ესპანიოლი | — | ვალენსია |
| ალავესი | — | მალაგა |
| ბეტისი | — | დეპორტივო |
| ვალიადოლიდი | — | ბილბაო |
| რეალი | — | ნუმანსია |

## მეორე დივიზიონი

### XLII ტური

### კორდობა 0:1 სპორტინგი

0:1 ლედიახოვი (45)

### ლეიდა 2:2 ვილიარეალი

1:0 მაია (38), 2:0 კიკე ალვარესი (60), 2:1 კრაიოვეანუ (74), 2:2 გრასია (90)

### კომპოსტელა 3:0 უელვა

1:0, 2:0 გუდელი (77, 88პ), 3:0 ჩანგი (89)

### ლეგანესი 1:1 მერიდა

0:1 უნაი (47), 1:1 პაჩონი (49)

### ლას პალმასი 2:0 ტენერიფე

1:0 ტევენეტი (22პ), 2:0 პირი (53)

### სალამანკა 2:1 ელჩე

0:1 არმენტანო (10), 1:1 სილვანი (47), 2:1 მელცარსკი (57)

### ოსასუნა 3:0 ტოლედო

1:0 ვასილიევიჩი (23), 2:0 ტრუჟჩიაკი (43), 3:0 სიგანდა (90)

### ალბასეტე 3:1 ეიბარი

1:0 ხავი გერერო (23), 1:1 ირასოკი (35), 2:1, 3:1 საბასი (60, 87)

### ბადახოსი 2:1 ხეტაფე

0:1 კანიასი (36პ), 1:1, 2:1 ტორესი (47, 60)

### ლოგრონიესი 3:3 ლევანტე

1:0 არენასა (6), 2:0 მანელი (18), 2:1 კონსტანტინო (55), 2:2 სალილასი (60), 3:2 მანელი (70), 3:3 სალილასი (75პ)

### ესტრემადურა 1:0 ატლეტიკო B

1:0 რუედა (52)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კომპოსტელა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ოსასუნა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ალბასეტე | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ლას პალმასი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ბადახოსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სალამანკა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სპორტინგი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ესტრემადურა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ლოგრონიესი | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 |
| ლევანტე | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 |
| ლეიდა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ვილიარეალი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ლეგანესი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მერიდა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ხეტაფე | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ელჩე | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| კორდობა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ატლეტიკო B | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ეიბარი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ტენერიფე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| უელვა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ტოლედო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

## საფრანგეთი

IV ტური

**ლანსი 0:0 მარსელი**

**ბასტია 2:1 ნანტი**

0:1 ლერუა (11), 1:1 ლორანი (68), 2:1 პრენსი (75)

**მეცი 0:1 ლიონი**

0:1 კავეგლია (90)

**პსჟ 1:1 ოსერი**

0:1 გივარში (36), 1:1 როდრიგესი (85)

**ლე ავრი 2:1 სედანი**

1:0 დენიო (36), 2:0 კერკარი (48), 2:1 მიონე (60)

**სენტ ეტიენი 2:1 ნანსი**

0:1 სა (1), 1:1 ალექსი (65), 2:1 ალოიზიო (80)

**მონპელიე 2:3 მონაკო**

1:0 სორლენი (29), 1:1 ტრეზეგე (52), 1:2 სიმონე (53), 2:2 მაულიდა (76), 2:3 სიმონე (83)

**ტრუა 2:1 სტრასბური**

1:0 გაზი (24), 1:1 ემუაფნი (80), 2:1 ბუტალი (86)

**რენი 2:1 ბორდო**

0:1 ლასლანდი (8), 1:1 დიუფი (44), 2:1 საველიჩი (53 ს.კ.)

# უფრო სწრაფად

დაცვაში მშვენივრად მოთამაშე „ოსერის" წინააღმდეგ ერთპიროვნულმა ლიდერმა „პარი სენ ჟერმენმა" ბევრი ვერაფერი გააწყო და მხოლოდ ერთი ქულით დაკმაყოფილდა. საფრანგეთის ჩემპიონატში ზედიზედ ორი საშინაო თამაშის მოგება არასდროს ყოფილა იოლი საქმე და ამჯერადაც ასე მოხდა. პსჟ-ს მწვრთნელი ფილიპ ბერჟერო ძნელ მატჩს წინასწარმეტყველებდა და არც შემცდარა. შეხვედრის მიმდინარეობამ მალე ყველას დაანახა, რომ მისი პროგნოზი მართლდებოდა.

დასაწყისმა პარიზელთა უპირატესობით ჩაიარა. დედაქალაქელებს ანგარიშის გახსნა სწრაფად უნდოდათ და თავიდანვე დიდი ძალებითაც შეუტიეს. მათ უკვე მეხუთე წუთზე შეეძლოთ გოლის გატანა. პსჟ-ს კაპიტანმა ალი ბენარბიამ მიკაელ მადარი მშვენიერი პასით დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ თავდამსხმელმა მხოლოდ კუთხური მოუტანა თავის გუნდს. „ოსერის" საჯარიმოში ბურთი ლორან რობერმა ჩაჰკიდა და ბენარბიამაც თავით სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ფაბიენ კულმა კარის ხაზზე კარგად ითამაშა.

ამის მერეც სახიფათო მომენტებს ძირითადად მასპინძლები ქმნიდნენ. მე-12 წუთზე ბენარბიას პასის შემდეგ ბრუნო როდრიგესი სანტიმეტრებში ვერ მიწვდა ბურთს, თორემ გოლი ნამდვილად გარდაუვალი იყო. 22-ე წუთზე კვლავ კორსიკული წარმოშობის თავდამსხმელს შეეძლო თავისიანების დაწინაურება, მაგრამ მისი ძლიერი დარტყმის შემდეგ ბურთი ოსერელთა ხარიხას ოდნავ გადაცდა.

და რას აკეთებდა ამ დროს ოსერი? გი რუს შეგირდები მთელი გუნდით თავს იცავდნენ და ელოდნენ, როდის გაუნელდებოდათ მეტოქეებს შეტევის სურვილი. თანაც კონტრშეტევების იმედიც ჰქონდათ და მალე გამოჩნდა კიდეც, რომ ამ საქმეში ბურგუნდიელები ერთ-ერთი საუკეთესონი არიან მთელ საფრანგეთში. 36-ე წუთზე გრძელი პასის შემდეგ ბურთი ოდნავ მარცხნივ გადანაცვლებულმა სტეფან გივარშმა მიიღო. ბრიტანული ვოიაჟიდან უსახელოდ დაბრუნებულმა მსოფლიოს ჩემპიონმა (გივარშმა ვერც „ნიუკასლში" დაიმკვიდრა ადგილი და ვერც „გლაზგო რეინჯერსში") ცენტრისკენ გადაიწია, მეტოქის საჯარიმო მოედანს მიუახლოვდა და შორეული დარტყმით ბერნარ ლამას ლამაზი გოლიც გაუტანა. „პარკ დე პრენსზე" აქამდე წყნარად მსხდომმა „ოსერის" ქომაგებმაც ამოიღეს ხმა და ერთი ღრიანცელი გამართეს.

გოლმა პარიზელებს თითქოს ცივი წყალი გადაასხა და შესვენებამდე მათ თითქმის ვერანაირი ხიფათი ვერ შექმნეს კულის კართან. სეზონში პირველად „პარი სენ ჟერმენი" მდევრის როლში აღმოჩნდა. საინტერესო იყო შეძლებდა თუ არა ის ჩამორჩენის გაბათილებას. მეორე ტაიმი მასპინძელთა შეტევებით დაიწყო. 46-ე წუთზე ბენარბიას ჩაწოდების შემდეგ „ოსერის" პოლონელმა ლეგიონერმა კლოსმა კინაღამ თავის კარში ჩაჭრა ბურთი. თუმცა სტუმრები ამან ვერ შეაშინა და 51-ე წუთზე მათ უფრო დაწინაურებაც შეეძლოთ — სტივ მარლე ლამასთან პირისპირ გავიდა, მაგრამ გამოცდილმა მეკარემ მოწინააღმდეგეს გოლის გატანა არ დაანება.

ამის მერე პსჟ-მ „ოსერი" თავის საჯარიმო მოედანს მიაჯაჭვა, თუმცა ფაბიენ კული ბრწყინვალედ ირჯებოდა და მასპინძლებს ანგარიშის გათანაბრების საშუალებას არ აძლევდა. ერთხელ კი, ჯიმი ალჟერინოს დარტყმის შემდეგ, მეკარეს თავის კარის ზედა ძელმა უშველა. „ოსერი" გამარჯვებისკენ მიდიოდა, მაგრამ პარიზიდან სამი ქულის წაღება მაინც ვერ მოახერხა. საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე ბენარბიას ჩაწოდებულ ბურთს როდრიგესმა მეტოქის კარში მიუჩინა ადგილი — 1:1. ფრე, რომლითაც ორივე გუნდის მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა.

მეორე ადგილზე მყოფი საფრანგეთის ჩემპიონი „ბორდო" „რენს" სტუმრობდა. ბრეტონელებს, რომლებიც დღეს ინტერტოტოზე „იუვენტუსს" მასპინძლობენ, ამ თამაშამდე მოგება არ ჰქონდათ და მის მისაღწევად ძალღონეც არ დაუშურებიათ. „რენის" მწვრთნელმა პოლ ლე გუენმა თავის ფეხბურთელებს ერთი რამ სთხოვა: „სწრაფად, რაც შეიძლება სწრაფად ითამაშეთ დაწყებიდანვე." მასპინძლები ასეც მოიქცნენ, მაგრამ ბორდოელები უფრო სწრაფად თამაშობდნენ და მატჩის დასაწყისიც მათი იყო. ლასლანდი, ვილტორდი, მიკუ და ზიანი მშვენიერ კომბინაციებს ახორციელებდნენ და რენელებს მათ ჩასაშლელად ხშირად უწევდათ თამაშის წესების დარღვევა. თუმცა ერთ-ერთი ასეთი შეტევის ჩაშლა მე-8 წუთზე მათ მაინც ვერ მოახერხეს და ლილიან ლასლანდმა ანგარიში გახსნა — გრენემ ვილტორდს კარგი პასი მიაწოდა, შარშანდელი სეზონის საუკეთესო ბომბარდირი მარცხნიდან მიუახლოვდა მალიკის კარს და ბურთი უკან დააგორა. ლასლანდსაც არ გასჭირვებია დაახლოებით სამი მეტრიდან გოლის გატანა. თითქოს „ბორდო" იოლ გამარჯვებას მოიპოვებდა. მას ამის მერეც ბევრი გოლის გატანა შეეძლო. „რუტ დე ლორიანის" სტადიონზე თავმოყრილმა მაყურებელმა თავისი საყვარელი გუნდის წევრებს სტვენა დაუწყო.

ამან დადებითად იმოქმედა „რენზე". იგი გამოფხიზლდა და ულრიხ რამეს კარსაც რამდენიმეჯერ სახიფათოდ დაემუქრა. 44-ე წუთზე კი ნონდას კარგი პასი ასევე კარგად გამოიყენა ელ ჰაჯი დიუფმა და ანგარიშიც გაათანაბრა. ჟირონდელთა მეკარე რამე კი გაჰყვიროდა, თამაშგარე იყოო, მაგრამ შეხვედრის არბიტრი სულაც არ ფიქრობდა ასე.

შესვენების შემდეგ უკვე „რენი" უფრო სწრაფად თამაშობდა, ვიდრე „ბორდო" და ეს სტუმართა დაცვაზეც აისახა, რომელიც ცოტა არ იყოს დაბნეული ჩანდა. ამის შედეგი 53-ე წუთზე საველიჩის მიერ საკუთარ კარში გატანილი გოლი იყო, რომელმაც პირველი სამი ქულა მოუტანა ბრეტონელებს.

ჩემპიონატის კარგი დასაწყისის შემდეგ (მოგება ლიონში) „მონპელიემ" ძალიან მოუკლო და უკვე მეორე მარცხი იწვნია. იგი ამჯერად „მონაკოსთან" დამარცხდა, რომელიც მისგან განსხვავებით, სულ უფრო და უფრო უკეთ თამაშობს და ზედიზედ მეორე გამარჯვებაც იზეიმა.

„მონპელიემ" შეხვედრა ძლიერად დაიწყო და თითქოს ქულის მოპოვების გარეშეც არ უნდა დაემთავრებინა. ანგარიში ახალგაზრდა სორლენის დარტყმის შემდეგ გაიხსნა 29-ე წუთზე. მონპელიელმა საფრანგეთის ნაკრების მეკარეს ლამაზად გადაუგდო ბურთი თავზე და თავისი გუნდი წინ გაიყვანა. პირველი ტაიმი ამ ანგარიშით დამთავრდა.

მატჩის მეორე ნახევარში „მონაკო" მეტოქეზე გაცილებით ძლიერად გამოიყურებოდა და ერთი წუთის ინტერვალით ორი გოლი გაიტანა. ორივე სათავადო კლუბის წლევანდელი შენაძენის, არგენტინელი გამთამაშებლის გალიარდოს დამსახურებაა. მან ჯერ ტრეზეგეს, შემდეგ კი სიმონეს მიაწოდა მშვენიერი პასები და თავდამსხმელებმაც თავი არ შეირცხვინეს. „მონპელიე" ნოკდაუნში ჩავარდა. თუმცა მასპინძლები გონს მაინც მოეგნენ და მაულიდამ მაკრატელათი ძალიან ლამაზი გოლიც გაუტანა ტოპმოდელ ლინდა ევანჯელისტაზე ახლახან დაქორწინებულ ფაბიენ ბარტეზს. ანგარიში კი გათანაბრდა, მაგრამ იმ სალამოს უძლიერესი „მონაკო" იყო და სიმონეს გამარჯვების გოლი სავსებით ლოგიკური გახლდათ.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 |
| ბორდო | 4 | 2 | 1 | 1 | 10:6 | 7 |
| მონაკო | 4 | 2 | 1 | 1 | 9:5 | 7 |
| ლიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ლანსი | 4 | 2 | 1 | 1 | 2:1 | 7 |
| ოსერი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| მარსელი | 4 | 1 | 3 | 0 | 6:3 | 6 |
| ნანტი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 6 |
| ბასტია | 4 | 2 | 0 | 2 | 7:8 | 6 |
| სტრასბური | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| სენტ ეტიენი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:8 | 5 |
| რენი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |
| მეცი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:3 | 4 |
| მონპელიე | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | 4 |
| ლე ავრი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| ნანსი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:7 | 3 |
| სედანი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 3 |
| ტრუა | 4 | 1 | 0 | 3 | 3:8 | 3 |

### მეორე დივიზიონი

მე-5 ტური. აიაჩო — ამიენი 1:3; შატორუ — ლილი 2:3; კრეტეი — კაენი 2:1; ლე მანი — კანი 2:1; ლუანი — სოშო 2:2; ნიცა — გენგამი 0:0; ნიმი — ლავალი 0:0; ნიორი — ვალანსი 1:1; ტულუზი — გენიონი 2:0; ვასკეალი — ლორიანი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:4 | 13 |
| ამიენი | 5 | 3 | 2 | 0 | 13:7 | 11 |
| ტულუზი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:2 | 10 |
| ლე მანი | 5 | 2 | 3 | 0 | 8:6 | 9 |
| კანი | 5 | 3 | 0 | 2 | 6:5 | 9 |
| ვალანსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| კრეტეი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| ლორიანი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 8 |
| სოშო | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| გენგამი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| კაენი | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 6 |
| შატორუ | 5 | 1 | 2 | 2 | 8:9 | 5 |
| ნიმი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| გენიონი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | 5 |
| ლავალი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:4 | 5 |
| ნიორი | 5 | 0 | 4 | 1 | 5:6 | 4 |
| ვასკეალი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:5 | 4 |
| ლუანი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |
| ნიცა | 5 | 0 | 3 | 2 | 3:7 | 3 |
| აიაჩო | 5 | 0 | 1 | 4 | 5:12 | 1 |



REUTERS ოსერიდან

პსჟ — ოსერი 1:1 ოსერელი ასატი პარიზელ ბენარბიას ფეხებში ჩაუვარდა

## შვეიცარია

IX ტური

**სერვეტი 3:1 ივერდონი**

1:0 ვარელა (24), 1:1 ენელტონი (44), 2:1 მელუნოვიჩი (48), 3:1 რეი (86)

**ლოზანა 1:0 ბაზელი**

1:0 მაცონი (21)

**ლუცერნი 1:1 ქსამაქსი**

0:1 კოხი (72), 1:1 თურქილმაზი (90)

**სენტ გალენი 2:1 ლუგანო**

0:1 ნკუფო (59), 1:1 მიულერი (64), 2:1 ამოა (81)

**დელემონი 2:1 გრასჰოპერი**

0:1 ტიკვა (13), 1:1, 2:1 ნაშიმანა (61, 90)

**ციურიხი 0:1 არაუ**

0:1 ვიდერკერი (10)

ციურიხი: პასკოლო, ფიშერი, ჯანინი (კასტილიო 46), ანდრეოლი (შტოკლასა 46), კვენტინი, სანტანა, ეიდელი, ჯამარაული, ყაველაშვილი (შასო 66), ბარტლეტი, ფრიკი

„ციურიხმა" შვეიცარიის ჩემპიონატის მეცხრე ტურში შინ „არაუსთან" 0:1 წააგო და წლეულს თავისთვის საკადრის ადგილზე დამკვიდრდა. გოჩა ჯამარაულის და მიხეილ ყაველაშვილის გუნდი ბოლო საფეხურზე ჩაქვეითდა. არადა, ჩემპიონატის წინ „ციურიხი" „გრასჰოპერთან" და სერვეტთან" ერთად ჩემპიონობის უმთავრეს კანდიდატად ითვლებოდა. ისე, ციურიხელებისთვის ცუდი სტარტი უცხო ნამდვილად არ გახლავთ. ბოლო ჩემპიონატებში კლუბი ყოველთვის უხეიროდ იწყებს, მაგრამ, თანდათანობით უმატებს თამაშს და ლიდერთა მარაქაშიც ერევა. წლეულს ეს, ალბათ, არ მოხდება, რადგან შვეიცარიელი მიმომხილველების თქმით, „ციურიხი" ასეთ ცუდ ფორმაში დიდი ხანია, არ ყოფილა. გუნდს ყველაზე მეტი პრობლემა შეტევის ხაზში აქვს. ცხრა მატჩში ციურიხელებმა ექვსი ბურთის გატანა მოახერხეს. თავდასხმა ჯერჯერობით ვერც ყაველაშვილის მისვლით გაძლიერდა.

„არაუსთან" საშინაო მატჩი „ციურიხმა" აქტიურად კი დაიწყო, მაგრამ გოლი მაინც თავად მიიღო. მე-10 წუთზე რაიმონდო პონტეს შეგირდებს არაუელთა კონტრშეტევა გაეპარათ და ვიდერკერმაც სტუმრები დააწინაურა. წონასწორობის აღდგენის საუკეთესო შანსი მასპინძლებს მატჩის 32-ე წუთზე მიეცათ. საჯარიმოში ხელით თამაშისთვის დანიშნული პენალტი „ციურიხის" სამხრეთაფრიკელმა ლეგიონერმა შონ ბარტლეტმა ვერ გამოიყენა. მისი დარტყმული ბურთი კარს გადასცდა, რამაც გუნდის ქომაგები საშინლად განარისხა.

მეორე ნახევარი „არაუს" უპირატესობით წარიმართა, ანგარიშის [illegible] მცოდნე [illegible] იფიქრა, „ციურიხი" ორი-სამი ბურთით იგებს და ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრობსო. მასპინძლებს შეცვლებმაც ვერ უშველათ. საყვარელი გუნდის თამაშით აღშფოთებული გულშემატკივრებიც მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში „პონტე წაეთრიეს" სკანდირებდნენ. დროდადრო პენალტის ამცილებელ ბარტლეტისკენაც იმეტებდნენ „ტკბილ" სიტყვას. მატჩის შემდეგ კი თავისი ფეხბურთელები დაახლოებით ისე გააცილეს „ლეტგრენდის" სტადიონიდან, როგორც შარშან „ტილბურგთან" შერცხვენილი თბილისის „დინამო" ქართველმა ქომაგებმა. ალბათ, გახსოვთ, „დინამოს" ავტობუსს მაშინ ქვების სეტყვა დაატყდა თავს.

ნამატჩევს შვეიცარიული მასმედია „ციურიხის" პრეზიდენტ სვენ ჰოტცს ეწვია მოკლე კომენტარისთვის, თუმცა ჰოტცმა დუმილი ამჯობინა. მიუხედავად ამისა, „ციურიხში" უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი და ეს პირველ რიგში, ალბათ, მთავარ მწვრთნელ რაიმონდო პონტეს შეეხება.

ჩემპიონატის ლიდერი კი კვლავაც „სენტ გალენია", რომელმაც შაბათს საკუთარ მინდორზე „ლუგანო" 2:1 დაამარცხა. მასპინძლებს შეიძლება ვერც ემარჯვათ, 62-ე წუთზე სტუმარ ბარეას ძელისთვის რომ აეცილებინა ბურთი და ანგარიში 2:0 გაეხადა, მაგრამ ასე არ მოხდა და „სენტ გალენმაც" მატჩის შემოტრიალება მოახერხა.

„სენტ გალენს" სულ ერთი ქულით ჩამორჩება გასული სეზონის ჩემპიონი ჟენევის „სერვეტი", რომელმაც შინ დებიუტანტ „ივერდონს" 3:1 მოუგო.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 8 | 5 | 2 | 1 | 15:8 | 17 |
| სერვეტი | 9 | 5 | 1 | 3 | 17:12 | 16 |
| გრასჰოპერი | 9 | 3 | 4 | 2 | 15:9 | 13 |
| ბაზელი | 8 | 3 | 4 | 1 | 10:5 | 13 |
| ლოზანა | 9 | 3 | 3 | 3 | 10:8 | 12 |
| ივერდონი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:11 | 12 |
| ქსამაქსი | 9 | 2 | 6 | 1 | 14:15 | 12 |
| ლუცერნი | 9 | 3 | 3 | 3 | 9:10 | 12 |
| არაუ | 9 | 3 | 2 | 4 | 11:17 | 11 |
| დელემონი | 9 | 2 | 2 | 5 | 12:20 | 8 |
| ლუგანო | 9 | 1 | 4 | 4 | 10:13 | 7 |
| ციურიხი | 9 | 1 | 4 | 4 | 6:13 | 7 |

## იტალია

სუპერთასი

**მილანი 1:2 პარმა**

1:0 გული (54), 1:1 კრესპო (66), 1:2 ბოგოსიანი (90)

„სან სიროზე", მსაჯის დამატებულ დროში, ფრანგი ალან ბოგოსიანის მიერ გატანილმა გოლმა „პარმას" „მილანთან" დრამატული გამარჯვება მოაპოვებინა.

პარმელებმა მოატრიალეს იმ თამაშის ბედი, რომელშიც ანგარიში მოწინააღმდეგემ გახსნა, რაც შეიძლება „გლაზგო რეინჯერსის" გაფრთხილებადაც ჩაითვალოს: ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ეტაპის პირველ შეხვედრაში „პარმამ" გლაზგოში 0:2 წააგო და ახლა საპასუხო მატჩის მოლოდინშია.

იტალიის პირველობის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ჩატარებულმა ამ თამაშმა, შედეგის მიუხედავად, დაადასტურა, რომ „მილანი" და „პარმა", კვლავაც მაღალი კლასის გუნდები არიან და ახალ სეზონშიც დომინანტებად დარჩებიან.

სამი ფორვარდით — ოლივერ ბირჰოფი, ჟორჟ ვეა, ანდრეი შევჩენკო — მოთამაშე მილანელებს შეხვედრის დასაწყისში მეტი სახიფათო მომენტი ჰქონდათ: მე-9 წუთზე შევჩენკომ მარჯვენა ფრთაზე ჩაიქროლა და ბირჰოფს ჩააწოდა, მაგრამ გერმანელის დარტყმა ჯანლუიჯი ბუფონმა მოიგერია. შვიდი წუთის შემდეგ ბირჰოფს მორიგი შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ ახლა არგენტინელი გულის პასი ვერ შეიშნო.

შემდეგ „პარმაში" „სალერნიტანადან" გადასულმა მარკო დი ვაიომ დაარტყა თავური გაწოლით, თუმცა, ამჯერად მასპინძელთა გოლკიპერმა, სებასტიანო როსიმ იყოჩაღა. მოგვიანებით, როსიმ ერნან კრესპოს დარტყმულიც მოიგერია.

შესვენებამდე „პარმას" კიდევ ორჯერ შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ვერ შეძლო. შესვენების შემდეგ ეს მილანელებმა მოახერხეს — მასიმო ამბროზინის მიერ მარცხნიდან ჩაწოდებული ბირჰოფმა გულის გადაუგდო და არგენტინელმა ზუსტად დაარტყა.

მიუხედავად ჩამორჩენისა, „პარმამ" ყურები არ ჩამოყარა და 66-ე წუთზე, პაოლო ვანოლის პასით კრესპომ აღადგინა წონასწორობა.

ამის შემდეგ აშკარად გამოჩნდა, რომ ფრესთან შეგუება არც ერთ მხარეს არ აწყობდა: ბუფონმა კვლავ მოიგერია ბირჰოფის თავური, ხოლო მსაჯის მიერ დამატებულ დროში კუთხურიდან ჩაწოდებულს ბოგოსიანმა თავურივე დაარტყა და მიუხედავუად იმისა, რომ ბურთი თავიდან ძელს მოხვდა, ანგარიში მაინც პარმელთა სასარგებლოდ შეიცვალა.

### თასის I ეტაპი. III ტური

ლეჩე — ფ. ანდრია 3:0; ტერნანა — ლუკეზე 3:0; ჩეზენა — სამპდორია 0:1; სავოია — პალერმო 2:2; ემპოლი — ლუმეცანე 2:0; ჯენოა — მონცა 1:0; პისტოიეზე — კრემონეზე 3:0; ატალანტა — კიევო 2:0; რეჯინა — ტრევიზო 0:0; გუალდო — კოზენცა 0:1; ფერმანა — ნაპოლი 1:3; სალერნიტანა — კომო 3:0; რეჯანა — ბრეშა 1:1; სტაბია — პესკარა 0:1; ვიჩენცა — ალძანო 2:1; სპალ — რავენა 2:1

## ჰოლანდია

II ტური

**ვიტესი 1:6 ეინდჰოვენი**

0:1, 0:2 ბრიუგინკი (15, 35), 1:2 ვან ჰოიდონკი (37), 1:3 ფაბერი (45), 1:4 ვან ნისტერლოოი (49პ), 1:5 ხოხლოვი (80), 1:6 ვან ნისტერლოოი (85)

**ფეიენოორდი 4:0 კამბური**

1:0 კორნეევი (4), 2:0 ქაირო (48), 3:0, 4:0 კალუ (63, 78)

**ტილბურგი 2:2 სიტარდი**

0:1 კოოლი (36), 0:2 გერიტსენი (47), 1:2, 2:2 ბომბარდა (60, 89)

**ტვენტე 4:2 ნაიმეგენი**

1:0 ტენ ჰაგი (9), 1:1, 1:2 პოტუიზენი (13, 42), 2:2, 3:2, 4:2 ჰესელინკი (61, 65, 80)

**ჰერენვენი 3:1 სპარტა**

1:0 ტალანი (22), 2:0 სამარჯიჩი (67), 2:1 ჯალიენსი (78), 3:1 პაკანსონი (90)

**როდა 1:2 ვალვაიკი**

1:0 ზაფარინი (19), 1:1 შოპსი (37), 1:2 პოგენდორპი (90)

**დენ ბოსხი 1:1 გრააფსხაპი**

1:0 მიხელსი (44), 1:1 ტუმბა (79)

**მასსტრიხტი 2:6 აიაქსი**

0:1, 0:2 კნოპერი (21, 24), 1:2 ემერსონი (41), 1:3 კნოპერი (51), 1:4 ვიჩხე (56), 1:5 ლაუდრუპი (61), 1:6 დანი (76), 2:6 პერესი (86)

აიაქსი: გრიმი, ნოივენბურგი (ვირკლაუ 61), ვერლაატი, ვინტერი, დე კლერი, დანი, კნოპერი (ვან ჰალსტი 79), ვიჩხე, არველაძე (ვამბერტო 72), მახლასი, ლაუდრუპი

ჩემპიონატის მეორე ტურშივე გამოიკვეთა პირველობისთვის მებრძოლ გუნდთა ვინაობა — „ეინდჰოვენი“, „ფეიენოორდი“ და „აიაქსი“.

ეს გუნდები ჯერჯერობით უდანაკარგოდ, 6-6 ქულით ლიდერობენ ჩემპიონატს, თუმცა ბურთების უკეთესი სხვაობის გამო პირველ ადგილზე „ეინდჰოვენია“, რომელმაც გასულ კვირას 6:1 გაანადგურა არნემის „ვიტესი“.

აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიის პირველობის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა, ეინდჰოვენელმა რუდ ვან ნისტელროოიმ კვლავ გამოიჩინა თავი, თუმცა პირველ ტურში გატანილი სამი ბურთის ნაცვლად ამჯერად ორი შეაგდო და თუ ასე გაგრძელდა, ჩემპიონატის საუკეთესო გოლეადორის წოდებას ამ სეზონშიც ალბათ არავის დაუთმობს.

„კამბურმა“ „ფეიენოორდის“ შეტევებს სულ რაღაც 4 წუთი გაუძლო. სწორედ მეოთხე წუთზე რუსმა იგორ კორნეევმა გახსნა ანგარიში, რის შემდეგაც მოედანზე ერთი გუნდი თამაშობდა და მას „ფეიენოორდი“ ერქვა. კორნეევის გოლის გარდა ჩემპიონებმა კიდევ სამი გაიტანეს, თანაც ისე, რომ საკუთარ კარში ერთიც არ გაუშვეს და საბოლოოდ იმარჯვეს კიდეც — 4:0.

გამარჯვებას მიაღწია ჩვენი თანამემამულე შოთა არველაძის „აიაქსმაც“. ამსტერდამელები „მაასტრიხტს“ სტუმრობდნენ და მასპინძლები დიდი ანგარიშით — 6:2 დაამარცხეს. მატჩის გმირი აიაქსელი რიჩარდ კნოპერი გახდა, რომელმაც ჰეთ თრიქი შეასრულა და ჰოლანდიელ სპორტულ ჟურნალისტთა აღიარებით, იმ შეხვედრაში ორივე კლუბის ფეხბურთელთაგან საუკეთესო იყო.

**კოკა ჭკადუა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი | 2 | 2 | 0 | 0 | 10:2 | 6 |
| ფეიენოორდი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 6 |
| აიაქსი | 2 | 2 | 0 | 0 | 9:4 | 6 |
| ტვენტე | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| ტილბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ვალვაიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ჰერენვენი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| ალკმარი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| უტრეხტი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| გრააფსხაპი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სიტარდი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| როდა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| კამბური | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | 1 |
| დენ ბოსხი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | 1 |
| ვიტესი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:7 | 1 |
| ნაიმეგენი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| სპარტა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| მაასტრიხტი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:10 | 0 |

## ბელგია

III ტური

**ბრიუგე 2:0 ბეერსხოტი**

1:0, 2:0 ვერჰეიენი (39, 66)

**ლომელი 3:3 აალსტი**

0:1 კურემენი (27), 0:2 ტიბო (35), 1:2 სიმონსი (38 პ), 1:3 კურემენი (65), 2:3 ვალიროგა (77), 3:3 დეკელვერი (90)

**ლიერსი 0:3 ანდერლეხტი**

0:1 რადზინსკი (5), 0:2 ზეტერბერგი (14 პ), 0:3 ვან დიმენი (83)

**სტანდარდი 0:2 გენტი**

0:1 შეპენსი (61), 0:2 ვასოვი (85)

**მუსკრონი 2:0 მეხელენი**

1:0, 2:0 ვანდერჰეგი (52, 62პ)

**შარლერუა 1:2 ვესტერლო**

1:0 ბრონიო (4), 1:1 მიტროვიჩი (68), 1:2 პორტი (90)

**ბევერენი 2:2 ჰარელბეკე**

1:0 ტარაშულსკი (13), 2:0 დე მეიერი (38), 2:1 ვერჰოენი (65), 2:2 სანდრა (89)

**გეელი 1:1 გენკი**

1:0 დელმანსი (58), 1:1 ვან გეემი (73)

**სტ. ტრუიდენი 1:1 ლოკერენი**

0:1 ბუდკა (30), 1:1 ვოეტსი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 3 | 3 | 0 | 0 | 11:2 | 9 |
| ანდერლეხტი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:4 | 9 |
| ვესტერლო | 3 | 2 | 1 | 0 | 10:8 | 7 |
| გენტი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| ლიერსი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:6 | 6 |
| გენკი | 3 | 1 | 2 | 0 | 9:7 | 5 |
| აალსტი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 4 |
| მუსკრონი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ლომელი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| შარლერუა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ბეერსხოტი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| სტანდარდი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| მეხელენი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| ჰარელბეკე | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| გეელი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:7 | 2 |
| სტ. ტრუიდენი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:6 | 2 |
| ლოკერენი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| ბევერენი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:9 | 1 |

## EURO 2000

VIII ჯგუფი

**ხორვატია 2:1 მალტა**

1:0 სტანიჩი (34), 2:0 სოლდო (55), 2:1 კარაბოტი (61)

ხორვატია: მრმიჩი, ბისკანი, რაპაიჩი, სოლდო, შტიმაცი, დ. სიმიჩი, ასანოვიჩი, სტანიჩი (ვლაოვიჩი 46) შუკერი, ბობანი (სარიჩი 16), ი. სიმიჩი (ბოკშიჩი 46)

მალტა: ბარი, საიდი, კარაბოტი, ველა, დებონო, კამილერი, ბუზუტილი (ოკონკვო 72), სალიბი, ნვოკო (მიფსუდი 89), ბრინკატი, აგუისი (სულტანა 83)

ხორვატიას ფრიად გაუჭირდა მალტის ნაკრების დამარცხება, მაგრამ დაამარცხა და მერვე შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილზე აინაცვლა. მალტელები კი კვლავაც გამარჯვების გარეშე დარჩნენ და როგორც თავიდანვე იყო მოსალოდნელი, ცხრილის ბოლოში არიან.

აღსანიშნავია, რომ სტუმრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსნებს ერთობ კარგად ორგანიზებული დაცვა დაუპირისპირეს.

„ასე იყო თუ ისე, კმაყოფილების სრული საბაბი გვაქვს, რადგან ყველაზე მნიშვნელოვანი რამ სამი ქულა მოვიპოვეთ. სხვამხრივ კი ამ შეხვედრას რაც შეიძლება მალე დავივიწყებთ“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ხორვატიის ნაკრების მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა.

მალტელებთან შეხვედრაში ხორვატებს კაპიტანი, ზვონიმირ ბობანი საკმაოდ ადრე დაუშავდათ და გამოსაცვლელი გაუხდათ. 34-ე წუთზე მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთს სტანიჩმა ზუსტად დაარტყა თავი — ანგარიში გახსნა, ხოლო ექვსი წუთის მერე შორიდან, ცოტა დააკლდა და კინაღამ გაზარდა.

მეორე ტაიმში მასპინძელთა შემადგენლობაში კვლავ გამოჩნდა ფეხბურთელი, რომელიც ტრავმის გამო კარგი ერთი წელიწადია ეროვნული ნაკრების სამოსით აღარავის უნახავს — ალენ ბოკშიჩი. მაგრამ ბოკშიჩის დაბრუნება შთამბეჭდავი ვერ გამოდგა. ერთ ეპიზოდში მისი და დავორ შუკერის ახლო დარტყმები მალტელთა მეკარემ ერნესტ ბარიმ მოიგერია.

55-ე წუთზე ხორვატებმა კუთხური ჩააწოდეს და სოლდომ თავურით მეორე გოლი შეაგდო სტუმართა კარში, ხოლო 62-ზე მასპინძელ მცველთა შეცდომით ისარგებლა კარაბოტმა და სხვაობა შეამცირა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 11 |
| იუგოსლავია | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 10 |
| ირლანდია | 4 | 3 | 0 | 1 | 8:1 | 9 |
| მაკედონია | 5 | 2 | 1 | 2 | 9:6 | 7 |
| მალტა | 7 | 0 | 0 | 7 | 4:24 | 0 |

# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტული ლატარია "CROCO"

**ხუთშაბათს 26 აგვისტოს „კროკო“ ჩვეულებრივი განრიგით იმუშავებს**

### ჩემპიონთა ლიგა. III ეტაპი. II წრე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 25.08 | 501 | სკონტო (ლატვია) — ჩელსი (ინგლისი) | (25,0-—) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | 502 | გალათასარაი (თურქეთი) — რაპიდი (ავსტრია) | (—-25,0) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 503 | ვიძევი (პოლონეთი) — ფიორენტინა (იტალია) | (10,0-1,02) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 504 | დინამო (უკრაინა) — ოლბორგი (დანია) | (1,05-7,5) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 505 | მალიორკა (ესპანეთი) — მოლდე (ნორვეგია) | (1,1-5,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 506 | მარიბორი (სლოვენია) — ლიონი (საფრანგეთი) | (1,6-1,8) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 507 | მტკ (უნგრეთი) — კროაცია (ხორვატია) | (2,0-1,5) | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| | 508 | პარმა (იტალია) — რეინჯერსი (შოტლანდია) | (1,8-1,6) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 509 | ბოავიშტა (პორტუგალია) — ბრონდბიუ (დანია) | (1,02-10,0) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 510 | აიკ (შვედეთი) — აეკ (საბერძნეთი) | (1,6-1,8) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 511 | ანორთოსისი (კვიპროსი) — ჰერტა (გერმანია) | (15,0-1,01) | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | 512 | ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ზიმბრუ (მოლდოვა) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 513 | პარტიზანი (იუგოსლავია) — სპარტაკი (რუსეთი) | (4,0-1,15) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 514 | ვალენსია (ესპანეთი) — ჰაპოელი (ჰაიფაძისრაელი) | (—-25,0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 515 | სერვეტი (შვეიცარია) — შტურმი (ავსტრია) | (1,7-1,7) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 516 | დორტმუნდი (გერმანია) — ტეპლიცე (ჩეხეთი) | (—-25,0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |

### უეფას თასი. I ეტაპი. II წრე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 24.08 | 528 | ცსკა (ბულგარეთი) — პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია) | (—-25,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 529 | შამქირი (აზერბაიჯანი) — კრივბასი (უკრაინა) | (25,0-—) | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| 26.08 | 517 | სილექსი (მაკედონია) — შახტარი (უკრაინა) | (4,0-1,15) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 518 | შირაქი (სომხეთი) — ჰიკ (ფინეთი) | (7,5-1,05) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 519 | გრაცერი (ავსტრია) — კლაკსვიკარი (ფარერები) | (—-50,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 520 | ინტერი (უელსი) — გორიცა (სლოვენია) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 521 | ბირკირკარა (მალტა) — ლიუნგბიუ (დანია) | (50,0-—) | 6,0 | 3,8 | 1,4 |
| | 522 | ლეიფტური (ისლანდია) — ანდერლეხტი (ბელგია) | (50,0-—) | 6,0 | 3,8 | 1,4 |
| | 523 | ომონია (კვიპროსი) — ბელშინა (ბელარუსი) | (—-25,0) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 524 | პრინჩიპატი (ანდორა) — ვიკინგი (ნორვეგია) | (50,0-—) | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| | 525 | ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) — ერევანი (სომხეთი) | (—-25,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 526 | ბრიუგე (ბელგია) — ტულევიკი (ესტონეთი) | (—-25,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 527 | სენტ ჯონსტონი (შოტლანდია) — ვაასა (ფინეთი) | (1,05-7,5) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 530 | ლევადია (ესტონეთი) — სტიაუა (რუმინეთი) | (25,0-—) | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | 531 | ბრეი (ირლანდია) — გრასჰოპერი (შვეიცარია) | (25,0-—) | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | 532 | ლეხი (პოლონეთი) — მეტალურგსი (ლატვია) | (1,2-3,5) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 533 | ტორპედო (საქართველო) — ლანტანა (ესტონეთი) | | | ანგარიში — | 5,0 |
| | 534 | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ნეფთჩი (აზერბაიჯანი) | (—-25,0) | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| | 535 | ვადუცი (ლიხტენშტაინი) — ბოდიო გლიმტი (ნორვეგია) | (10,0-1.07) | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| | 536 | კორკი (ირლანდია) — გიოტებორგი (შვედეთი) | (25,0-—) | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| | 537 | კილმარნოკი (შოტლანდია) — რეიკიავიკი (ისლანდია) | (1,35-2,5) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 538 | ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) — ლოკომოტივი (საქართველო) | | | ანგარიში — | 5,0 |
| | 539 | სიგმა (ჩეხეთი) — შერიფი (მოლდოვა) | (1,05-7,5) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 540 | უიპეშტი (უნგრეთი) — ვოივოდინა (იუგოსლავია) | (25,0-—) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 541 | სპარტაკი (სლოვაკეთი) — ვლაჟნია (ალბანეთი) | (1,05-7,5) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 542 | სელტიკი (შოტლანდია) — ქუიმბრანი (უელსი) | (—-50,0) | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| | 543 | ლევსკი (ბულგარეთი) — აპოელი (კვიპროსი) | (1,2-3,5) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 544 | კონსტრუქტორული (მოლდოვა) — ფერენცვაროში (უნგრეთი) | (5,0-1,1) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 545 | დინამო (რუმინეთი) — მონდერკანჟი (ლუქსემბურგი) | (—-50,0) | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| | 546 | ტოპსჰაგენი (ფარერები) — ანკარაგიუჯიუ (თურქეთი) | (5,0-1,1) | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | 547 | ბილისი (ალბანეთი) — ინტერი (სლოვაკეთი) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 548 | ჰელსინგბორგი (შვედეთი) — რიგა (ლატვია) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 549 | ლეგია (პოლონეთი) — ვარდარი (მაკედონია) | (—-50,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 550 | ციურიხი (შვეიცარია) — სლიმა (მალტა) | (—-50,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 551 | დუდელანჟი (ლუქსემბურგი) — ჰაიდუკი (ხორვატია) | (—-50,0) | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| | 552 | კაუნასი (ლიტვა) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) | (3,5-1,2) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 553 | ლოკომოტივი (რუსეთი) — ბატე (ბელარუსი) | (—-50,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 554 | კარედა (ლიტვა) — ოლიმპია (სლოვენია) | (1,7-1,7) | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### ინტერტოტო. ფინალი. II წრე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 24.08 | 555 | ჰამბურგი (გერმანია) — მონპელიე (საფრანგეთი) | (1,3-2,8) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | 556 | მეცი (საფრანგეთი) — ვესტ ჰემი (ინგლისი) | (1,2-3,5) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 557 | რენი (საფრანგეთი) — იუვენტუსი (იტალია) | (7,5-1,05) | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. V ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.08 | 001 | მიდლსბრო — ლესტერი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 002 | უოტფორდი — ასტონ ვილა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 25.08 | 003 | არსენალი — ბრედფორდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | 004 | ქოვენთრი — მანჩესტერი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | 005 | ევერტონი — უიმბლდონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 006 | ნიუკასლი — სანდერლენდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 007 | უესჰემი — დერბი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### რუსეთი. გადადებული მატჩი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.08 | 008 | ურალანი — როსტსელმაში | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### პოლონეთი. გადადებული მატჩი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 25.08 | 009 | პოლონია — რაძიონკოვი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ავსტრია. გადადებული მატჩი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.08 | 010 | ბრეგენცი — აუსტრია | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ნორვეგია. გადადებული მატჩი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 25.08 | 011 | ბრანი — ტრომსიო | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### ინგლისი. ლიგის თასი. I ეტაპი. II წრე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.08 | 012 | ბარნეტი — ბორნმუთი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 013 | ბარნსლი — ლინკოლნი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 014 | ბოლტონი — დარლინგტონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 015 | ბრისტოლი — კემბრიჯი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 016 | ბარნლი — მანჩესტერ სიტი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 017 | ჩელტენემი — ნორვიჩი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 018 | ჩესტერფილდი — როჩდეილი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 019 | ქრიუ — ჰართლპული | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 020 | კრ. პალასი — კოლჩესტერი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 021 | ექსეტერი — ბირმინგემი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 022 | ფულემი — ნორთჰემპტონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 023 | ჯილინგემი — ბრაიტონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 024 | გრიმსბი — კარლაისლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 025 | ჰადერსფილდი — სკანთორპი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 026 | ჰალი — როტერჰემი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| | 027 | იფსვიჩი — ბრენტფორდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 028 | ლეიტონი — სვინდონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 029 | მანსფილდი — ნოტინგემი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 030 | მილუოლი — სუონსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 031 | ნოტსი — ბერი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 032 | ოლდემი — სტოკპორტი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 033 | ოქსფორდი — საუთენდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 034 | პიტერბრო — რედინგი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 035 | პლიმუთი — უოლსოლი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| | 036 | პორტსმუთი — ტორკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 037 | პორტ ვეილი — ჩესტერი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 038 | შრიუსბერი — შეფილდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 039 | ტრანმერი — ბლეკპული | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 040 | ვესტ ბრომვიჩი — ჰალიფაქსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 041 | უიგანი — იორკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 042 | ვულვერჰემპტონი — უიკომბი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 043 | რექსემი — პრესტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 26.08 | 044 | როვერსი — ლუტონი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 045 | ქუინზ პარკი — კარდიფი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 046 | სტოკი — მაკლსფილდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

### იტალია. თასის I ეტაპი. მე-4 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 25.08 | 047 | ფ. ანდრია — ლეჩე | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | 048 | ლუკეზე — ტერნანა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 049 | სამპდორია — ჩეზენა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 050 | პალერმო — სავოია | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| | 051 | ლუმეცანე — ემპოლი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | 052 | მონცა — ჯენოა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 053 | კრემონეზე — პისტოიეზე | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | 054 | კიევო — ატალანტა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | 055 | ტრევიზო — რეჯინა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 056 | კოზენცა — გუალდო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 057 | ნაპოლი — ფერმანა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 058 | კომო — სალერნიტანა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 059 | ბრეშა — რეჯანა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 060 | პესკარა — სტაბია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 061 | ალძანო — ვიჩენცა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 062 | რავენა — სპალ | 1,2 | 5,0 | 9,0 |

**შესავსები ქვითრის მარცხენა სვეტში არჩეული წყვილის შესაბამისი ნომრის მითითება აუცილებელია (ნომრისა და წყვილის შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტულად ჩაწერილი წყვილი ჩაითვლება)**

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## პორტუგალია

I ტური

**სეტუბალი 1:1 გიმარაეში**
1:0 ჟოაო (16), 1:1 ლუცენა (49)

**ბოავიშტა 1:1 პორტუ**
0:1 ჟარდელი (2), 1:1 აპინფული (90)

**სანტა კლარა 2:2 სპორტინგი**
1:0, 2:0 გამბოა (22, 42), 2:1 პიმენტა (53), 2:2 აკოსტა (64)

**ალვერკა 3:2 ბრაგა**
1:0 კაჟუ (6), 2:0 მილინკოვიჩი (21), 3:0 კაჟუ (52), 3:1 დუარტე (73), 3:2 ბორჟესი (90)

**ამადორა 0:3 ბელენენსეში**
0:1 პატაკა (58), 0:2 კაბრალი (70) 0:3 პატაკა (70)

**ჟილ ვისენტე 3:0 კამპომაიორენსე**
1:0 გუგა (64), 2:0 ნასიმენტუ (72), 3:0 კოშტა (90)

**სალგეირუში 1:0 მარიტიმუ**
1:0 ბაპტისტა (63)

**ფარენსე 2:1 ლეირია**
0:1 სილვა (35), 1:1 ნადერი (44), 2:1 დიები (71)

**რიუ ავე 1:1 ბენფიკა**
0:1 ნუნიესი (9), 1:1 ენრიკე (29)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელენენსეში | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ჟილ ვისენტე | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ალვერკა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ფარენსე | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სალგეირუში | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სანტა კლარა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| სპორტინგი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| სეტუბალი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| გიმარაეში | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბოავიშტა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| პორტუ | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| რიუ ავე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბენფიკა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბრაგა | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ლეირია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| მარიტიმუ | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ამადორა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| კამპომაიორენსე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |



REUTERS ფოტოქრონიკა

ბოავიშტა — პორტუ 1:1. სტუმარი ლიუბინკო დრულოვიჩი მასპინძელ პაულუ სოუზას გაურბის

## რუსეთი

XXI ტური

**დინამო 2:4 ლოკომოტივი**
0:1 სმერტინი (29), 0:2 ბულიკინი (47), 0:3 ლოსკოვი (49), 1:3 ტერიოხინი (55), 2:3 გოლოვსკოი (65პ), 2:4 ლოსკოვი (79)

**ალანია 2:0 სატურნი**
1:0 ედუ (13), 2:0 დემეტრაძე (26)

**კრილია 4:2 ჟემჩუჟინა**
1:0 მიქაელიანი (23), 2:0 კაინოვი (27), 2:1 სოკოლოვი (66), 3:1 კაინოვი (75), 3:2 დემენკო (89), 4:2 წიკლაური (90)

**შინიკი 1:0 ტორპედო**
1:0 ბიჩკოვი (7)

**ზენიტი 1:0 როსტსელმაში**
1:0 კურტიანი (89)

**ურალანი 3:0 ნ. ნოვგოროდი**
1:0 მიკალაიუნასი (8), 2:0 ავალიანი (62), 3:0 მიკალაიუნასი (75)

**ჩერნომორეცი 2:1 ცსკა**
1:0, 2:0 კუცენკო (9, 40), 2:1 ხომუხა (51პ)

21-ე ტურის ცენტრალური შეხვედრა მოსკოვური გუნდების — „დინამოსა" და „ლოკომოტივის" დაპირისპირებით აღინიშნა. რკინიგზელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს. მიუხედავად მთავარი ფორვარდის, ტრავმირებული ზაზა ჯანაშიას მოსაკლისებისა, სიომინის შეგირდებმა ოთხჯერ დალაშქრეს მასპინძელთა კარი. ახლა „ლოკომოტივს" რუსეთის ჩემპიონობის მოპოვების კარგი შანსი აქვს და შეუძლია, გაისად ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრისთვის იბრძოლოს, რადგან საეჭვოა, ზაზა ჯანაშიას გუნდს თითქმის განაღდებულ მეორე ადგილს ვინმეს შეეცილოს. მით უმეტეს, მისი უახლოესი მდევარი, მოსკოვის ცსკა ღრმა კრიზისს განიცდის და ქულას ქულაზე კარგავს.

წესითა და კანონით, ქართველების „ალანიას" უეფას თასზე გამსვლელი საგზურის დაუფლება არ უნდა გაუჭირდეს. 21-ე ტურში ვლადიკავკაზელებმა შინ „სატურნი" დაამარცხეს. მასპინძელთა რიგებში ყოფილი თბილისის დინამოელის, დავით ჭიჭვეიშვილის დებიუტი შედგა. იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოადენზე — ამ სიტყვებით შეაფასა ჩვენებურის მოქმედება მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ალანიას" მწვრთნელის თანაშემწემ, ნიკოლაი ლატიშმა. ვალერი გაზაევი ამ შეხვედრას არ დასწრებია. იგი მკურნალობის კურსს გადის. ვლადიკავკაზელთა დამრიგებელი მხოლოდ შეხვედრის წინ გაცემული დირექტივებით დაკმაყოფილდა.

დავით ჭიჭვეიშვილი დაცვაში საიმედო თამაშით გამოირჩა. თუმცა, მეტოქის ნახევარსაც არაერთხელ ესტუმრა და მე-13 წუთზე საგოლე პასიც ჩაიწერა ანგარიშზე. მან მთელი 90 წუთი დაჰყო მინდორზე.

„ალანიას" მეორე ქართველი მცველი, მამუკა წერეთელიც კარგად გაისარჯა. 61-ე წუთზე მისი გამოცვლა კი ჩვენებურის მცირე ტრავმამ განაპირობა. ნახევარმცველ გია ჩხაიძეს კი კვლავ სათადარიგოთა სკამიდან მოუხდა მატჩის ცქერა. ალბათ, დემეტრაძის ამბავი ყველაზე უფრო გაინტერესებთ. დემეს ისევ გააქვს და რუსეთის ახალ-ახალ რეკორდებსაც ამყარებს. „სატურნთან" შეხვედრის 26-ე წუთზე გიორგიმ ფინტების კორიანტელით თავბრუ დაახვია თავის მეურვეს და კარისკენ დაარტყა, ბურთი სტუმართა მცველს შეეხო და ისე შეგორდა კარში. 18 ნათამაშებ მატჩში დემეს 18 გოლი დაუგროვდა და ბომბარდირთა დავაში კიდევ უფრო დაწინაურდა.

ახლა კი „ალანიას" ქართველი ფორვარდის რეკორდზეც მოგახსენებთ. ზედიზედ მეშვიდე შეხვედრაა, დემეტრაძე უგოლოდ არ ტოვებს მოედანს. ასეთი რამ აქამდე მხოლოდ ექვს-ექვს მატჩში გაეკეთებინათ მოსკოვის დინამოელ იგორ სიმუტენკოვსა და ვოლგოგრადელ ოლეგ ვერეტენიკოვს. ესეც შენი რუსეთის „დემიგოლის" ახალი რეკორდი. „როტორთან" გატანილი რომ არ გაეუქმებინათ, გიორგის ანგარიშზე ზედიზედ 8 შედეგიანი შეხვედრა იქნებოდა.

21-ე ტურში „კრილიას" ქართულმა ფრთამაც იხეირა. თამაშში 70-ე წუთიდან ჩართულმა ზურაბ წიკლაურმა 5 წუთში საგოლე პასი გაახერხა, მატჩის ბოლოს კი „ჟემჩუჟინას" მეკარე ტუმილოვიჩი უშანსოდ დატოვა. მასპინძელთა კარს დავით გვარამაძე იცავდა, მის მისადგომებს კი კაპიტანი ზურაბ ფოფხაძე.

სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია ბოლოადგილოსანი „შინიკის" გამარჯვება მოსკოვურ „ტორპედოსთან". მასპინძლებმა ტაიმნახევრის განმავლობაში კაცნაკლულებმა შეძლეს ანგარიშის შენარჩუნება. ამ მოგებით იაროსლაველებმა ერთი საფეხურით აინაცვლეს, ბოლო პოზიცია კი კვლავ „ჟემჩუჟინას" გადაულოცეს. სულ ეს იყო. მომავალ „დემიგოლის" გოლამდე...

**ხვიჩა სანიკიძე**

| ბომბარდირები | | |
|---|---|---|
| დემეტრაძე | (ალანია) | 18 |
| ტიხონოვი | (სპარტაკი) | 16 |
| ტერიოხინი | (დინამო) | 11 |
| ლოსკოვი | (ლოკომოტივი) | 11 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 24 | 17 | 5 | 2 | 54:18 | 56 |
| ლოკომოტივი | 21 | 14 | 4 | 3 | 48:23 | 46 |
| ცსკა | 21 | 10 | 7 | 4 | 37:20 | 37 |
| ტორპედო | 22 | 9 | 9 | 4 | 28:25 | 36 |
| ალანია | 20 | 10 | 4 | 6 | 43:26 | 34 |
| დინამო | 21 | 9 | 5 | 7 | 35:31 | 32 |
| ზენიტი | 21 | 7 | 8 | 6 | 27:25 | 29 |
| როსტსელმაში | 19 | 7 | 6 | 6 | 20:20 | 27 |
| ნ. ნოვგოროდი | 21 | 7 | 4 | 10 | 24:34 | 25 |
| კრილია | 22 | 6 | 4 | 12 | 30:38 | 22 |
| როტორი | 21 | 6 | 4 | 11 | 27:40 | 22 |
| სატურნი | 22 | 5 | 6 | 11 | 20:32 | 21 |
| ჩერნომორეცი | 21 | 5 | 5 | 11 | 20:35 | 20 |
| ურალანი | 20 | 5 | 4 | 11 | 16:27 | 19 |
| შინიკი | 21 | 4 | 7 | 10 | 14:30 | 19 |
| ჟემჩუჟინა | 21 | 3 | 8 | 10 | 17:36 | 17 |

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

## ფეხბურთის რუკასთან

**გერმანიის** ნაკრების მთავარი მწვრთნელი ერიხ რიბეკი ნაკრებში ვეტერან ნახევარმცველ ტომას ჰესლერის მიწვევას კვლავ აპირებს. 4 სექტემბერს გერმანია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩში ჰელსინკში ფინეთს, ხოლო ცხრაში დორტმუნდში ჩრდილოეთ ირლანდიას ხვდება. რიბეკი გრძნობს, რომ ჰესლერის დიდი გამოცდილება ნაკრებს წაადგება. „მას არასოდეს უთქვამს ნაკრებზე უარი" — ამბობს მთავარი მწვრთნელი. ჰესლერმა გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში ბოლო მატჩი შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩაატარა და მაშინ გუნდი, გეხსომებათ, ხორვატიასთან 0:3 შერცხვა. ჰესლერი ახლახან გადავიდა „მიუნხენში" დორტმუნდიდან, სადაც არცთუ ხეირიანი სეზონი გაატარა. რიბეკი ჰესლერის გარდა კიდევ ერთ ძველ ნაკრებელს, მიდლსბროელ კრისტიან ციგესაც მიიწვევს.

**იაპონელი** ფეხბურთელი, 22 წლის ჰიდეტოში ნაკატა, რომელიც აზიის წლის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, მზადაა თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდს სიდნეის ოლიმპიადაზე გასვლაში დაეხმაროს, მაგრამ წინააღმდეგობას აწყდება: იაპონიის ნაკრების მწვრთნელი, ფრანგი ფილიპ ტრუსიე ჰოჭმანობს გამოიძახოს თუ არა ოქტომბერსა და ნოემბერში ყაზახეთსა და ტაილანდთან სათამაშოდ. ტრუსიე, ამასწინათ, იტალიაში გახლდათ, სადაც ნაკატას კლუბის „პერუჯას" ხელმძღვანელებს ესაუბრა. „ნაკატას იაპონიის ნაკრების ოთხივე თამაშზე გამოუშვებენ და ახლა ყველაფერი მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული. არ ვიცი გამოვიძახებ თუ არა მას. საქმე ის გახლავთ, რომ დროში განსხვავება თამაშობს ძალიან მნიშვნელოვან როლს, გარდა ამისა, უცნობია თამაშებამდე რამდენი დღით ადრე გამოუშვებენ ფეხბურთელს. კიდევ არის ერთი გარემოება: ჩემს განკარგულებაში ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, ამიტომ არ ვიცი მისი გამოძახება კარგ როლს ითამაშებს თუ ცუდს".

**კუბისა** და აშშ-ის ნაკრები გუნდები მომავალ ზაფხულს, ჰავანაში ამხანაგური შეხვედრის ჩატარებაზე შეთანხმდნენ. ამრიგად, ორი ქვეყნის ურთიერთობაში სპორტულმა დიპლომატიამ ნაბიჯი წინ გადადგა. შეხვედრის თარიღი განსაზღვრულია — 2000 წლის 19 ივლისი.

**ნიგერიის** ნაკრების ჰოლანდიელ მწვრთნელს, ტის ლიბრეხტს თავის დამქირავებლებთან კონფლიქტი აქვს: ნიგერიელები ჯამაგირს არ უხდიან. „ასეთი რამეები ხდება და ამაში ახალი არაფერია... თანაც ჩვენ ლიბრეხტსთან აშკარად ვერ დავამყარეთ კარგი ურთიერთობა" — განაცხადა ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ტიჯანი იუსუფმა — „ჩვენი ორგანიზაცია ამჟამად ფინანსურ კრიზისშია. ასე რომ მას მოთმინება მოუწევს". გასული წლის სექტემბერში დანიშნულ ლიბრეხტს კი ნიგერიული გაზეთებისთვის უთქვამს: „ჩვენი ურთიერობა უპატივცემულობაში გადაიზარდა. პრობლემა მხოლოდ ფული როდია, არის მთელი რიგი ტექნიკური საკითხები. სამუშაო პირობები უბრალოდ საშინელია. აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიელმა სპეციალისტმა მაპუტუში მოზამბიკთან ამხანაგურ შეხვედრაში გუნდის წაძღოლაზე უარი განაცხადა.

**ინგლისის** ნაკრების მწვრთნელმა, კევინ კიგანმა განაცხადა, რომ „მიდლსბროს" გამთამაშებელი, ჭირვეული ვარსკვლავი პოლ გესქოინი, როგორც მოსალოდნელი იყო, სექტემბერში ეროვნულ გუნდს ვერ დაუბრუნდება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან გაზამ პრემიერლიგის ბოლო ტურის შეხვედრაში, „ლივერპულის" წინააღმდეგ, მე-19 წუთზე ტრავმა მიიღო და მოედნიდან გასაყვანი შეიქნა. მოგვიანებით ჩატარებულმა სამედიცინო შემოწმებამ დაადგინა, რომ გესქოინს ორი კვირით მკურნალობა მოუწევს. „სამწუხაროა, რომ პოლის მიწვევის საშუალება აღარ მეძლევა. ბოლო პერიოდში ვაკვირდებოდი და ვხედავდი რომ გესქოინი დღითიდღე უკეთ თამაშობდა, რაც არა მარტო „მიდლსბროს" მწვრთნელისთვის, ბრაიან რობსონისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის სასიამოვნო ამბავი გახლდათ. სამწუხაროა, მაგრამ რა გაეწყობა, კარს მისთვის მარად ღიას დავტოვებთ" — თქვა კიგანმა.

## შოტლანდია

IV ტური.

**ჰართსი 3:0 აბერდინი**
1:0, 2:0, 3:0 მაკსვიგანი (44, 50, 86)

**დანდი 1:2 სელტიკი**
0:1 მაე (68), 1:1 შარპი (86), 1:2 ლარსონი (88)

**კილმარნოკი 0:1 მოზერუელი**
0:1 ადამსი (33)

**რეინჯერსი 4:1 დანდი იუნ.**
1:0 რეინა (22), 2:0 ვან ბრონგჰორდტი (50), 3:0 უოლესი (59), 4:0 ვიდმარი (76), 4:1 დე ბოსი (87)

**სტ. ჯონსტონი 1:1 ჰიბერნიანი**
1:0 ლოუნდესი (36), 1:1 მაკანესპი (60ს.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 4 | 4 | 0 | 0 | 14:3 | 12 |
| სელტიკი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:3 | 9 |
| ჰართსი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 7 |
| დანდი იუნ. | 4 | 2 | 1 | 1 | 7:8 | 7 |
| ჰიბერნიანი | 4 | 1 | 3 | 0 | 8:7 | 6 |
| მოზერუელი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:8 | 5 |
| სტ. ჯონსტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| დანდი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:8 | 3 |
| კილმარნოკი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:5 | 3 |
| აბერდინი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:12 | 0 |

## ჩეხეთი

მე-4 ტური. ოპავა — ბრნო 4:1; დუკლა — ბლშანი 1:0; სლავია — ლიბერეცი 0:0; სიგმა — ჰრადეცი 2:2; დრნოვიცე — ბანიკი 1:0; ჟიჟკოვი — ბოჰემიანსი 2:2; იაბლონეცი — ბუდეიოვიცე 2:1; ტეპლიცე — სპარტა 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 4 | 3 | 1 | 0 | 4:0 | 10 |
| ტეპლიცე | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 7 |
| ბუდეიოვიცე | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| დუკლა | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| ლიბერეცი | 4 | 1 | 3 | 0 | 5:3 | 6 |
| დრნოვიცე | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| ბრნო | 4 | 2 | 0 | 2 | 6:8 | 6 |
| იაბლონეცი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | 6 |
| ოპავა | 4 | 1 | 2 | 1 | 6:4 | 5 |
| სპარტა | 4 | 1 | 2 | 1 | 7:6 | 5 |
| ბოჰემიანსი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| ბანიკი | 4 | 1 | 1 | 2 | 8:6 | 4 |
| ბლშანი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:8 | 4 |
| სიგმა | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | 3 |
| ჟიჟკოვი | 4 | 0 | 3 | 1 | 6:8 | 3 |
| ჰრადეცი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |

## პოლონეთი

მე-6 ტური. ლეხი — პოლონია 1:3; ზაგლებე — ვიძევი 1:0; ამიცა — პლოცკი 2:1; ლკს — გროცლინი 1:0; გურნიკი — რაძიონკოვი 5:0; ლეგია — ოდრა 1:1; რუხი — სტომილი 3:0; ვისლა — პოგონი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუხი | 6 | 4 | 2 | 0 | 14:4 | 14 |
| ვისლა | 6 | 5 | 1 | 0 | 15:6 | 16 |
| ამიცა | 6 | 4 | 1 | 1 | 11:7 | 13 |
| პოლონია | 5 | 3 | 2 | 0 | 9:2 | 11 |
| ზაგლებე | 6 | 3 | 2 | 1 | 9:7 | 11 |
| პოგონი | 6 | 2 | 3 | 1 | 8:8 | 9 |
| ჰალეკსი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:9 | 10 |
| გურნიკი | 6 | 2 | 3 | 1 | 17:10 | 9 |
| ლეგია | 6 | 1 | 5 | 0 | 8:7 | 8 |
| ლკს | 5 | 2 | 1 | 2 | 2:3 | 7 |
| პლოცკი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | 7 |
| რაძიონკოვი | 5 | 1 | 0 | 4 | 2:10 | 3 |
| ვიძევი | 5 | 0 | 2 | 3 | 6:11 | 2 |
| ლეხი | 6 | 0 | 2 | 4 | 5:10 | 2 |
| ოდრა | 6 | 0 | 2 | 4 | 4:11 | 2 |
| გროცლინი | 6 | 0 | 0 | 6 | 5:15 | 0 |

*სტომილს სახელი შეეცვალა და ამიერიდან ჰალეკსი ერქმევა*

# ერთ კვირაში ნაკრები რომ კეთდებოდეს ...

*22 აგვისტოს საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრები სლოვაკეთს გაემგზავრა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში სასპარეზოდ. ქართველი ჭაბუკები იუგოსლავიის, საფრანგეთის, სლოვაკეთის, რუმინეთისა და ავსტრიის თანაგუნდელებთან ერთად გაითამაშებენ პირველ-მესამე ადგილებს, რომლებიც მომდევნო ეტაპზე თამაშის საშუალებას იძლევიან.*

*გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე ჭაბუკები დაუპირისპირდნენ ვერის ბაღში მოვარჯიშე საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატებს, რომლებიც თავის მხრივ, მიმდინარე წლის სექტემბრის დასაწყისისთვის თურქეთში დაგეგმილი შავი ზღვის აუზის ქვეყნების თამაშებისთვის ემზადებიან. აღნიშნული მატჩის შემდეგ საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა დაასახელა ის ათი კალათბურთელი, რომლებიც სლოვაკეთში წავიდოდა, ხოლო იქ კი სლოვენიაში მოასპარეზე სამი ქართველი ლეგიონერი დაემატებათ.*

*რა შანსები აქვთ ჩვენს ბიჭებს სლოვაკეთში? ერთი კვირის მუშაობით რომ ნაკრები კეთდებოდეს... თუმცა, ყველაზე უპრიანი იქნება, თვითონ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს მოვუსმინოთ და დასკვნებიც შემდეგ გავაკეთოთ.*

**— როგორი შემადგენლობით მიემგზავრებით სლოვაკეთში?**

— უკანა ხაზი: ირაკლი მშვილდაძე (თსუ), დავით მოისწრაფიშვილი (სტუ), ანატოლი ბერიშვილი (კოლხა), ირაკლი მეგრელიშვილი (უგუნდოდ); ფორვარდები: კოტე ტუღუში (სტუ), შალვა ხეცურიანი (უგუნდოდ), ირაკლი შანიძე (ვითა), გიორგი მარკოიშვილი (თსუ), ზვიად ბაბიაშვილი (აზოტი); ცენტრი: ზაზა ფაჩულია (ულქერი, თურქეთი). აღნიშნულ კალათბურთელებს სლოვაკეთში დაემატებიან სლოვენიაში მოასპარეზენი: ცენტრი დავით უგრეხელიძე (ტრიგლავი) და თავდამსხმელები ნიკოლოზ ცქიტიშვილი და ირაკლი კეიდია (ორივე — სლოვანი).

**— თქვენ ცამეტი კალათბურთელი დაასახელეთ, განაცხადში კი თორმეტზე მეტის შეყვანის უფლება არ გაქვთ. კალათბურთელთაგან რომელიმეს ტრავმა აწუხებს თუ უბრალოდ თავს იზღვევთ?**

— ვინც თბილისიდან მიემგზავრება, თავს ყველა კარგად გრძნობს. ზუსტად არ ვიცი, როგორ ფორმაში დამხვდებიან ჩვენი სლოვენიელი ლეგიონერები. ამიტომ, მეცამეტე კალათბურთელად მიმყავს ირაკლი მეგრელიშვილი. მხოლოდ სლოვაკეთში ჩასვლის შემდეგ დავასახელებ იმ თორმეტ კალათბურთელს, რომლებიც ტურნირში იასპარეზებენ.

**— ბევრი მწვრთნელი ცდილობს, რომ მოზარდ კალათბურთელთა ნაკრებში როგორმე ადგილი გაუჩალიჩოს გადაზრდილ სპორტსმენს. თქვენ კი თითო-ოროლაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჭაბუკთა ნაკრებში ერთბაშად რვა კადეტი გამოიძახეთ. ეს ფაქტი როგორ შეიძლება გავიგოთ: ჭაბუკთა ამჟამინდელ თაობას აქვს ჩავარდნა თუ უმჯობესია მწვანე შუქი ავუნთოთ კადეტებს, რომლებიც ერთ-ერთ საუკეთესო თაობადაა მიჩნეული ქართულ კალათბურთში?**

— თუ რაიმე სასიკეთოს გაკეთება გვინდა ქართული კალათბურთისთვის, მაშინ ერთი პირი უნდა იყოს დიდებში და მოზარდებთან მომუშავე მწვრთნელებს შორის. ეროვნული ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელ ზურაბ ტომანაძესთან საუბრისას იმ დასკვნამდე მივედი, რომ კადეტებიდან 7-8 კალათბურთელს დიდი შანსი აქვს საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი გახდეს. ჩემი აზრით, ამ თაობის კალათბურთელები ეროვნული ნაკრების წამყვანი მოთამაშეები იქნებიან და არა ჩვეულებრივი, რიგითი წევრები. ამიტომ მათ რაც შეიძლება მეტი თამაშის საშუალება უნდა მივცეთ.

**— ორიოდე კვირის წინ „სარბიელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სინანულით აღიშნავდით, რომ მომზადება ჯერაც ვერ დამიწყია, რადგან პირადად მიხდება დასასვენებლად მყოფი კალათბურთელების შეკრებაო. ახლა უკვე ყველაფერი უკან დარჩა. რამდენად კმაყოფილი ხართ ნაკრების მომზადებით?**

— მომზადების პროცესი, ფაქტიურად, ვინც თბილისიდან მივემგზავრებით, 14 აგვისტოს შევიკრიბეთ მთლიანად და მხოლოდ ერთი კვირის ნორმალური მუშაობა გამოგვივიდა. დიდ იმედებს ვამყარებთ ზაზა ფაჩულიაზე. მის გარშემო კეთდებოდა თითქმის ყველა კომბინაცია და სანამ იგი არ ჩამოვიდა, მუშაობა მუშაობას არ ჰგავდა. ღმერთის წყალობა თუ გვიშველის, თორემ მეტი არაფერი.

**— კალათბურთელებმა აგარაკებს რომ მიაშურეს, არ იცოდნენ, ნაკრები მზადებას როდის იწყებდა?**

— მეც და კალათბურთის ფედერაციასაც კადეტების მიერ ევროპის 1999 წლის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე დაკავებულ მეშვიდე ადგილს ნორმალურ შედეგად ვთვლით, მაგრამ თვითონ კალათბურთელებისთვის ეს შედეგი კრახის ტოლფასი იყო, რადგან სლოვენიაში მიმავალი კადეტები თითქმის დარწმუნებულები იყვნენ, რომ ერთ-ერთი სინჯის მედალს მოიპოვებდნენ. ამის გამო ბიჭები მორალურად მოშლილები იყვნენ და დასვენება სჭირდებოდათ. ეს არ უნდა ყოფილიყო 5-7 დღეზე მეტი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ზოგიერთს გაუგრძელდა დასვენება. მიუხედავად ამისა, ვინც შეგულებული მყავდა, მაინც ავიყვანე.

**— შეკრება თუ გქონდათ დაგეგმილი?**

— შეკრების საშუალება კი არა, ბოლო დღემდე კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა საკვალიფიკაციო ტურნირზე ჩვენი გამგზავრების საკითხი. მადლობა ღმერთს, რომ ფინანსები გამოინახა და ამ ტურნირის მიღმა არ დავრჩით.



ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი

**— კონკრეტულად რა რგოლში მოისუსტებს ჭაბუკთა ნაკრები?**

— ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი დაცვაში.

**— რამდენად შეძლებით დაცვაში არსებული პრობლემების მოგვარება?**

— ყველა ხარვეზის აღმოფხვრას წლები სჭირდება, მაგრამ თვენახევარი მაინც რომ გვემუშავა, რაც ამ ეტაპზე გვჭირდება, იმას მაინც მივაღწევდით. მიუხედავად ამისა, თავი არ დაგვიზოგავს, ნაკრების და ჩვენი მეტოქეების რამდენიმე თამაშის ვიდეოჩანაწერი გავაანალიზეთ და, მე მგონი, ხარვეზები სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გამოსწორდება.

**— რაკი მეტოქეთა მატჩების ვიდეოჩანაწერები იმოვეთ, მათ შესახებ გარკვეული წარმოდგენაც უნდა გქონდეთ.**

— რა თქმა უნდა. ამ ბოლო დროს თითქმის სისტემატურად ვეთამაშებით ფრანგებს. ასევე ხშირად ვხვდებით ხოლმე იუგოსლავიელებს, რომლებიც ტურნირის ფავორიტები იქნებიან.

**— ჩვენზე რას იტყვით. სამეულში მოხვედრა გაგვიჭირდება?**

— საეჭვოა, იუგოსლავიამ და საფრანგეთმა პირველი-მეორე ადგილი ვინმეს დაუთმონ. მესამე ადგილისთვის ბრძოლა შეიძლება და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მომდევნო წრეში თამაშის უფლება მოვიპოვოთ.

**როლანდ ლაგუჩიძე**

**საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების განრიგი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე**

| | |
|---|---|
| 25 აგვისტო | საქართველო — იუგოსლავია |
| 26 აგვისტო | საქართველო — სლოვაკეთი |
| 27 აგვისტო | საქართველო — ავსტრია |
| 28 აგვისტო | საქართველო — საფრანგეთი |
| 29 აგვისტო | საქართველო — რუმინეთი |

# აბრამიძე ბათუმში გადავიდა

ორიოდე კვირის წინ „სარბიელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საკალათბურთო კლუბ „ბათუმის“ ვიცე-პრეზიდენტმა მერაბ ემირიძემ აღნიშნა, რომ ორი-სამი კალათბურთელის მოწვევას ვაპირებთ თბილისიდან და ექვსეულში მოსახვედრად ვიბრძოლებთო. მაშინ ემირიძემ კალათბურთელების დასახელებისგან თავი შეიკავა, რადგან მოლაპარაკება სპორტსმენებთან ამჟამადაც მიმდინარეობს და დანამდვილებით ვერაფერს გეტყვითო.

„ბათუმში“ მოთავრჯიშე ექს-დინამოელები ვალერი კილაძე და ირაკლი მაისურაძე აჭარაში დარჩენაზე არც ჰოს ამბობენ და არც არას. გადაწყვეტით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და აწ უკვე „ვითას“ ყოფილი უკანახაზელი მამუკა აბრამიძე მომავალ საკალათბურთო სეზონს ბათუმის „ბათუმში“ გაატარებს.

თავის მხრივ, საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „ვითას“ მთავარი მწვრთნელის ზურაბ ტომარაძის თქმით, საქართველოს შვიდგზის ჩემპიონს განზრახული აქვს ვლადიმერ ბეჟანიშვილის დამატება, თუ იგი უცხოეთში არ გააგრძელებს საკალათბურთო კარიერას. დღეისთვის კი „ვითაში“ სამ ახალწვეულს შეხვდებით: ირაკლი შანიძეს, მამუკა ჩხაიძეს და ზურაბ პაპასკირს.

მსროლელმა შანიძემ ბოლო საკალათბურთო სეზონი თბილისის „დინამოში“ გაატარა. ჩხაიძემ (თავდამსხმელი) და პაპასკირმა (მსროლელი) კი თბილისის „მაკაბიში“. ერთმაც და მეორემაც მერვე ეროვნულის დამთავრებამდე გადაწყვიტეს გაცლოდნენ „მაკაბის“ და აქამდე უგუნდოდ იყვნენ.

## თავისუფალი აგენტების ბაზარი

NBA

20-21-22 აგვისტო

*მილუოკი ბაქსი:* აიყვანა „ლეიკერსის ყოფილი ფორვარდი ჯეი. არ. რიდი (სამწლიანი კონტრაქტი)

*სიეტლ სუპერსონიქსი:* აიყვანა უგუნდო უკანახაზელი ემანუალ დევისი (ორწლიანი კონტრაქტი)

***ამ უქმეებზე, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გუნდები, წესისამებრ უქმობდნენ. ორად ორი კონტრაქტი გაფორმდა, ისიც არცთუ მთლად პირველხარისხოვან მოთამაშეებთან.***

# სუპერსონიქსი დაბლებს იღებს, მაღლებს უშვებს

NBA

გაურკვეველია, რას ისახავს საბოლოო მიზნად „სიეტლ სუპერსონიქსის“ პრეზიდენტი და გენერალური მენეჯერი ვალი უოლკერი. უკანახაზელებით ისედაც გადავსებულ გუნდს მან კიდევ ერთი ამგვარი, აქამდე არაფრით გამორჩეული ემანუალ დევისი დაუმატა. ევროპასა და დაბალ ამერიკულ ლიგებში ნაწანწალევი მოთამაშის კონტრაქტი ორწლიანია და მისი ფინანსური დეტალები უცნობია.

31 წლის დევისს ორი არასრული სეზონი გაუტარებია ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში: 1996-97 და 97-98 წლებში „ჰიუსტონ როკიტსში“ თამაშობდეს. პირველ სეზონში 13 მატჩი ითამაშა და საშუალოდ 5,0 ქულა გააკეთა, მეორე სეზონში კი 45 მატჩს და საშუალოდ 4,1 ქულას მოუყარა თავი. შარშან ევროპაში იყო: საფრანგეთის ჩემპიონობის მოპოვებაში დაეხმარა „პო ორტეზს“.

სტუდენტობისას დევისი სამ წელიწადს თამაშობდა დელავერ სტეიტის უნივერსიტეტში. მატჩში საშუალოდ 17,6 ქულას, 5,3 მოხსნას და 5,3 პასს აკეთებდა. შემდეგ ერთხანს იტალიაში თამაშობდა. ევროპიდან ამერიკას დაუბრუნდა და ძალები ატლანტიკის საკალათბურთო ასოციაციაში მოსინჯა. 1995-96 წლების სეზონი კონტინენტური საკალაბთბურთო ასოციაციის „როკფორდ ლაითნინგში“ გაატარა. 52 მატჩში ითამაშა, მატჩში საშუალოდ 13,8 ქულა და 6,6 მოხსნა მიითვალა და სეზონის საუკეთესო დამცველის ტიტულსაც გამორჩა. სწორედ ეს გახლდათ „ჰაუსტონ როკიტსში“ დევისის მიწვევის უმთავრესი მიზეზი.

ერთწლიანი განშორების შემდეგ დევისი კვლავ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაშია. მისი ახალი მწვრთნელი პოლ ვესტფოლი ამბობს: „გაგვიმართლა, რომ ემანუელი დავიმატეთ. იგი გამოცდილი ვეტერანია, რომელსაც დაცვაშიც კარგად შეუძლია თამაში და შეტევაშიც. რაც მთავარია, იგი უნივერსალური უკანახაზელია: ერთნაირად ძლიერია როგორც გამთამაშებლის, ისე მსროლელის პოზიციაზე“.

„სიეტლ სუპერსონიქსმა“ ამით პრაქტიკულად ამოწურა ჯამური ხელფასის ლიმიტი (აქ არ ითვლება ის თანხა, რომელიც ფრთის პოზიციაზე ასაყვანი თავისუფალი აგენტის ხელფასისთვისაა გათვლილი). ამდენად, მისი ყოფილი ცენტრი, თავისუფალი აგენტი ოლდენ პოლინაისი, იძულებულია, ახალი გუნდი ეძებოს. გაირკვა, რომ პოლინაისმა თითქმის ყველაფერი გაარკვია „იუტა ჯაზთან“ და ამ დღეებში კონტრაქტსაც გააფორმეს. 34 წლის ჰაიტელს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ასპარეზობის 12-წლიანი გამოცდილება აქვს. „ჯაზის“ გენერალურ მენეჯერს ტიმ ჰაუელსს არც ჰო უთქვამს, არც — არა, მაგრამ აღნიშნა, პოლინაისი სწორედ იმ სტილის მოთამაშეა, ჩვენს გუნდს რომ სჭირდებაო.

# ჯეი. არ. რიდი: არავის რიდი

NBA

„მილუოკი ბაქსის“ ახალდანიშნულმა გენერალურმა მენეჯერმა ერნი გრიუნფელდმა ორ დღეში მეორე შენაძენი გააკეთა: გუნდში ჩარიცხა თავისუფალი აგენტი, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ყოფილი ფორვარდი ჯეი. არ. რიდი. კონტრაქტი სამწლიანია. ამ ხანში კალათბურთელი 6,6 მილიონ დოლარს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ წინა დღეს გრიუნფელდმა „ატლანტადან“ გადმოიყვანა დენი მენინგი და დეილ ელისი, იქ კი კრის გეტლინგი და არმენ გილიამი გაუშვა.

31 წლის რიდი 1989 წლის დრაფტის მეხუთე ნომერია. ერთი წლით ადრე კი სეულის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა აშშ-ის ნაკრების შემადგენლობაში. კარიერის მანძილზე უთამაშია „სან ანტონიოში“, „ნიუ იორკში“, „შარლოტში“ და „ლეიკერსში“. 1996-97 წლების სეზონი ევროპაში დაჰყო — საფრანგეთში თამაშობდა.

წინა სეზონი რიდმა „ლეიკერსში“ გაატარა. იგი ლოს ანჯელესში „შარლოტიდან“ გადავიდა. რიდი იმ ხუთკაციანი გაცვლის მონაწილე გახდა, რომლის შემდეგაც გლენ რაისი „ლეიკერსში“ მოხვდა, ხოლო ედი ჯონსი — „შარლოტში“. რიდმა მატჩში საშუალოდ 9,0 ქულა და 5,2 მოხსნა გააკეთა. იგი გუნდის ფიზიკურად ყველაზე ძლიერი მოთამაშე იყო, რაც განსაკუთრებით პლეი ოფში გამოჩნდა: „ლეიკერს“ — „ჰიუსტონის“ დაპირისპირებისას მან ძალით დაჩაგრა თვით ჩარლზ ბარკლი, ხოლო სკოტი პიპენს ხელი გაარტყა და იატაკზე გააგორა. ამ საქციელისთვის ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ 10 ათასი დოლარით დააჯარიმა რიდი.



ჯეი. არ. რიდი

რიდის შეძენა გრიუნფელდმა ასე ახსნა: „ჩვენს წინა ხაზს სჭირდებოდა რიდის სიმაღლე, აგრესიულობა და გამოცდილება“. შენაძენით გაიხარა „მილუოკის“ მწვრთნელმა ჯორჯ კარლმა: „რიდის სახით უშიშარი მოთამაშე შემოგვემატა. მოედანზე იგი არაფერს თაკილობს, თვით იმ წვრილმან სამუშაოებსაც, რომელთა გაკეთებაც საკალათბურთო გუნდისთვის აუცილებელია“.

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

ჩოგბურთი

# კაცებმა ძალიან აშრიეს



AP ინდიანაპოლისიდან

ნიკოლას ლაპენტი



REUTERS ტორონტოდან

მარტინა ჰინგისი

**ინდიანაპოლისი. აშშ**
**RCA CHAMPIONSHIPS**
**საპრიზო 870 000 $**

როგორ არ ჰგავდა მეოთხედფინალები მერვედფინალებს. სწორედ მეოთხედფინალებმა არია მონასტერი. ნახეთ, ვინ გავიდა ფინალში — ნიკოლას ლაპენტი და ვინს სპადეა, არადა, ტურნირს პიტ სამპრასისა და პატრიკ რაფტერის დარი გრანდები ამშვენებდნენ.

ცხადია, სხვები უფრო იმსახურებდნენ გამარჯვებას, ვიდრე ლაპენტი...

არა, ლაპენტი ნამდვილად არაა ურიგო ჩოგბურთელი, მაგრამ ვინ იწინასწარმეტყველებდა ეკვადორელის პირველობას ტურნირის დაწყებამდე?

ყველაფერი კი მეოთხედფინალიდან დაიწყო, როცა იქ გასულმა პირველმა ოთხმა განთესილმა სირცხვილი ჭამა. თუმცა ეს არამც და არამც არ ითქმის პიტ სამპრასზე. პიტი, უბრალოდ, გადაღლილია და ამის თაობაზე რამდენიმე დღის წინაც ვიუწყებოდით. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ზედიზედ მოიგო ბოლო ოთხი არცთუ სახუმარო ტურნირი და ინდიანაპოლისშიც მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოდა. მან თანამემამულე ვინს სპადეას მეოთხედფინალური შეხვედრის პირველი ხელი არ დაუთმო, მეორის დაწყებისას კი თეძოს არეში ტკივილი იგრძნო და რის ვაი-ვაგლახით დამარცხებულმა ჩაამთავრა სეტი, ხოლო მესამეში საერთოდ ველარ განაგრძო ბრძოლა.

არც სხვა ბობოლებს გაუმართლათ, ოღონდ ისინი ტრავმებს კი არ შეუწუხებია, ნერვებმა უმტყუნათ და აკი დაემშვიდობნენ კიდეც ტურნირს. ნიკოლას ლაპენტიმ საშინელ დღეში ჩააგდო მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ესპანელი კარლოს მოია, რომელიც აშკარად არ არის საუკეთესო ფორმაში. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ მეოთხე ნომრად განთესილმა ესპანელმა ორი სეტის განმავლობაში სამი გეიმის მეტი ვერ დასტყუა ეკვადორელ მეტოქეს.

სამპრასის და მოიას ბედი მესამე ნომრად განთესილმა გუსტავო კუერტენმაც გაიზიარა, რომელმაც ნახევარფინალის საგზური კლასით მასზე დაბალ მეტოქეს დაუთმო. ამათ გავარდნამდე, წინა დღეს კი ვარსკვლავთა მუსვრას ჰოლანდიელმა იან სიმერინკმა დაუდო სათავე. მან მეორე ნომრად განთესილი ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი იმსხვერპლა. მოკლედ, თითქოს ტურნირს სენსაციები აკლდაო, ერთბაშად რამდენიმე მოხდა. ნახევარფინალში მოხვედრილთაგან ყველაზე ძლიერი (კლასიფიკაციის მიხედვით) ისევ მეთერთმეტე ნომრად განთესილი ლაპენტი გახლდათ, დანარჩენ ნახევარფინალისტთაგან კი არც ერთს ერგო განთესვის პატივი, ორი მათგანი — სპადეა და გროსჟანი ოცდაათეულს მიღმაა. ერთ-ერთი წყვილი სწორედ მათი იყო და ერთმანეთს დაუნდობლად შეებნენ. სამსეტიან შეხვედრაში, სადაც ორ ხელში ტაი-ბრეიკში გამოვლინდა გამარჯვებული, ამერიკელმა სპადეამ იმარჯვა. მეორე მატჩი კი ლაპენტიმ არ დათმო და ფინალში მსოფლიოს 34-ე ჩოგანს, სპადეას შეერკინა. აქაც სამსეტიანი, დაძაბული და ლამაზი თამაში გაჩაღდა. მიუხედავად იმისა, რომ ლაპენტიმ პირველი სეტი წააგო, საბოლოოდ მაინც მოიგო და 122 500 დოლარიც მიიღო. ამით ეკვადორელმა თავის კარიერაში ყველაზე მაღალ, მე-18 საკლასიფიკაციო საფეხურს უწია.

**მეოთხედფინალი: ვინს სპადეა (აშშ) — პიტ სამპრასი (1, აშშ) 6:4, 3:6; სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) — გუსტავო კუერტენი (3, ბრაზილია) 6:4, 6:3; ნიკოლას ლაპენტი (11, ეკვადორი) — კარლოს მოია (4, ესპანეთი) 6:1, 6:2**

**ნახევარფინალი: სპადეა — გროსჟანი 6:3, 6:7, 7:6; ლაპენტი — იან სიმერინკი (ჰოლანდია) 6:4, 6:2.**

**ფინალი: ლაპენტი — სპადეა 4:6, 6:4, 6:4.**

**ტორონტო. კანადის ღია პირველობა**
**საპრიზო 1 050 000 $**

ინდიანაპოლისური ტურნირისგან განსხვავებით, სადაც სენსაციებმა ლამის ყველაფერი წალეკა, ტორონტოში მოულოდნელობები ნაკლებად მოხდა. მეოთხედფინალის სამ შეხვედრაში პირველ, მეორე და მესამე ნომრებად განთესილებმა — ჰინგისმა, სელეშმა და პირსმა ბედისა და თავიანთი მარჯვე ხელის წყალობით გააღწიეს ნახევარფინალში. მხოლოდ მეოთხე შეხვედრაში მოხდა მოულოდნელობა, სადაც მეექვსე ნომერი ამანდა კუტცერი თამაშობდა. იგი გავარდა. მისი მეტოქე ანე ჟილ სიდოტი ნამდვილად მშვენივრად თამაშობს ამ ტურნირზე და მოასწრო კიდეც რამდენიმე განთესილის ძლევა, სანამ ნახევარფინალში ტურნირის შარშანდელ ჩემპიონთან, ამერიკელ მონიკა სელეშთან დამარცხდებოდა.

საინტერესო გამოდგა მარტინა ჰინგისისა და არანჩა სანჩეს-ვიკარიოს შეხვედრა. 18 წლის შვეიცარიელმა მასზე ბევრით უფროსი არანჩა ისე დაამარცხა, გაჩენის დღე აწყევლინა. არანჩამ მოიგო თითო გეიმი თითო სეტში, სამაგიეროდ ექვს-ექვსი წააგო და პირველი შემთხვევა არ არის, ჩოგბურთში დაბერებული ესპანელი ქალი პატარა გოგონებთან სამარცხვინოდ რომ აგებს. როგორც ჩანს, იგი პირველი ჩოგნობისთვის მებრძოლებს სამუდამოდ ჩამოშორდა.

მარტინა ჰინგისს მარი პირსთან უფრო გაუჭირდა. ბედნიერი ბორის არ აპირებდა იოლად დანებებოდა ტურნირის უპირველეს ფავორიტს და ბრძოლას იბრძოდა. მაგრამ პირველი სეტის ტაიბრეიკში წაგების შემდეგ გული აუცრუვდა და მეორე სეტი 3:6 დათმო. პირსმა აღიარა მარტინა ჰინგისის უპირატესობა. მარტინა დღეს მსოფლიოში უძლიერესი ქალია და დარწმუნებული ვარ, ტურნირს სწორედ ის მოიგებსო — თქვა მარიმ და აკი ახდა კიდეც მისი სიტყვები.

მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში მონიკა სელეშმა სძლია ანე ჟილ სიდოტს და ფინალში ჰინგისს შეება. მოედანზე ორი გრანდი იდგა, ორი უძლიერესი. პირველ და მეორე ნომრებად განთესილი ჩოგბურთელები ერთმანეთს ეცილებოდნენ კანადურ თასსა და სოლიდურ ფულად ჯილდოს. შეხვედრა შვეიცარიელის უპირატესობით დაიწყო და ასევე დამთავრდა. მე ბედნიერი ვარ — ასე ლაკონურად გამოხატა თავისი განწყობილება გამარჯვებულმა და არც მალავდა სიხარულს.

ინდიანაპოლისის კაცთა და ტორონტოს ქალთა ტურნირები ბოლო წავარჯიშება გახლდათ დიდი სლემის წლევანდელი ბოლო ტურნირისთვის — ჩოგბურთის დიდი ამქარი ამერიკის ღია პირველობისთვის მოემზადა. ვინ როგორ, ეს მალე გამოჩნდება.

**მეოთხედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (5, ესპანეთი) 6:1, 6:1; მონიკა სელეში (2, აშშ) — ბარბარა შეტი (9, ავსტრია) 6:3, 3:6, 6:1; მარი პირსი (3, საფრანგეთი) — სანდრინ ტესტიუ (10, საფრანგეთი) 6:1, 6:3; ანე ჟილ სიდოტი (საფრანგეთი) — ამანდა კუტცერი (6, სამხრეთ აფრიკა) 5:7, 6:4, 6:4.**

**ნახევარფინალი: ჰინგისი — პირსი 7:6, 6:3; სელეში — სიდოტი 6:3, 6:4.**

**ფინალი: ჰინგისი — სელეში 6:4, 6:4.**

**ივანე ძობიაშვილი**



REUTERS ტორონტოდან

მონიკა სელეში

ველორბოლა

# უსაქმური გვიადოვსკი



გრეგორ გვიადოვსკი

კვირას შვეიცარიაში ველომრბოლთა მსოფლიო თასის მერვე ეტაპი, „ციურიხის ჩემპიონატი“ გაიმართა. ეს შეჯიბრება ახლა ცოტა ხნით „შეისვენებს“ და ბოლო ორი ეტაპი „ვუელტას“ დამთავრების შემდეგ ჩატარდება — 3 ოქტომბერს პარიზი-ტური (ქალაქია პარიზიდან სამხრეთ-დასავლეთში), 16 ოქტომბერს კი — „ლომბარდიის ტური“. სწორედ მაშინ გაირკვევა ტურნირის გამარჯვებული. მოგების საუკეთესო შანსები ბელგიელ ანდრეი ჩმილს აქვს, რომელმაც ქულები ყველა ეტაპზე მოიპოვა. საერთო ჩათვლაში მისი გასწრება, ფაქტობრივად, ჰოლანდიელ მიქაელ ბოგერდსლა შეუძლია. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო თასის ეტაპის მოგებისთვის მრბოლს 100 ქულა ემატება, მეორე ადგილზე გასვლისთვის 70, მესამეზე — 50, მეოთხეზე — 25, მეხუთეზე — 20, მეექვსეზე — 15, მეშვიდეზე — 14...

ციურიხში ყველაზე კარგად პოლონელმა გრეგორ გვიადოვსკიმ (კოფიდისი) იასპარეზა, რომლისგანაც ასეთ წარმატებას ნამდვილად არავინ ელოდა. 56-ე კილომეტრზე ფრანგ ლორან ბროშართან ერთად პელოტონს დაცილებულმა გვიადოვსკიმ მეორე ადგილზე გასულ იტალიელ სერჯიო ბარბეროს 28 წამი მოუგო. მრბოლებს ციურიხისთვის ხუთნახევარი წრე უნდა დაერტყათ, რაც საერთო ჯამში 245,3 კილომეტრს შეადგენდა, ასე რომ, პოლონურ-ფრანგული შეტევა ცოტა ნაადრევი ჩანდა. მართლაც, 12 კილომეტრის შემდეგ ლიდერთა დუეტი კვარტეტად იქცა — მოწინავეებს ლიტველი არტურას კასპუტისი და გერმანელი იორგ იაკშე დაეწივნენ. ლტოლვილთა უპირატესობა საკმაოდ ინერტულ პელოტონთან სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და 140-ე კილომეტრზე 9 წუთსა და 40 წამს მიაღწია. კასპუტისმა ასეთ ტემპს ვერ გაუძლო და ჩამორჩა.

ზუსტად ამ მომენტში მთავარმა ჯგუფმაც გაზარდა სიჩქარე და დაწინაურებულებს დიდი გულმოდგინებით გამოუდგა. აქამდე გვიადოვსკი მუშაობას თავს არიდებდა, სულ უკან იყო და ჰაერის მცირე წინაღობის გამო ისვენებდა კიდეც, ახლა კი მანაც იკადრა და კომპანიონებს „დახმარების ხელი“ გაუწოდა — ისიც მოექცეოდა ხოლმე ტრიოს სათავეში. თუმცა ეს უკვე აღარ კმაროდა და პელოტონი მათ ფინიშამდე 20 კილომეტრით ადრე წამოეწია.

სწორედ ჩმილის და ბოგერდის გუნდების პაექრობით ისარგებლა პოლონელმა და მარტომ განახორციელა გადამწყვეტი იერიში (ძალები საკმაოდ კი ჰქონდა შერჩენილი), რომელიც წარმატებული გამოდგა — მისი დაწევა ველარავინ შეძლო.

„დაახლოებით ასი კილომეტრის მანძილზე გვიადოვსკი არაფრით გვეხმარებოდა, უსაქმურობდა. მისი მხრიდან ეს, უბრალოდ, ფერ პლეის პრინციპების დარღვევა იყო. ასეთი რამ სპორტის ამ სახეობაში ძალიან იშვიათად ხდება“ — განაცხადა აღშფოთებულმა იორგ იაკშემ.

ასე თუ ისე, პოლონელმა ეტაპი მოიგო, 100 ქულაც მიითვალა და არც სინდისის ქეჯნას შეუწუხებია.

**გაგი გურული**

**მსოფლიო თასის მე-8 ეტაპი**

ციურიხის ჩემპიონატი, 245,3 კმ

1. გრეგორ გვიადოვსკი (პოლონეთი) — 6სთ19წთ48წმ
2. სერჯიო ბარბერო (იტალია) — +28წმ
3. ანდრეი ჩმილი (ბელგია) — +34წმ
4. პაოლო ბეტინი (იტალია)
5. ანდრეი კივილევი (ყაზახეთი)
6. მიქაელ ბოგერდი (ჰოლანდია)
7. დავიდე რებელინი (იტალია)
8. ლორან ბროშარი (საფრანგეთი)
9. მიგელ სარაბეიტია (ესპანეთი)
10. იორგ იაკშე (გერმანია) — ყველას იგივე დრო

**საერთო ჩათვლა რვა ეტაპის შემდეგ**

1. ანდრეი ჩმილი — 267 ქულა
2. მიქაელ ბოგერდი — 222
3. ფრანკ ვანდენბრუკი (ბელგია) — 199
4. პეტერ ვან პეტეგემი (ბელგია) — 145
5. იოჰან მუსეუვი (ბელგია) — 137
6. ზბიგნევ სპრუში (პოლონეთი) — 124
7. ერიკ ზაბელი (გერმანია) — 107
8. პაოლო ბეტინი (იტალია) — 105
9. მარკუს ზბერგი (შვეიცარია) — 102
10. ჯორჯ ჰინკეპი (აშშ) — 101



# კრივი გვანახე, გიორგი!

## გიორგი კანდელაკმა გამოცდილ ამერიკელს გამარჯვების თქმა არ აცალა







გიორგი კანდელაკის გორულ მუშტებს კიმ ოუდემმა წუთნახევარს გაუძლო



გიორგი და მისი გუნდი: მიხაილ ტაკოვი (მარცხნივ), ფრენკ მელოუნი და ფილიპ ფონდიუ



ახალგაპროფესიონალებულ რამაზ ბებნაძეს (მარცხნივ) სადებიუტო ბრძოლაში არსენ მარტიროსიანი შემოელახა

გიორგი კანდელაკმა ბათუმის სტადიონზე შეკრებილ ათასობით ქომაგს იმედი არ გაუცრუა — მეთერთმეტე პროფესიულ ბრძოლაში ამერიკელი კიმ ოუდემი პირველსავე რაუნდში ნოკაუტით დასცა. შეხვედრის შემდეგ ყველა კმაყოფილი იყო — კანდელაკის მენეჯერები ფრენკ მელოუნი და ფილიპ ფონდიუ, ბულგარელი მწვრთნელი მიხაილ ტაკოვი სიხარულს ვერ მალავდნენ. ერთი ეგ იყო, ხალხი ამბობდა — გიორგიმ წუთნახევარში მოილია საქმე, ხეირიანად კრივის ნახვა ვერც მოვასწარითო.

კანდელაკ — ოუდემის შეხვედრას დიდი ხმაური უძღვოდა. პროფესიული კრივი ჩვენში ჯერაც უცხო ხილი გახლავთ და, ცხადია, ბრძოლის ორგანიზატორები ბათუმის სტადიონზე მაყურებელთა მოზღვავებას ელოდნენ. თანაც, დამსვენებლებით სავსე ბათუმის ქუჩები კანდელაკ — ოუდემის ბრძოლის აფიშებით აჭრელებულიყო და სანახაობის მსურველთ 21 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე დიდი კრივის საცქერლად ეპატიჟებოდა.

ბრძოლის დაწყებამდე ორი საათით ადრე „სარბიელის" ფოტორეპორტიორთან ერთად აკრედიტებული ჟურნალისტის მოწმობით ხელდამშვენებული სტადიონს მივადექი. ბრძოლის მომწყობთ გერმანიიდან საგანგებოდ ჩამოტანილი რინგი სამხრეთ ტრიბუნასთან დაედგათ. წვიმისგან თავის ასარიდებლად გადაეხურათ კიდეც, განათებაც დაეყენებიათ, გარშემო კი პრესლოჟა და საპატიო სტუმართა სახელდახელო ლოჟა მოეწყოთ. ერთი სიტყვით, ყველაზე და ყველაფერზე ეზრუნათ. მეც პრესლოჟაში ადგილი შევიგულე, ცხრა საათამდე დიდი დრო იყო და სტადიონი დავტოვე, მერე კი მწარედ ვინანე, რადგან ცხრა საათზე ჟურნალისტებისთვის განკუთვნილ სკამებზე ბათუმის მერიის თანამშრომლები და სომეხი სტუმრები წამოსკუპულიყვნენ. სომხები რაღა შუაში არიანო, იკითხავთ, საქმე ისაა, რომ პროფესიული კრივის დაუწერელი წეს-კანონით მთავარი შეხვედრის წინ კიდევ რამდენიმე ბრძოლაც ტარდება. ჰოდა, ქართველებმა მეზობელ სომხებს უხმეს — მოკრივეები წამოიყვანეთ, ჩვენც კაი ბიჭებს დაგახვედრებთ და კანდელაკ — ოუდემის ბრძოლამდე ერთმანეთს ამხანაგურად გავეჯიბროთო. სწორედ სომეხთა დელეგაციის წევრები იყვნენ, მედიის ადგილები რომ დაისაკუთრეს. სტუმრებს ველარ შევბედე — თქვენ ფეხზე დადექით, მე უნდა დავჯდეო, ბათუმელებმა კი ცოცხალი თავით არ დათმეს სკამები, აქაოდა, ჩვენ გვეკუთვნისო. მოკლედ, სხვა გზა რომ აღარ მქონდა, ავდექი და რინგის კუთხესთან ჩავჯექი. ამ დროს გვერდით ფრენკ მელოუნმა ჩამიარა. ასეთ დღეში რომ მნახა, გაეცინა, ძველი ნაცნობივით ხელი გადამხვია, წამოდი, სტუმართა ლოჟაში დავსხდეთ, თან ცოტაც ვისაუბროთო.

ბატონ მელოუნს კანდელაკზე ვკითხე, რას ფიქრობთ, რას იზამს-მეთქი.

— გიორგი დღეს გაიმარჯვებს, ამაში ეჭვიც არ მეპარება. ბათუმური შეხვედრისთვის განსაკუთრებულად მოემზადა. ცოტას კი ღელავს, მაგრამ ეგ არაფერი, რინგზე გავა და დამშვიდდება — ასეთი იყო ბატონი მელოუნის პასუხი. ახლა კი წავალ, გიორგის ბოლოჯერ დავარიგებო და გასახდელს მიაშურა. ეგ იყო და, ქართველ და სომეხ მოყვარულ მოკრივეებს რინგზე უხმეს. ბრძოლები საცქერლად კარგი რამ გამოდგა.

პირველ შეხვედრაში ვარიანელ მალხაზ ბერკაციშვილს სომხეთის 1997 წლის ჩემპიონი ლუდვიგ ბაბაიანი დაუპირისპირდა. ბაბაიანი მთელი შეხვედრის მანძილზე უფრო თავს იცავდა, ვიდრე უტევდა. ამით ბერკაციშვილმა კარგად ისარგებლა. ოთხრაუნდიან ბრძოლაში მეტოქეს ბევრი დარტმა მიაყენა და ქართველთა გუნდს პირველი გამარჯვება მოუტანა.

ბაბაიანის ჯავრი ჰამლეტ პეტროსიანმა იყარა. მან მინდია ნოზაძე დაამარცხა და ანგარიშიც გათანაბრდა.

მერე იყო ალექსეი პავლოვისა და აშოტ დარჩინიანის ბრძოლა. სომეხმა აშკარად დაჩაგრა ჩვენებური, პირველ და მეორე რაუნდში ნოკდაუნიც აწვნია. მსაჯებმაც დროზე ადრე შეწყვიტეს შეხვედრა — აშკარა უპირატესობის გამო გამარჯვება დარჩინიანს მიაკუთვნეს.

ქართველთა და სომეხთა დაპირისპირებაში ყველაზე უფრო საინტერესო და სასეირო ვარიანელი პაატა ვარდუაშვილისა და არტემ სარქისიანის შეხვედრა იყო. სარქისიანი ძალიან თავდაჯერებული გავიდა რინგზე. ისე იქცეოდა, გეგონებოდათ, მასზე გამოცდილი და სახელოვანი მოკრივე ჯერ ქვეყნად არ დაბადებულიყო. ეტყობა, ვარდუაშვილი სომხის საქციელმა გააცოფა, გაშმაგებული ეკვეთა მას და იმდენი ურტყა, როდის გაიშოტებოდა რინგზე სარქისიანი, საკითხავი ესღა იყო. ეს ამბავი კი მესამე რაუნდში მოხდა — ვარდუაშვილის პირდაპირი მარჯვენა სომხის თავპირს შეასკდა და ისიც მოწყვეტილი ვარდივით დავარდა ბათუმურ რინგზე.

დანარჩენ ორ შეხვედრაშიც ქართველებმა იმარჯვეს. ბესიკ ვარძელაშვილმა გერგ მკრტიჩინი, ბექა ლობჟანიძემ კი ერიკ გალიგულიანი დაამარცხეს და ეს ამხანაგური შეხვედრაც ჩვენებურთა 4:2 გამარჯვებით დასრულდა.

მოყვარულების მერე ჯერი პროფესიონალებზე მიდგა. დიახ, იმ დღეს კანდელაკ — ოუდემის ბრძოლის წინ პროფებში ახლახან გადასულმა ვარიანელმა რამაზ ბებნაძემ პროფესიულ რინგზე პირველი შეხვედრა ჩაატარა. მისი მეტოქე სომეხი არსენ მარტიროსიანი იყო. ბებნაძის დებიუტი წარმატებული გამოდგა, ეტყობა, ლენოქს ლუისის სახელობის კოლეჯში ვარჯიშმა თავისი გაიტანა, რამაზმა მარტიროსიანს ყველაფერში აჯობა, რინგზე ვერცხლისწყალივით მოძრაობდა, სომეხი მესამე და მეოთხე რაუნდებში ნოკდაუნში გაგზავნა და სტუმართა მწვრთნელმა, ემანდ ჩვენ არსენას ცუდი არა შეემთხვესო, დანებების ნიშნად თეთრი პირსახოცი გადმოაგდო. ასე რომ, რამაზ ბებნაძემ პროფესიულ კრივში გამარჯვების გემო გაიგო და ღმერთმა ქნას, ასე გაეგრძელებინოს.

და აი, მთავარსაც მივადექით. რინგზე გიორგი კანდელაკსა და კიმ ოუდემს უხმეს. სტადიონზე შეკრებილ საზოგადოებას ჯერ ამერიკელი წარუდგა — ორმეტრიანმა ზანგმა ცეკვა-ცეკვით შემოუარა რინგს, მაყურებლებს მიესალმა და კუთხეში დადგა. ამასობაში გიორგი კანდელაკიც გამოიძახეს. ჩვენებური ფრენკ მელოუნის, ფილიპ ფონდიუსა და მიხაილ ტაკოვის თანხლებით, ტაშის გრიალში მიადგა რინგს. ეს იყო და, სტადიონზე მანქანების კოლონა შემოვიდა. ჩხუბის სანახავად აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე სტუმრებთან, ამერიკის პრეზიდენტის ბილ კლინტონის ცოლისძმებთან ერთად მოვიდა. წესრიგის დამცველებიც დაფაცურდნენ, რინგთან თავმოყრილი ხალხი მისწი-მოსწიეს, არეულობით ვისარგებლე და პრეს-ლოჟაში შემთხვევით გათავისუფლებულ კუთვნილ სკამზე ჩამოვჯექი.

შეხვედრის რეფერიმ ფრანგმა ჟან პოლ ლეგლანმა მოკრივეებს ნიშანი მისცა და ჩხუბიც დაიწყო. გიორგიმ უმალ შეუტია, ამერიკელს გონზე მოსვლაც არ აცალა და ერთი ისეთი მოარტყა, ოკეანისგალმელი დაბარბაცდა. კანდელაკი აღარ გაჩერებულა, ოუდემი კუთხეში მიიმწყვდია — მარჯვენა აპერკოტი, მარცხენა პირდაპირი, დარტყმების ეს სერია სამჯერ გაიმეორა, საწყალ ამერიკელს ხელის განძრევის თავი არ ჰქონდა და ძირს გაიშოტა. ლეგლანმა ათამდე დათვალა, ოუდემი კი ისევ რინგზე წამოწოლილიყო, ეს კი კანდელაკის გამარჯვებას ნიშნავდა. გიორგის ამისთვის სულ რაღაც წუთნახევარი დასჭირდა. უნდა გენახათ, რა ხდებოდა სტადიონზე — ყოჩაღ, გიო, ასე იცის გორულმა მუშტმა, გენაცვალე, მარჯვენაში — გაჰყვიროდნენ გახარებული ქომაგები. კანდელაკიც ბედნიერი იყო — თავიდან ვღელავდი, ვიცოდი, ოუდემი გამოცდილი მოკრივეა, თანაც საკუთარი მაყურებლების თვალწინ ბრძოლა ყოველთვის ძნელია, თუმცა, როგორც ნახეთ, ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც მინდოდა — თქვა რინგზე მოწყობილ სახელდახელო პრესკონფერენციაზე კანდელაკმა.

ამასობაში დაღონებული ოუდემი გასახდელისკენ წალასლასდა, უკან მივყევი და, ორიოდ კითხვაზე მიპასუხეთ-მეთქი, ვთხოვე. გულში კი ვფიქრობდი, ალბათ, უარს მეტყვის, ლაპარაკის თავი არც ექნებაო, მაგრამ ოუდემმა, დიდი სიამოვნებითო — და დაიწყო:

— კანდელაკი ძალიან კარგი მოკრივეა, ტექნიკური, თუ ვარჯიშს არ დაიზარებს, ბევრს მიაღწევს. დღევანდელ ბრძოლაზე კი იმას გეტყვით, რომ წაგებას, მით უფრო, ნოკაუტით, სულაც არ ველოდი, მაგრამ პირველივე დარტყმა ძალიან ძლიერი იყო, კონცენტრაცია დავკარგე და მეტოქემ ამით ისარგებლა.

ოუდემი მეტი აღარ შემიწუხებია, გახეთქილი წარბიდან სისხლი სდიოდა. მართალი გითხრათ, შემეცოდა, თანაც გასახდელისკენ მიმავალი ფრენკ მელოუნი და მიხაილ ტაკოვი დავლანდე და ახლა ამათ გავუბი ლაპარაკი.

*მიხაილ ტაკოვი:* გიორგის გამარჯვებაში ეჭვიც არ მეპარებოდა, ჩინებულ ფორმაშია და თავისი ძალა დღესაც დაამტკიცა, თანაც ამ შეხვედრისთვის საგანგებოდ მოვემზადეთ.

**— ბატონო ტაკოვ, თქვენ თითქმის ერთი წელია გიორგის წვრთნით, მისი შესაძლებლობებიც ყველაზე კარგად თქვენ იცით...**

— კანდელაკი საოცრად ნიჭიერი მოკრივეა, თუმცა სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია, განსაკუთრებით ფიზიკურ მომზადებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. გიორგის ფეხები ჯერ კიდევ სუსტი აქვს, სანაცვლოდ მუშტი აქვს ისეთი...

*ფრენკ მელოუნი:* ხომ გითხარით, გაიმარჯვებს-მეთქი. ძალიან გახარებული ვარ, კანდელაკმა იმედები გამიმართლა.

**— ბატონო მელოუნ, მალე საქართველოდან წახვალთ, რა შთაბეჭდილებები დაგრჩათ ჩემს ქვეყანაზე.**

— არაორდინალური ხალხი ხართ, გულღია და სტუმართმოყვარე. სასწრაფოდ თუ არ წავედი ინგლისში, შესაძლოა, მალე მძიმეწონოსან მოკრივეს დავემსგავსო — მითხრა სიცილით ფრენკ მელოუნმა, ოქტომბერშიც გეწვევითო, მომაძახა და ამით დამემშვიდობა.

**სოსო ძოწორეიშვილი**

**ბადრი ძეთილაძის ფოტოები**

## მძლეოსნობა

# სევილიური ოქრო ამერიკული ოჯახისთვის

მძლეოსანთა მეშვიდე მსოფლიოს ჩემპიონატი ისე დაიწყო, უკეთესს ვერც ინატრებდა კაცი — შაბათს სევილიის ოლიმპიურ სტადიონზე შეკრებილი მაყურებელი მსოფლიოს რეკორდის მომსწრე გახდა. ამერიკელი მეჭოკე ქალი სტეისი დრაგილა 4,60 მეტრზე გადებულ თამასას იოლად გადაევლო და ავსტრალიელი ემა ჯორჯის რეკორდი გაიმეორა. ოქროსთვის ბრძოლა ამერიკელსა და უკრაინელ ანჟელა ბალახანოვას შორის გაჩაღდა და სარეკორდო ნახტომამდე უკრაინელი ლიდერობდა კიდეც (4,55). დრაგილას დაწინაურების მერე, ბალახანოვას ერთი ცდა რჩებოდა და მანაც 4,65 მეტრს შეუტია, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოუვიდა, თავად ვერცხლს დასჯერდა, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული კი ამერიკელს გადაულოცა. ავსტრალიელი ემა ჯორჯი, მისთვის უჩვეულო მეთოთხმეტე ადგილს დასჯერდა.

შაბათს კიდევ ორ დისციპლინაში გამოვლინდნენ ჩემპიონები. 20 კილომეტრზე სპორტულად მოარულ კაცებში რუსმა ილია მარკოვმა იმარჯვა, ბირთვის მკვრელთა შეჯიბრში კი მარიონ ჯონსის ქმარს სი ჯეი ჰანტერს არ ჰყავდა ბადალი.

შაბათს გამართული შეჯიბრებებიდან ჩვენთვის საინტერესო 1500 მეტრზე მორბენალი კაცების ასპარეზობა იყო. აქ საკვალიფიკაციო გარბენში ჩვენებურმა ზიგმუნდ ზილბერშტეინმა ირბინა, მაგრამ ჰიშამ ელგერუჯთან და კომპანიასთან ვერაფერი გააწყო და მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლაც ამით დაასრულა. კვირას სევილიურ ბილიკებზე სპრინტერებმა იქროლეს და, როგორც მოსალოდნელი იყო, მარიონ ჯონსისა და მორის გრინის დამწევი არავინ აღმოჩნდა.



REUTERS სევილიიდან

მარიონ ჯონსი სევილიიდან ოთხი ოქროს მედლის წაღებას აპირებდა. ერთი გუშინ დაკარგა — სიგრძეზე ხტომაში

ჯონსმა 100 მეტრი 10,70 წამში გრინმა კი 9,80-ში დაფარა, რაც მსოფლიოს ჩემპიონატების საუკეთესო შედეგებია. ეგ კი არა, მორის გრინს ცოტაღა დააკლდა მისსავე მსოფლიოს რეკორდის (9,79) დასამხობად.

შვიდჭიდელ ქალებში გაფრანგებულმა სიერალეონელმა ანუკ ბარბერმა იყოჩაღა, 6861 ქულა მოაგროვა და სხვათაგან მიუწვდომელი შეიქნა. გახარებულ ფრანგს გამარჯვება მონაკოს პრინცმა ალბერმა ტუჩებში კოცნით მიულოცა.

პრინცი და დედოფალი ალბათ არა, მაგრამ გერმანელ უროს მტყორცნელ კარსტენ კობსს მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედლის მოპოვებას ცოლი მაინც რომ მიულოცავს, ეგ კი ნაღდია. კობსმა ურო 80,24 მეტრზე ტყორცნა და ესპანელებს გერმანიის ჰიმნიც დააკვრევინა.

გუშინ მოასპარეზეთაგან უნდა გამოვარჩიოთ სიგრძეზე მხტომელი ქალები. აქ მარიონ ჯონსმაც სცადა ბედი. კი იმუქრებოდა მარიონი სევილიიდან ოთხ ოქროს წავიღებო, მაგრამ, როგორც გამოჩნდა, მის ოცნებას ახდენა არ უწერია. სიგრძეზე ხტომაში ჯონსი მხოლოდ ბრინჯაოს მედალს შეწვდა.

**სოსო ძოტორეიშვილი**



სტეისი დრაგილა




REUTERS სევილიიდან

სი ჯეი ჰანტერი




მორის გრინი

### ტექნიკური შედეგები

**21 აგვისტო. შაბათი**

20 კმ. სპორტული სიარული
1 ილია მარკოვი (რუსეთი) — 1.23.34 სთ
2 ჯეფერსონ პერესი (ეკვადორი) — 1.24.19,3
3 დანიელ გარსია (მექსიკა) — 1.24.31

ჭოკით ხტომა (ქალები)
1 სტეისი დრაგილა (აშშ) — 4,60 მ (მს.რ.)
2 ანჟელა ბალახანოვა (უკრაინა) — 4,55
3 ტატიანა გრიგორიევა (ავსტრალია) — 4,45

ბირთვის კვრა (კაცები)
1 სი ჯეი ჰანტერი (აშშ) — 21,79 მ
2 ოლივერ-სვენ ბუდერი (გერმანია) — 21,42
3 ალექსანდრ ბაგაჩი (უკრაინა) — 21,26

**22 აგვისტო. კვირა**

100 მ (ქალები)
1 მარიონ ჯონსი (აშშ) — 10,70 წმ
2 ინგერ მილერი (აშშ) — 10,79
3 ეკატერინე ტანუი (საბერძნეთი) — 10,84

100 მ (კაცები)
1 მორის გრინი (აშშ) — 9,80 წმ
2 ბრუნ სურინი (კანადა) — 9,84
3 დუეინ ჩამბერსი (ბრიტანეთი) — 9,97

უროს ტყორცნა (კაცები)
1 კარსტენ კობსი (გერმანია) — 80,24 მ
2 ნემეშ ზოლტი (უნგრეთი) — 79,05
3 ვლადისლავ პისკუნოვი (უკრაინა) — 79,03

შვიდჭიდი (ქალები)
1 ანუკ ბარბერი (საფრანგეთი) — 6,861 ქ
2 დენი ლუისი (ბრიტანეთი) — 6,724
3 ჩადა სოუა (სირია) — 6,500

**23 აგვისტო. ორშაბათი**

ბადროს ტყორცნა (ქალები)
1 ფრანკა დიჩი (გერმანია) — 68,14 მ
2 ანასტასია კელეისდოუ (საბერძნეთი) — 66,05
3 ნიკოლეტა გრასუ (რუმინეთი) — 65,35

სიმაღლეზე ხტომა (კაცები)
1 ვიაჩესლავ ვორონინი (რუსეთი) — 2,37 მ
2 მარკ ბოსუელი (კანადა) — 2,35
3 მარტინ ბუსი (გერმანია) — 2,32

სიგრძეზე ხტომა (ქალები)
1 ნიურკა მონტალვო (ესპანეთი) — 7,06 მ
2 ფიონა მეი (იტალია) — 6,94
3 მარიონ ჯონსი (აშშ) — 6,83

3000 მ. წინაღობებით
1 კრისტოფერ კოსგეი (კენია) — 8.11,76 წთ
2 უილსონ ბოიტ კიპკეტერი (კენია) — 8.12,09
3 ალი ეზინე (მაროკო) — 8.12,73

## ოლიმპიზმი

# ოლიმპიელები, ზვიგენები, ბაყაყები

## ნურც ნიანგებსა და ფუტკრებს დავივიწყებთ

1990 წელს ავსტრალიის წყლებში ზვიგენებმა 11 ადამიანი იმსხვერპლეს. იმავე პერიოდიდან მოყოლებული ნიანგები რვა კაცს დაესხნენ. ამას გარდა ოც კაცს ფუტკრების გუნდი დაედევნა და შავი დღე აყარა. ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ სიდნეის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები მოულოდნელ პრობლემას გადაეყარნენ. ოლიმპიური სოფლის მახლობლად უსაშველოდ ბევრი ბაყაყი აღმოჩნდა. მათი ზნე-ჩვეულებების მცოდნენი თამაშების ორგანიზატორებს არწმუნებენ, ოლიმპიელებისა და ბაყაყების სიამტკბილობით ცხოვრების იმედი არ უნდა გქონდეთო.

ყოველივე ამან, ცხადია, მომავალი სიდნეის ოლიმპიური თამაშების ზოგი პოტენციური მონაწილე შეაფიქრიანა.

— მითი ავსტრალიის ველური სამყაროს შესახებ ყოველთვის არსებობდა და რამდენიმე სპორტსმენმა ზვიგენების თაობაზე კითხვებით მოგვმართა — ამბობს სიდნეის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის პროგრამის მენეჯერი პიტერ ოტესონი — ამიტომაც საჭიროდ ჩავთვალეთ განვაცხადოთ, რომ ბიოლოგებისა და ზვიგენებთან დაკავშირებული ექსპერტების აზრით, სიდნეის ნავსაყუდელში ზვიგენთა თავდასხმის შესაძლებლობის მცირედი შანსიც არ არსებობს.

ოლიმპიური თამაშები, რომელიც 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე გასტანს, ტრიატლონით გაიხსნება და მას სავარაუდოდ 200 ათასი მაყურებელი ეყოლება. როგორც ორგანიზატორები ირწმუნებიან, მაყურებლებისაგან განსხვავებით ასპარეზობას გულგრილად მოეკიდებიან ზვიგენები. სიდნეის ზოოპარკის სპეციალისტი და ექსპერტი ჯონ უესტი ამას იმით ხსნის, რომ ავსტრალიის სანაპიროებთან წყლის ტემპერატურა მაის-ნოემბრის შუალედში მეტისმეტად ცივია საიმისოდ, რომ ვეფხვისებრი ზვიგენი გაჩნდეს.

„ჩვენ მზად ვართ საჭიროების შემთხვევაში ტრიატლონისტთა საცურაო ტრასა შემოვფარგლოთ ბადეებით და წყალქვეშ დავამონტაჟოთ სამეთვალყურეო აპარატურა, — ამბობს ტრიატლონისტი შეჯიბრების ორგანიზატორთა შეფი დევიდ ჰენსონი. — მცირეოდენი ხიფათიც უნდა გამოირიცხოს და გამოირიცხება კიდეც".

ამბობენ,სიდნეის ნავსადგურში ზვიგენმა ადამიანზე იერიში სულ ბოლოს 18 თვის წინათ მიიტანაო. თუმცა, ამის დამადასტურებელი ფაქტი არ არსებობს. სამაგიეროდ, არსებობს უტყუარი ცნობა, რომ შუა ნავსაყუდელში ზვიგენი ადამიანს უკანასკნელად 1963 წელს დაესხა, ხოლო შიდა ნავმისადგომში ბოლო 208 წლის განმავლობაში მაისსა და ნოემბერში ასეთი რამ საერთოდ არ მომხდარა.

ასე რომ, ტრიატლონისტებს მშვიდად შეუძლიათ იასპარეზონ. ისინი 16-17 სექტემბერს აიღებენ სტარტს და გაუყვებიან ყურეს სიდნეის ოპერის შენობის გასწვრივ.

იმედოვნებენ, რომ ამ სახეობის ოლიმპიური დებიუტი მშვიდობიანად ჩაივლის.

რაც შეეხება ბაყაყებს, ოლიმპიური სოფლის მიმდებარე ტერიტორიიდან მათ განსადევნად ტექნიკური საშუალებების ბოლო მიღწევებს იყენებენ. ნიანგებისა და ფუტკრების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებზე კი არაფერს იუწყებიან.

**გიგა გურასაშვილი**

## სროლა

# ნინო სალუქვაძე მსოფლიოს თასს შეიზნებს

დღეს მიუნხენში ტყვიის მსროლელთა მსოფლიოს თასის გათამაშების სუპერფინალი იწყება. ეს ტურნირი ადრე ყოველთვის ოქტომბერში, თანაც სხვაგან, შვეიცარიულ ციურიხში ტარდებოდა, მაგრამ წლეულს ეს ტრადიცია დაირღვა. გერმანიაში ნინო სალუქვაძეც იასპარეზებს. მან ეს უფლება მილანში, მსოფლიოს თასის მესამე ეტაპზე მოიპოვა, სადაც პნევმატურშიც და სპორტულშიც ოქროს მედლებს დაეუფლა. ადრეულ ეტაპებზე ნინომ თითო ვერცხლისა და ოქროს მედლებიც დაისაკუთრა (ეს უკანასკნელიც — მიუნხენში).

მიუნხენის ტურნირში გამარჯვება იოლი არ იქნება, მაგრამ მსოფლიოს თასის მოგება სალუქვაძესაც შეუძლია. ოპტიმიზმის საფუძველს კი მისი წლევანდელი შედეგები იძლევა — ზემონახსენებ ოთხ მედალს ნინომ ახლახან მოპოვებული ევროპული ვერცხლიც შემატა სპორტული პისტოლეტით სროლაში, წლის დასაწყისში კი მიუნხენის უძლიერესი შემადგენლობის საერთაშორისო ტურნირში იმარჯვა, იქაც



ნინო სალუქვაძე

ორივე სახეობაში. ასე რომ, მიუნხენი ნინოსთვის ფეხბედნიერი ქალაქია.

**ირაკლი თავაძე**

## ინგლისი

პრემიერლიგა
V ტური
ლიდსი 1:2 ლივერპული

## გერმანია

II ბუნდესლიგა
II ტური
ოფენბახი 1:3 ნიურნბერგი

## დანია

V ტური
კოპენჰაგენი 1:0 ოდენსე

## შვედეთი

შვედეთი. XVIII ტური
ჰალმსტადი 2:2 ტრელებორგი
ნორჩიოპინგი 3:2 ჰამარბი
იორებრო 1:1 იურგარდენი

## კასპაროვი — მსოფლიო






1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კe5:b2 24. ლh7:g6 ლa4-e4 25. ლg6-f7 კb2-d4 26. ლf7-b3 f5-f4 27. ლb3-f7 კd4-e5 28. h3-h4 b6-b5 29. h4-h5 ლc4 30. ლf5+ ლc4-e6 31. ლe6+ მფ+e6 32. g2-g3





# მეფენი თავისი ფეხით დადიან

არაბეთში კალათბურთიც თვალსასეირო რამ შექმნილა! იმდენად თვალსასეირო, რომ მის საცქერლად მეფენიც კი თავისი ფეხით დადიან. იორდანიის დედაქალაქ ამანში პანარაბული თამაშების ბოლო აკორდები გაისმის, მასპინძელი ქვეყნის ნაკრები კი საკალათბურთო შეჯიბრის ფინალში გასულა. ახალკურთხეული მეფე აბდულა (ძე ჰუსეინისა) ამიტომ მისულა სტადიონზე და თან თავისი გაევროპელებული და, პრინცესა აიშა წაუყვანია. აიშას მიერ დროშის ფრიალმა საქმეს ვერ უშველა, იორდანიელებმა 68:97 წააგეს ეგვიპტელებთან და ვერცხლს დასჯერდნენ.

ამანის სხვა სპორტულ დარბაზებშიაც შეჯიბრია გახურებული და სამეფო ოჯახის წევრები იქაურობასაცარ აკლდებიან. მეფის დედა, სახელად მონა და მეფისავე ბაბუა გრეგ გარდნერი ალ ჰუსეინის სპორტული კომპლექსის წინ ანეგდოტს თუ უამბობენ მეფის თანამეცხედრეს, დედოფალ ნურს. ასეთია მეფური ცხოვრება, მთავარი კი ისაა, რომ სტადიონი ის ადგილია, სადაც მეფენი თავისი ფეხით დადიან.



# ვნებანი საკრიკეტონი

შრილანკას ქალაქ გალეში დიდი ზარ-ზეიმით და დოლ-გარმონით გაიხსნა სამი ერის ერთდღიანი კრიკეტის შეჯიბრი, აივას თასად გამოცხადებული ტურნირი. ერთდღიან ვინ ვინაობაში შეიბმებიან მასპინძელი ლანკელები, მსოფლიოს ჩემპიონი ავსტრალიელები და განთქმული ინდოელები.

# ფული და რეკორდი




აგე, რამხელა ჩეკი უპყრია ხელთ ავსტრალიელ მოცურავე იან თორპს. ოცდახუთი ათასი ავსტრალიური, ანუ თექვსმეტი ათასი ამერიკული დოლარი მან იმისთვის მიიღო, რომ თავისუფალი სტილით 400 მეტრზე ცურვაში ახალი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. თორპს სამი წუთი და 41,83 წამი დასჭირდა, რათა თანაგუნდელ გრანტ ჰეკეტისთვის გაესწრო. ეს კი მომხდარა წყნარი ოკეანის შეჯიბრის ფინალში, სიდნეის საწყლოსნო ცენტრში.

# მონრეალური კორიდა





კორიდა სპორტი არ არის, მაგრამ ყველაზე მეტად სახიფათო შეჯიბრი კია, იგი სამხრეთის გულსა და ჯიგარში ზის, მაგრამ ჩრდილოეთშიაც უწეწავს ნერვებს ხალხს. ამიტომ თუა, რომ მონრეალის ოლიმპიურ სტადიონზე პირველად ჩატარდა ხარისა და კაცის ნაღდი ბრძოლები. თუ მავანთ კორიდის ამგვარი უცნაური სურათები გააკვირვებთ და ხარისა და ტორეროს უჩვევ ურთიერთობას დალანდავენ ამ ფოტოებზე, დავამშვიდებთ: კანადელი ორგანიზატორები მოერიდნენ სისხლიან დასასრულს და მაყურებელს კორიდის პორტუგალიური ნაირსახეობა ტორადა შესთავაზეს. ტორადაში ხარის პიკეებით დასერა და შემდეგ მოკვლა არ არის საჭირო. ათი ტორერო უნდა ჩამწკრივდეს და ჯიქურ დაუხვდეს ხარს, რათა მოხერხებულობითა და საზრიანობით წამოაქციოს და გაკოჭოს. ამიტომ, კუდში და რქებში ხელის წავლება და ალყა ტორადას აუცილებელი ხერხებია...



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურაბ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli